Project funded by the EUROPEAN UNION

www.greethis.net

შავი ზღვის აუზში ისტორიული და კულტურული ტურიზმის საბაზრო პოტენციალის კონტექსტური კვლევა

საქართველო

ნოემბერი 2020

შავი ზღვის აუზში ისტორიული და კულტურული ტურიზმის საბაზრო პოტენციალის კონტექსტური კვლევა მოიცავს დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირა რეგიონის შემდეგ მუნიციპალიტეტებს: ფოთი, ბათუმი, ქობულეთი და ლანჩხუთი.

ფოთის მუნიციპალიტეტის დროშა და გერბი



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დროშა და გერბი



ბათუმის მუნიციპალიტეტის დროშა და გერბი



ქობულეთის მუნიციპალიტეტის დროშა და გერბი

Project funded by the EUROPEAN UNION

www.greethis.net

სარჩევი

თავი I

პროექტის შესახებ-- 4

თავი II- მწვანე და ისტორიული ტურიზმის ტენდენციები საქართველოში

კანონმდებლობა, აკადემიური პუბლიკაციები, სტატიები ---------------------------------- 5

სტატისტიკური მონაცემები-- 11

თავი III

მწვანე და ისტორიული/კულტურული ტურიზმის ინფრასტრუქტურა

ფოთის მუნიციპალიტეტი. --- 18

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი --- 36

ბათუმის მუნიციპალიტეტი -- 47

ქობულეთის მუნიციპალიტეტი--- 65

თავი IV

ტურიზმის განვითარების საბაზრო პოტენციალის კონტექსტური კვლევა

გამოკითხვა --- 82

თავი V

კულტურული მემკვიდრეობა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში

ფოთი, ლანჩხუთი, ბათუმი, ქობულეთი --- 93

თავი VI

მევენახეობა-მეღვინეობის კულტურა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში

სამეგრელო, გურია, აჭარა--- 126

დასკვნა --- 136

დანართები --- 138

თავი I

პროექტის შესახებ

შავი ზღვის აუზში ისტორიული და კულტურული ტურიზმის საბაზრო პოტენციალის კონტექსტური კვლევა მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის (ათეა) დაკვეთით პროექტის „მწვანე ტურიზმი და ისტორიული მემკვიდრეობა – შავი ზღვის აუზის განვითარების საფუძვლები"-ს ფარგლებში.

წარმოდგენილი კვლევა მოიცავს დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირა რეგიონის შემდეგ მუნიციპალიტეტებს: ფოთი, ბათუმი, ქობულეთი და ლანჩხუთი. კვლევაში გათვალისწინებულია აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში არსებული მწვანე და ისტორიული/ კულტურული ტურიზმის ინფრასტრუქტურა თითოეული საპილოტე ადგილის მიხედვით. სამიზნე მუნიციპალიტეტებში დაცული ობიექტების შესახებ ინფორმაცია შეგროვდა ადგილობრივ და ცენტრალურ სახელმწიფო ორგანიზაციებთან კომუნიკაციისა და თანამშრომლობის ფარგლებში.

კვლევაში წარმოდგენილია ტურიზმის განვითარების ტენდენციები საქართველოში - სტატისტიკური მონაცემები რეზიდენტი და არარეზიდენტი ვიზიტორების მიხედვით, რომელიც მოიცავს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს 2015-2018 წლეებისა და 2019 წლის სამი კვარტალის მონაცემებს; ასევე საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გაადგილებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების სტატისტიკას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2015-2019 წლების მონაცემებით.

სამუშაო ჯგუფი აქტიურად თანამშრომლობდა წარმოდგენილი მუნიციპალიტეტების შესაბამის სამსახურებთან, რომელთა დახმარებით მოძიებულ და შეგროვებულ იქნა აუცილებელი დოკუმენტური და ფოტო მასალა.

თავი II

მწვანე და ისტორიული ტურიზმის ტენდენციები საქართველოში

კანონმდებლობა, აკადემიური პუბლიკაციები, სტატიები

მწვანე და ისტორიული ტურიზმი საქართველოში მისი ისტორიული წარსულიდან და მდიდარი ბუნებრივ-გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი შესაძლებლობებით გამოირჩევა რეგიონში (ამიერკავკასია).

ტურიზმის განვითარება ჯერ კიდევ XIX-XX სს გარიჟრაჟზე იღებს სათავეს. ქართველი მეცნიერ-მკვლევარები ჩართულნი არიან კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნების ძეგლების დაცვისა და პოპულარიზაციის კამპანიაში.

1925 წელს ქართველი სტუდენტებით დაკომპლექტებულმა ჯგუფმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით განახორციელა პირველი ისტორიული ასვლა მყინვარწვერ იალბუზზე. ამ ფაქტს წინ უძღოდა მწვანე და ისტორიული ტურიზმით დაინტერესებული საზოგადოების ინტესიური და მრავალმხრივი ექსპედიციები საქართველოს მთიანეთში.

დამოუკიდებელი საქართველოს მოცემულობაში მწვანე და ისტორიული ტურიზმის რეგულირების, დაცვისა და პოპულარიზაციის საკანონმდებლო ისტორია 1991 წლის 9 აპრილიდან იღებს სათავეს, როცა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე მიიღო დადგენილება დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ. შესაბამისად მოხდა საქართველოს სსრ და სსრკ-ს შესაბამისი კანონების და საკანონმდებლო აქტების ახალი დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყნის მისწრაფებებსა და მიზნებთა შესაბამისობაში მოყვანა.

საქართველო იუნესკოს სრულუფლებიანი წევრი 1992 წლის 7 ოქტომბერს გახდა. ამავე წელს შეიქმნა იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისია და სამდივნო, რომელიც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ბაზაზე ფუნქციონირებს. კომისიას საქართველოსა და იუნესკოს შორის თანამშრომლობის კოორდინაცია ევალება.

იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში დღეისთვის წარმოდგენილია 1073 ძეგლი, მათ შორის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის 3 ძეგლი:

1. მცხეთის ისტორიული ძეგლები — იუნესკოს სიაში 1994 წელს შეიტანეს და მასში გაერთიანებულია მცხეთის ჯვარი, სვეტიცხოველი და სამთავრო. მოვლა-პატრონობის სისტემის და არათანმიმდევრული განაშენიანების გამო, ისინი 2009 წელს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 33-ე სესიაზე საფრთხის ქვეშ მყოფი ძეგლების ნუსხაში შეიტანეს.

2. გელათის სამონასტრო კომპლექსი — იუნესკოს სიაში 1994 წელს შეიტანეს. აღსანიშნავია, რომ მასთან ერთად ნომინაცია მოიპოვა და ნუსხაში ბაგრატის საკათედრო ტაძარიც შევიდა. 2010 წელს იუნესკოს კომიტეტის 34-ე სესიაზე ბაგრატის ტაძარი და გელათის მონასტერი მსოფლიო მემკვიდრეობის საფრთხის ქვეშ მყოფი ძეგლების ნუსხაში შეიტანეს. 2017 წელს გელათის

სამონასტრო კომპლექსი ამ სიიდან ამოიღეს, ბაგრატის ტაძარი კი, იმავე სესიის გადაწყვეტილებით, 2017 წელს ორგანიზაციის მფარველობიდან გავიდა, ჩატარებული რეკონსტრუქციის გამო.

3. ზემო სვანეთი — იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში 1996 წელს შევიდა. მასში შედის ზემო სვანეთის ისტორიული დასახლება, უშგულის თემის სოფელი ჩაჟაში.

2007 წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში წევრობის კანდიდატად საცდელი სია წარუდგინა. ჯერჯერობით, ნომინაციად არც ერთი არ არის მომზადებული. სიაში 15 ისტორიული და ბუნებრივი ძეგლი შედის:

1. ალავერდი; 2. ანანურის ციხე; ***3. კოლხეთის ეკოსისტემა;*** 4. დავით-გარეჯი; 5. დმანისი; 6. გრემი; 7. კვეტარა; 8. მთა-თუშეთი; 9. ნიკორწმინდა; 10. სამთავისი; 11. შატილი; 12. ძველი თბილისი; 13. უფლისციხე; 14. ვანი; 15. ვარძია-ხერთვისის ციხე.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კონვენციის ფარგლებში შექმნილია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობითი სია, რომელშიც წარმოდგენილია სამი ქართული ნომინაცია:

1. ქართული მრავალხმიანობა - 2001 წელს ქართული მრავალხმიანობა UNESCO-ს მიერ აღიარებულ იქნა, როგორც კაცობრიობის ზეპირსიტყვიერი და არამატერიალური მემკვიდრეობის შედევრი, ხოლო 2008 წელს, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კონვენციაზე საქართველოს მიერთების შემდეგ, ის შეიტანეს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში. აღსანიშნავია, რომ ქართული მრავალხმიანობა მსოფლიოო უნიკალურ, ხელთუქმნელ 19 შედევრს შორის დასახელდა.

2. ქართული ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი - იუნესკოს სიაში შეიტანეს 2013 წელს.

3. ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა - 2016 წელს იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში ამ დასახელებით შევიდა ქართული ანბანის სამი სახეობა - მრგვლოვანი, ნუსხური და მხედრული.

4. იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში შეტანის მიზნით, ორგანიზაციას განსახილველად წარედგინა ნომინაცია „ქართული ჭიდაობა“. გადაწყვეტილება, ნომინაციასთან მიმართებით, 2018 წლის ბოლოს მიიღეს.

მწვანე და ისტორიული ტურიზმის განვითარების, დაცვის და მათი პოპულარიზაციისთვის უშუალოდ კონკრეტული კანონი არ არის საქართველოში მიღებული, თუმცა წარმოდგენილ მიმართულებას მოიცავს და გარკვეულ რეგულაციებში აქცევს ჩვენი მოსაზრებით საქართველოს შემდეგი კანონები:

1. საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ ;
2. საქართველოს კანონი „კულტურის შესახებ“;
3. საქართველოს კანონი „მუზეუმების შესახებ“;

4. საქართველოს კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“;
5. საქართველოს კანონი „სპორტის შესახებ“;
6. საქართველოს კანონი „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“;
7. საქართველოს კანონი „მტირალას ეროვნული პარკის შესახებ“;
8. საქართველოს კანონი „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“;
9. საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“;
10. საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“;
11. საქართველოს კანონი „ბუნების ძეგლების შექმნისა და მართვის შესახებ“;
12. საქართველოს კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“;
13. საქართველოს კანონი „მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების შესახებ“;
14. საქართველოს კანონი „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“;
15. საქართველოს კანონი „ვაზისა და ღვინის შესახებ“;
16. საქარელოს კანონი „წიაღის შესახებ“;
17. საქართველოს კანონი „წყლის შესხებ“;
18. საქართველოს კანონი „ცხოველთა სამყაროს შესახებ“;
19. საქართველოს კანონი „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“;
20. საქართველოს კანონი „ტყის ფონდის მართვის შესახებ“;
21. საქართველოს კანონი „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“;
22. საქართველოს კანონი „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“;
23. საქართველოს კანონი „რადიოაქტიური ნარჩენების შესახებ“
24. საქართველოს კანონი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“;

წყარო: https://matsne.gov.ge

მწვანე და ისტორიული ტურიზმის განვითარებას საქართველოში არაერთი საინტერესო აკადემიური პუბლიკაცია მიეძღვნა, რომელიც სხვადასხვა წელსა და სხვადასხვა ჟურნალში გამოიცა. სტატიებში საუბარია ტურიზმის განვითარების კონცეფციაზე, კრიტერიუმებსა და ტენდეციებზე.

მწვანე და ისტორიული ტურიზმის განვითარების შესახებ ცნობილია რიგი საინტერესო აკადემიური პუბლიკაციები.

მათ შორის:.

1. მწვანე ტურიზმი საქართველოში - პუბლიკაცია განიხილავს მწვანე ტურიზმის კონცეფციას და კრიტერიუმებს. ასევე აღწერს თორმეტი მწვანე ტურიზმის პრაქტიკოსის წარმატების ისტორიასა და შეთავაზებების მრავალფეროვნებას. ***ავტორი:*** *საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ);* ***გამოქვეყნების თარიღი:*** *2018;* ***თემა:*** *ტურიზმის განვითარება;* ***პუბლიკაციის ტიპი:*** *ელ წიგნები ინგლისური;* ***წყარო: https://gnta.ge/***

2. ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში (2019) - კრებულში თავმოყრილია 2019 წელს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებულ თბილისის კონფერენციაზე “ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში” წარმოდგენილი საუკეთესო ნაშრომები. კონფერენციის მიზანია სტუდენტების იდეებისა და არგუმენტირებული მოსაზრებების წარმოჩენა ქვეყანაში ტურიზმის პოლიტიკის მიმართულებებსა და განვითარების პერსპექტივებზე. ***თემა:*** *ტურიზმის განვითარება;* ***პუბლიკაციის ტიპი:*** *ელ წიგნები;* ***წყარო: https://gnta.ge/ge/publikation/conference2019/***

3. ქართული ტურიზმის გამოწვევები - განვითარების პერსპექტივები და ტურიზმის პოლიტიკა. წინამდებარე ნაშრომი განიხილავს ქართული ტურიზმის გამოწვევებს. მისი მიზანია საინფორმაციო საშუალებებით და ინტერნეტ სივრცეში ურთიერთგამომრიცხავი პუბლიკაციების მეშვეობით უმეტესწილად არასწორი ინფორმაციის გავრცელების წარმოჩენა „Facebook“ და სხვა სოციალური ქსელების მომხმარებლებისთვის სათანადო ახსნა-განმარტების გაკეთება. ***ავტორი:*** *ნიკო კვარაცხელია;* ***გამოქვეყნების თარიღი:*** *2019;* ***თემა:*** *ტურიზმის განვითარება;* ***პუბლიკაციის ტიპი:*** *ანგარიშები;* ***წყარო:*** *https://gnta.ge/*

4. ტურიზმის სტატისტიკის საერთაშორისო რეკომენდაციები 2008. პრაქტიკული სახელმძღვანელო. რეკომენდაციები და ტურიზმის სტატისტიკა. - პუბლიკაცია წარმოადგენს სრულყოფილ მეთოდოლოგიურ საფუძველს ტურიზმის სტატისტიკის შეგროვებასა და დამუშავებაზე ყველა ქვეყანაში, მათი სტატისტიკური სისტემების განვითარების დონის მიუხედავად. მისი მთავარი მიზნობრივი სეგმენტი არის ტურიზმის სტატისტიკის შეგროვებაში ჩართული ეროვნული სტატისტიკური ოფისების და ეროვნული ტურისტული ადმინისტრაციების თანამშრომლები. პუბლიკაცია, ასევე, შეიცავს მდიდარ ინფორმაციას, რომელიც შესაძლოა საინტერესო იყოს მონაცემთა მომხმარებლებისთვის, ვისაც სურს, უკეთ გაიგოს ტურიზმის მონაცემთა არსი. გარდა ამისა, მოცემულია მონაცემთა წყაროებისა და მონაცემთა შეგროვების მეთოდების ზოგადი გზამკვლევი, რომელსაც 2010 წელს დაემატა სახელმძღვანელო მონაცემთა შეგროვების შესახებ. პუბლიკაცია თარგმნილია საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დაკვეთით. ***ავტორი:*** *საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია.* ***გამოქვეყნების თარიღი:*** *2010;* ***თემა:*** *სტატისტიკა;* ***პუბლიკაციის ტიპი:*** *ელ წიგნები;* ***წყარო:*** *https://gnta.ge/*

5. ღვინის გზის გზამკვლევი (ინგლისური). კულტურული მემკვიდრეობა - მარშრუტები და ღვინო. ღვინის გზის გზამკვლევი მიმოიხილავს ღვინის კეთების ისტორიას საქართველოში, ღვინის სასმისებს, სუფრას და ქართული ყურძნის პოპულარულ ჯიშებს. აქვე თქვენ ნახავთ რთველის ლექსიკონსა და ინფორმაციას ღვინის მარნების შესახებ. ***ავტორი:*** *საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;* ***გამოქვეყნების თარიღი:*** *2019;* ***თემა:*** *ღვინო და საკვები;* ***პუბლიკაციის ტიპი:*** *გზამკვლევები და რუკები ინგლისური;* ***წყარო:*** *https://gnta.ge/*

6. ბუნების შემსწავლელი ბილიკები. ეკოტურიზმი - მარშრუტები და ტურისტული რუკა. ბუნების შემსწავლელი ბილიკების საველე მეგზური ქართულ და ინგლისურ ენაზე, შეიქმნა თბილისის შემოგარენში იდენტიფიცირებული ბილიკების შესახებ. პუბლიკაცია სრულად შეიცავს

სასწავლო-სალაშქრო ბილიკების გასავლელად საჭირო ინფორმაციას (ზოგადი დახასიათება, გეოლოგია, გეომორფოლოგიური და გეოდინამიური პროცესები, კლიმატი და შიდა წყლები, ნიადაგები, მცენარეული საფარი, ადგილმდებარეობასთან მიმავალი ტრანსპროტი, მარშრუტის მახასიათებლები და შესაბამისი რუკა). ***ავტორი:*** *საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია;* ***გამოქვეყნების თარიღი:*** *2013; რეგიონი: თბილისი;* ***თემა:*** *ბუნება და თავგადასავალი;* ***პუბლიკაციის ტიპი:*** *გზამკვლევები და რუკები;* ***წყარო:*** *https://gnta.ge/*

7. როგორ შევქმნათ ეკოტურისტული პროდუქტი. დაცული ტერიტორიები - ეკოტურიზმი და პრაქტიკული სახელმძღვანელო. სახელმძღვანელო მომზადებულია ეკო-ტურიზმის განვითარების ცენტრის მიერ განხორციელებული პროექტის – „სენაკისა და მარტვილის მუნიციპალიტეტებში მდგრადი ეკოტურისტული მომსახურების განვითარება ადგილობრივი თემის ჩართულობისა და არაფორმალური დუალური განათლების გზით“ – ფარგლებში საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაციასთან თანამშრომლობით. პუბლიკაციაში განხილულია რეგიონში ეკოტურისტული პროდუქტის შექმნისათვის არსებული რესურსები და პოტენციალი. აქვე ნახავთ ეკოტურისტული პროდუქტის შექმნისთვის საჭირო მნიშვნელოვან ინფორმაციას. ***ავტორი:*** *საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია;* ***გამოქვეყნების თარიღი:*** *2016;* ***რეგიონი:*** *სამეგრელო-ზემო სვანეთი;* ***თემა:*** *ბუნება და თავგადასავალი კულტურული მემკვიდრეობა;* ***პუბლიკაციის ტიპი:*** *ელ წიგნები;* ***წყარო:*** *https://gnta.ge/*

8. ,,კულტურული ტურიზმი: თეორია და პრაქტიკა". განვითარების პერსპექტივები და კულტურული მემკვიდრეობა. "კულტურული ტურიზმი: თეორია და პრაქტიკა" – ქართულ ენაზე ასეთი შინაარსის ნაშრომის გამოცემის პირველი მცდელობაა. იგი შედგება რვა თავისგან და მასში განხილულია; კულტურული ტურიზმის ბაზარი, კულტურული ტურიზმის ტენდენციები და დინამიკა; ატრაქციები და ღირშესანიშნაობები, როგორც კულტურული ტურიზმის ობიექტები. იუნესკოს როლი კულტურული ტურიზმის განვითარებაში; მენეჯმენტი კულტურულ ტურიზმში; თემატური მოგზაურებები ტურიზმში და საქართველოს თემატური ტურები „საქართველო აბრეშუმის გზაზე" და „ღვინის ტურიზმის მაგალითზე"; საექსკურსიო მომსახურეობის მნიშვნელობა კულტურულ ტურიზმში. ***ავტორი:*** *ნიკო კვარაცხელია;* ***გამოქვეყნების თარიღი:*** *2009;* ***თემა:*** *კულტურული მემკვიდრეობა;* ***პუბლიკაციის ტიპი:*** *დისერტაცია;* ***წყარო:*** *https://gnta.ge/*

9. ტურიზმის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების პრიორიტეტები. ტურიზმის ეფექტები, ტურიზმის პოლიტიკა, ტურიზმის სტატისტიკა. ნაშრომში განხილულია საქართველოში ტურიზმის ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების პრიორიტეტები. საქართველოს ტურიზმის სტატისტიკის საერთაშორისო რეკომენდაციებთან შესაბამისობასთან შედარების, მსოფლიოში გავრცელებული ეკონომიკური კონტრიბუციის მოდელების და საერთაშორისო ორგანიზაციების პოლიტიკური დოკუმენტების ანალიზის შედეგად ნაშრომში ჩამოყალიბებულია შესაბამისი მეცნიერული სიახლეები. ***ავტორი:*** *გიორგი ბრეგაძე;* ***გამოქვეყნების თარიღი:*** *2018;* ***თემა:*** *ტურიზმის განვითარება;* ***პუბლიკაციის ტიპი:*** *დისერტაცია;* ***წყარო:*** *https://gnta.ge/*

10. სათხილამურო კურორტების განვითარების გეგმა (ინგლისური). ექსტრემალური ტურიზმი, კურორტები, საქართველოს მთები. სათხილამურო კურორტების განვითარების გეგმა

მიმოიხილავს მთის კურორტების განვითარების კომპანიას, მის მიზნებსა და ხედვას, საქართველოს მთების შესახებ ზოგად ინფორმაციას. აქვე ნახავთ თითოეული კურორტის ზოგად აღწერას, მათი განვითარების გეგმებსა და ვიზიტორთა სტატისტიკის შესახებ ინფორმაციას. ***ავტორი:*** *მთის კურორტების განვითარების კომპანია;* ***გამოქვეყნების თარიღი:*** *2017;* ***თემა:*** *ბუნება და თავგადასავალი ტურიზმის განვითარება;* ***პუბლიკაციის ტიპი:*** *ინგლისური პრეზენტაციები;* ***წყარო:*** *https://gnta.ge/*

11. ტურიზმის სტატისტიკა (2019 წლის II კვარტალი). ვიზიტორების მახასიათებლები, ტოპ ადგილები, ტურიზმის სტატისტიკა. 2019 წლის II კვარტლის სტატისტიკური პრეზენტაცია აღწერს ტურიზმის სექტორში არსებულ მდგომარეობას. პუბლიკაცია სტატისტიკურად მიმოიხილავს შემდეგ საკითხებს: საერთაშორისო ვიზიტები, საერთაშორისო და შიდა ვიზიტორების მახასიათებლები, ეკონომიკური ინდიკატორები და განთავსების საშუალებების ბაზარი. ***ავტორი:*** *საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;* ***გამოქვეყნების თარიღი:*** *2019;* ***თემა:*** *სტატისტიკა;* ***პუბლიკაციის ტიპი:*** *პრეზენტაციები;* ***წყარო:*** *https://gnta.ge/*

12. ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა. დასაქმება ტურიზმში, მომსახურების განვითარება, ტურიზმის სტატისტიკა. ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევის შედეგების პრეზენტაცია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე. ***ავტორი:*** *საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;* ***გამოქვეყნების თარიღი:*** *2018;* ***თემა:*** *სტატისტიკა;* ***პუბლიკაციის ტიპი:*** *პრეზენტაციები.* ***წყარო:*** *https://gnta.ge/*

13. საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025. განვითარების პერსპექტივები, ტურიზმის სტატისტიკა, ტურიზმის სტიმულირება. „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025" წარმოადგენს გზამკვლევს, რომელიც ხელს შეუწყობს ტურიზმის მდგრად განვითარებას, მიღებული შემოსავლების გაზრდასა და დარგის მნიშვნელობის ამაღლებას. დოკუმენტში აღწერილია არსებული მდგომარეობა, სამიზნე ინდიკატორები, რვა სტრატეგიული ამოცანა და შესაბამისი აქტივობები. ***ავტორი:*** *საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;* ***გამოქვეყნების თარიღი:*** *2015;* ***თემა:*** *ტურიზმის განვითარება;* ***პუბლიკაციის ტიპი:*** *სტრატეგიული დოკუმენტები;* ***წყარო:*** *https://gnta.ge/*

სტატისტიკური მონაცემები

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს 2015-2018 წლებისა და 2019 წლის სამი კვარტლის მონაცემით 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორებისა და მათ მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება მონახულებული რეგიონების მიხედვით (ათასი), სტატისტიკა სულ საქართველოში წარმოდგენილია მზარდი მაჩვენებელით. აღნიშნული მონაცემებით არ ხერხდება ცალკეული მუნიციპალიტეტის მიხედვით დაკვირვება და შემოვიფარგლეთ რეგიონების მიხედვით არსებული სტატისტიკით; ცალკე მონაცემებია აჭარის რეგიონისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის შესახებ, ხოლო გურია გაერთიანებულია ნაკლებად მონახულებად რეგიონებში და მონაცემები წარმოდგენილია სხვა რეგიონების სახით.

რეზიდენტი ვიზიტორები

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

N	რეგიონები - 2015	ვიზიტორების რაოდენობა	%	ვიზიტების რაოდენობა	%
1	სულ საქართველოში	840,3	100	1034,1	100
2	აჭარა	93,4	11,1	111,7	10,8
3	სამეგრელო-ზემო სვანეთი	69,7	8,3	84,0	8,1
4	სხვა რეგიონები	32,8	3,9	38,8	3,8

N	რეგიონები - 2016	ვიზიტორების რაოდენობა	%	ვიზიტების რაოდენობა	%
1	სულ საქართველოში	877,0	100	1085,9	100
2	აჭარა	100,5	11,5	117,5	10,8
3	სამეგრელო-ზემო სვანეთი	69,2	7,9	81,5	7,5
4	სხვა რეგიონები	39,3	4,5	47,8	4,4

N	რეგიონები - 2017	ვიზიტორების რაოდენობა	%	ვიზიტების რაოდენობა	%
1	სულ საქართველოში	867,5	100	1057,9	100
2	აჭარა	111,0	12,8	136,1	12,9
3	სამეგრელო-ზემო სვანეთი	66,7	7,7	77,4	7,3
4	სხვა რეგიონები	42,0	4,8	49,0	4,6

N	რეგიონები - 2018	ვიზიტორების რაოდენობა	%	ვიზიტების რაოდენობა	%
1	სულ საქართველოში	919,2	100	1100,9	100
2	აჭარა	122,6	13,3	147,9	13,4
3	სამეგრელო-ზემო სვანეთი	66,9	7,3	76,5	6,9

4	სხვა რეგიონები	38,1	4,1	44,4	4,0

N	რეგიონები - 2019 / სამი კვარტალის მონაცემი	ვიზიტორების რაოდენობა	%	ვიზიტების რაოდენობა	%
1	სულ საქართველოში	1001,7	100	1206,9	100
2	აჭარა	141,4	14,1	171,0	14,2
3	სამეგრელო-ზემო სვანეთი	76,9	7,7	90,6	7,5
4	სხვა რეგიონები	46,4	4,6	54,3	4,5

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგანტოს 2015- 2019 წლების მონაცემებით 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორებისა და მათ მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება მონახულებული რეგიონების მიხედვით (ათასი), სტატისტიკა სულ საქართველოში წარმოდგენილია ასევე მზარდი მაჩვენებელით. აღნიშნული მონაცემებით არ ხერხდება ცალკეული მუნიციპალიტეტების მიხედვით დაკვირვება და შემოვიფარგლეთ რეგიონების მიხედვით არსებული სტატისტიკით; ცალკე მონაცემებია წარმოდგენილი მხოლოდ აჭარის რეგიონის შესახებ, რაც შეეხება სხვა რეგიონებს (სამეგრელო და გურია) სადაც მდებარეობს ჩვენი სამიზნე მუნიციპალიტეტები (ფოთი, ლანჩხუთი) აღნიშნულ სტატისტიკურ მონაცემებში წარმოდგენილია სხვა რეგიონების სახით.

არარეზიდენტი ვიზიტორები

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

N	რეგიონები - 2015	ვიზიტორების რაოდენობა	%
1	სულ საქართველოში	541,9	100
2	აჭარა	131,0	24,2
3	სხვა რეგიონები	23,7	4,4

N	რეგიონები - 2016	ვიზიტორების რაოდენობა	%
1	სულ საქართველოში	619,7	100
2	აჭარა	139,3	22,5

3	სხვა რეგიონები	28,0	4,5

N	რეგიონები - 2017	ვიზიტორების რაოდენობა	%
1	სულ საქართველოში	779,3	100
2	აჭარა	159,9	20,5
3	სხვა რეგიონები	38,8	5,0

N	რეგიონები - 2018	ვიზიტორების რაოდენობა	%
1	სულ საქართველოში	851,0	100
2	აჭარა	175,4	20,6
3	სხვა რეგიონები	40,1	4,7

N	რეგიონები - 2019	ვიზიტორების რაოდენობა	%
1	სულ საქართველოში	902,3	100

2	აჭარა	189,1	21,0
3	სხვა რეგიონები	46,5	5,2

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების სტატისტიკა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2015-2019 წლების მონაცემებით დასტურდება, რომ 2019 წელს 2015 წელთან შედარებით საქართველოში შემოსული უცხო ქვეყნის მოქალაქეთა რიცხვი გაზრდილია 3123 298-ით.



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით მზარდი მაჩვენებელითაა წარმოდგენილი შემდეგი ქვეყნები საზღვრის კვეთის მიხედვით. 2018-2019 წლების მონაცემებით საქართველოს საზღვარი ყველაზე ხშირად გადმოკვეთა აზერბაიჯანის მოქალაქეებმა; მათ მოყვება სომხეთის, რუსეთის ფედრაციის, თურქეთის, ევროკავშირის ქვეყნების, უკრაინისა და ისრაელის მოქალაქეები.



	აზერბაიჯანი	სომხეთი	რუსეთის ფედერაცია	თურქეთი	ევროკავშირის ქვეყნები	უკრაინა	ისრაელი
2018 წ.	1807185	1725010	1705217	1312236	433250	204955	173365
2019 წ.	2015435	1873823	1793005	1365004	541895	242947	227728

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა საზღვრის კვეთის სტატისტიკური მონაცემები სქესის და ასაკის მიხედვით (2019 წელი)

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით შესაძლებელია ცალ-ცალკე წარმოვადგინოთ არა მხოლოდ ქალისა და მამაკაცის რაოდენობა, არამედ აგრეთვე ასაკობრივი ზღვარი როგორც საზღვარზე შემოსული, ასევე ქვეყნიდან გასული უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიხედვით.

მამაკაცი



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

ქალი



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

2015-2019 წლების სტატისტიკურ მონაცემებზე დაკვირვებით ჩანს, რომ საქართველოში მწვანე და კულტურული ტურიზმით დაინტერესებულთა რიცხვი, მეტ-ნაკლებად მზარდი მაჩვენებლით ხასიათდება. ზრდა მოიცავს როგორც რეზიდენტი, ისე არარეზიდენტი ვიზიტორების კატეგორიას. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი ხუთი წლის სახელმწიფო და კერძო ინსტიტუციების მიზანმიმართული და გამართული მარკეტინგული პოლიტიკის შედეგად საქართველო მოექცა მიმზიდველ და ტურისტულად ხშირად მონახულებად ქვეყნებთა შორის.

N		აზერბაიჯანი	თურქეთი	რუსეთი	სომხეთი	ცენტრ. და აღმ. ევროპა	სხვა ევროპა	სხვა ქვეყნები
1	ჩემი პირველი ვიზიტი	4,4 %	28,6 %	34,0 %	0,9 %	58,7 %	60,6 %	71,4 %
2	განმეორებითი ვიზიტი	95,6 %	71,4 %	66,0 %	99,1 %	41,3 %	39,4 %	28,6 %
3	ჯამი	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%

N		აზერბაიჯანი	თურქეთი	რუსეთი	სომხეთი	ცენტრ. და აღმ. ევროპა	სხვა ევროპა	სხვა ქვეყნები	ჯამი
1	ჩემი პირველი ვიზიტი	3,8 %	17,3 %	25,9 %	0,5 %	15 %	17,6 %	19,8 %	100 %
2	განმეორებითი ვიზიტი	31,1 %	16 %	18,7 %	23,2 %	3,9 %	4,2 %	2,9 %	100 %

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საერთაშორისო ვიზიტორების კვლევის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით 2018 წელს საქართველოში შემოსულ ვიზიტორთა გამოკითხვის შედეგად, თუ რომელი რეგიონი მოინახულეს, მონაცემები შემდეგია: აჭარა - 30,4 %, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 2,2 %, გურია - 1,3 %. ხოლო შეკითხვაზე საქართველოში ვიზიტისას რომელი ადგილები მოინახულეს, ჩვენი სამიზნე ქალაქების მიმართებაში ასეთი მონაცემები ფიქსირდება: ბათუმი - 29,0 %, ქობულეთი - 3,2 %, სხვა - 8,9 %. სამწუხაროდ ქალაქი ფოთი და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი ჩამოთვლილი ქალაქების სიაში არ არის.

წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები, მეტ-ნაკლები სიზუსტით გადმოგვცემს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს 2015-2018 წლებისა და 2019 წლის სამი კვარტალის მონაცემებზე დაყრდნობით როგორც რეზიდენტი, ასევე არარეზიდენტი ვიზიტორების რაოდენობას; ამ მონაცემებს ამყარებს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების სტატისტიკა, რომელიც წარმოადგენილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2015-2019 წლების მონაცემებით.

თავი III

მწვანე და ისტორიული/კულტურული ტურიზმის ინფრასტრუქტურა

ფოთის მუნიციპალიტეტი

ფოთის მუნიციპალიტეტის დროშა და გერბი

N	ფოთის მუნიციპალიტეტი	
1	მოსახლეობა	41 465
2	ფართობი	69 კვ.კმ.

3	ავტოსადგური	რეკვავას ქ.9	
4	რკინიგზის სადგ.	ფოთი. რეკვავას ქ. 1	
5	აეროპორტი	უახ. ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი	უახ. ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი
6	საზღვაო ნავსადგური	აღმაშენებლის ქ. 38	
7	ხუროთმოძღვრების ძეგლები	10	
8	ბუნების ძეგლები	1 1	
9	ადმინისტრაციული ორგანოს მისამართი	ქ.ფოთი, აღმაშენებლის 12	
10	საინფორმაციო ცენტრი	რუსთაველის ქ. 4	
11	საფოსტო ინდექსი	4400	

ისტორია: ქალაქი ფოთი ანტიკური ფაზისის მემკვიდრეა, რომელიც დაარსდა ძვ.წ. VII საუკუნეში და მნიშვნელოვან საპორტო ქალაქს წარმოადგენდა.

ქალაქი ფაზისი ფოთად, ოფიციალურად ისტორიულ ლიტერატურაში, პირველად მოხსენიებული აქვს VIII საუკუნის სომეხ ისტორიკოსს ღევონდის. ხოლო ქართულ წყაროთა შორის ფოთი პირველად გვხვდება XI საუკუნიდ ძეგლში „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“.

ქალაქი ფოთი მე-20 საუკუნის 50-60-იან წლებში გაიზარდა და სრულიად შეიცვალა იერსახე. აშენდა ახალი საცხოვრებელი მასივები, სამკურნალო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, სპორტულ - ტურისტული ბაზები. ფოთი გახდა კოლხეთის ჭაობების დაშრობისა და ათვისების სამეცნიერო ცენტრი. ფოთის ტერიტორიაზე განლაგებულია 20 საშუალო და სპეციალური სასწავლებელი, ბიბლიოთეკები, უმაღლესი სასწავლებლები, ფოლკლორის ცენტრი, ქორეოგრაფიული სტუდია, გ. ჩიტაიას სახელობის კოლხური კულტურისა და ფოთის ისტორიის მუზეუმი და მრავალი სხვა დაწესებულება.

დღეს ფოთი ქართული ეკონომიკის ერთ-ერთ ფუნდამენტურ რეგიონად მიიჩნევა. ფოთის საზღვაო ნავსადგური შავი ზღვის აუზის ერთ-ერთი უდიდესი ნავსადგურია. იგი მდებარეობს ტრასეკას კორიდორზე და წარმოადგენს კავკასიის სატრანსპორტო ქსელის უდიდეს სეგმენტს. ფოთს ევროპა-აზიის კორიდორში მნიშვნელოვანი ფუნქცია დაეკისრა. 2008 წლის 15 აპრილს ფოთში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის პრეზენტაცია გაიმართა.

ფოთის მუნიციპალიტეტის ღირშესანიშნაობანი:

ფოთის შუქურა

ობიექტის დასახელება: *ფოთის შუქურა;*
მფლობელი: *საქართველოს ჰიდროგრაფიული სამსახური;*
განმსაზღვრელი მახასიათებლები: *კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი;*
გასართობი და დასასვენებელი ადგილები: *შუქურა მდებარეობს ზღვისპირა სკვერის მიმდებარედ;*
წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *შესაძლებლობა აქვთ დაათვალიერონ მხოლოდ შუქურას პირველ სართულზე განლაგებული ექსპოზიციები;*
ტრანსპორტი, საკომუნიკაციო საშუალებებთან წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *ძეგლთან მისვლა შესაძლებელია საქალაქო ტრანსპორტით, ტაქსით, ასევე შესაძლებელია გადაადგილება ქალაქის ცენტრიდან ფეხით; გაუმართავი საქალაქო ინფრასტრუქტურა აძნელებს ეტლით მოსარგებლეების დამოუკიდებლად გადაადგილების შესაძლებლობას;*
კონსერვაციისა და დაცვის საკითხები: *კონსერვაცია ძეგლზე განხორციელდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნების შესაბამისად. ძეგლის დაცულობას უზრუნველყოფს სახელმწიფო, საქართველოს ჰიდროგრაფიული სამსახური;*
ძეგლის მისამართი: *ფოთი, დიმიტრი თავდადებულის ქ.N83;*

ფოთის შუქურა არის ცილინდრული ლითონის კოშკი, წითელი და თეთრი ჰორიზონტალური ზოლებით. ნავიგაციაში მას ორმაგი დატვირთვა აქვს: ის არის ცენტრალური მანათობელი სანავიგაციო ნიშანი, რომელიც გამოიყენება როგორც დღეღამის ორიენტირი ფოთის, ყულევის პორტებში და სუფსის ტერმინალში შემსვლელ–გამომსვლელი გემებისათვის. ფოთის შუქურა ასევე წარმოადგენს ფოთის პორტის შესასვლელი არხის მეორე მუხლის უკანა სახაზე ნიშანს. ხასიათდება თეთრი და წითელი მონაცვლეობითი ნათებით, ხედვის სიშორე 17 და 16 საზღვაო მილია. ფოთის შუქურა საქართველოს საზღვაო სანაპიროზე სიმაღლით პირველია.

1858 წელს ქ. ფოთი საპორტო ქალაქად გამოცხადდა და ნაოსნობის რეგულირებისა და უსაფრთხოების მიზნით დადგა შუქურის აშენების აუცილებლობა. ქალაქის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ლონდონში, ბრიტანულ საინჟინრო კომპანიას ,,Easton Amos & Sons Engineers"–ს გაუგზავნა შეკვეთა. 1862 წელს დამზადებულ იქნა თუჯის ფილებისგან შემდგარი კონსტრუქცია, რომელიც ბრიტანეთიდან ჯერ ქ. ოდესაში, იქიდან სამხედრო სატრანსპორტო გემ ,,ბომბორათი" ქ. ბათუმში და ქ. ბათუმიდან ქ. ფოთში კერძო თბომავლით ჩამოიტანეს.

ერთ თვეში შესაძლებელი გახდა შუქურის საძირკველში რკინის ბოძების ჩახრახვნა და საძირკველის მომზადება. შუქურის მთლიანი კონსტრუქციის აწყობას კი ექვსი თვე დასჭირდა. თუჯის ფილები იარუსების მიხედვით იყო დანომრილი. კედლებზე ეს ნომრები დღესაც იკითხება. ნაგებობა მთლიანად შედუღების გარეშე, ხრახნებითა და ჭანჭიკებით არის აწყობილი.
პირველი სანათი ფრანგული წარმოებისა იყო: ფრანგი ფიზიკოსის ოგიუსტენ ჟან ფრენელის მიერ, საგანგებოდ შუქურებისთვის შექმნილი ფრენელის ლინზა. ოპტიკური აპარატი თავდაპირველად შედგებოდა მბრუნავი მექანიზმისა და ლილვისაგან, ხოლო საათი, რომელიც შუქურის ნათების პერიოდულობას არეგულირებდა მოძრაობაში მოდიოდა 250 კილოგრამიანი გირის საშუალებით. ოპტიკური აპარატის სინათლის წყაროს უზრუნველყოფდა შვედური ფირმის მიერ დამზადებული ნავთის აპარატი, ექვს ლიტრიანი მეტალის ავზით, საიდანაც საწვავი 2-3 კგ. ატმოსფერული წნევით მიეწოდებოდა ნავთქურას, რომელიც დამონტაჟებული იყო შუქურის სინათლის ამრეკლავი ლინზის ცენტრში. ნავთქურიდან გამოსული ალი გავარვარებამდე ახურებდა მეტალის ბადეს, ბადე კი გამოყოფდა სინათლეს, რომელიც კონცენტრირდებოდა ოპტიკური აპარატის ფოკუსში, რაც ქმნიდა მიმართულ სხივს და წარმოადგენდა ორიენტირს მცურავი საშუალებებისათვის. საწვავად ასევე გამოიყენებოდა: ღორის ქონი, გაზი, ზეითუნის ზეთი, რომელიც შუქურის მცველებს და მომვლელებს ბაგირის მეშვეობით აჰქონდათ სანათ მოწყობილობამდე.

წყარო: საქართველოს ჰიდროგრაფიული სამსახური.

ფოთის ტაძარი

ობიექტის დასახელება: *ფოთის საკათედრო ტაძარი;*
მფლობელი: *საქართველოს საპატრიარქო;*
განმსაზღვრელი მახასიათებლები: *სულიერი ფასეულობა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი;*
გასართობი და დასასვენებელი ადგილები: *ტაძარი მდებარეობს ცენტრალური პარკის მიმდებარედ; ახლოს მდებარეობს საბავშვო ბიბლიოთეკა და ფოთის სახელმწიფო თეატრი;*
წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *შესაძლებლობა არის მოწყობილი პანდუსებით მოიილოცონ როგორც ტაძარი, ასევე ეკლესიის ეზოში არსებული სუვენირების მაღაზია;*
ტრანსპორტი, საკომუნიკაციო საშუალებით წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *ძეგლთან მისვლა შესაძლებელია საქალაქო ტრანსპორტით, ტაქსით, ასევე შესაძლებელია გადაადგილება ქალაქის ცენტრიდან ფეხით; ქალაქის ცენტრიდან შესაძლებელია დამოუკიდებლად გადაადგილდნენ ეტლით მოსარგებლეები;*
კონსერვაციისა და დაცვის საკითხები: *კონსერვაცია და რეაბილიტაცია განხორციელდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნების შესაბამისად. ძეგლის დაცულობას უზრუნველყოფს საქართველოს საპატრიარქო;*
ძეგლის მისამართი:*შოთა რუსთაველის რკალი N3.*

ფოთის მაცხოვრის აღდგომის საკათედრო ტაძარი. მოიცავს ასევე ღვთისმშობლის შობისა და წმ. გიორგის სახელობის სამლოცველოებს.

საკათედრო ტაძარი მდებარეობს ქალაქის ისტორიულ ნაწილში, კერძოდ ყოფილ ბაღში, დღევანდელი ცენტრალური კულტურისა და დასვენების პარკში. შენობის ადგილმდებარეობა ისეა შერჩეული, რომ იგი ქალაქის ცენტრში გამომავალ ყველა ცენტრალური სხივური ქუჩიდან აღიქმება. ფოთი არის ქალაქი, რომელიც წინასწარი დაგეგმარების მიხედვით გაშენდა. ცენტრალურ მოედანს თორმეტი ქუჩა (თორმეტი მოციქულთა სიმბოლო) უერთდებოდა და მას ,,სხივური“ სახე ჰქონდა. ფოთის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო 1906-1907 წლებში ახალი გრანდიოზული გურია-სამეგრელოს ეპარქიის საკათედრო ტაძრის აგება, რომლის აგებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ნიკო ნიკოლაძეს.

პროექტი შედგენილია არქიტექტორ ა.ზელენკოს მიერ, მოგვიანებით აკადემიკოს რ.მარფელდის მიერ შეტანილი მცირეოდენი შესწორების შემდეგ პროექტი დამტკიცდა. ტაძარი გათვალისწინებული იყო 2000 მლოცველისათვის. ტაძრის მშენებლობას აწარმოებდა ქალაქ ოდესის ,,შავი ზღვის სამშენებლო საზოგადოება'' გენნებიკის სისტემითა და მითითებებით. ტაძრის მშენებლობა დაიწყო 1906 წლის 6 ივლისს და დასრულდა 1907 წლის სექტემბერში. მთლიანად მშენებლობა მიმდინარეობდა წლისა და სამი თვის განმავლობაში.

საბჭოთა პერიოდში ეკლესიაში განთავსებული იყო ფოთის თეატრი. 2005 წელს შენობა გადავიდა საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში. შენობას ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები. აკურთხეს მაცხოვრის აღდგომის სახელობის ტაძრად.

ტაძარი ადაპტირებულია. აქვს ცენტრალიზებული გათბობის სისტემა.

წყარო: http://samegrelo.borbonchia.ge/girsshesa/75-sadasda.html

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახური

ნიკო ნიკოლაძის კოშკი

ობიექტის დასახელება: *ნიკო ნიკოლაძის კოშკი;*
მფლობელი: *საქართველოს ეროვნული მუზეუმი;*
განმსაზღვრელი მახასიათებლები: *კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი;*
გასართობი და დასასვენებელი ადგილები: *კოშკი მდებარეობს ცენტრალური პარკის მიმდებარედ; ახლოს მდებარეობს საბავშვო ბიბლიოთეკა და ფოთის სახელმწიფო თეატრი;*
წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *შესაძლებლობა აქვთ დაათვალიერონ მხოლოდ კოშკის პირველ სართულზე განლაგებული ექსპოზიციები;*
ტრანსპორტი, საკომუნიკაციო საშუალებით წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *ძეგლთან მისვლა შესაძლებელია საქალაქო ტრანსპორტით, ტაქსით, ასევე შესაძლებელია გადაადგილება ქალაქის ცენტრიდან ფეხით; ქალაქის ცენტრიდან შესაძლებელია დამოუკიდებლად გადაადგილდნენ ეტლით მოსარგებლეები;*
კონსერვაციისა და დაცვის საკითხები: *კონსერვაცია და რეაბილიტაცია განხორციელდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნების შესაბამისად. ძეგლის დაცულობას უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული მუზეუმი ;*
ძეგლის მისამართი: *ფოთი, შოთა რუსთაველის რკალი N5 .*

წარმოადგენს ქალაქ ფოთისათვის უძველეს და უმნიშვნელოვანეს ძეგლს როგორც ისტორიული ასევე არქიტექტურული ღირსებების გამო. ქალაქის ცენტრალური პარკის დასავლეთით, ღვთისმშობლის ტაძრის მთავარი შესასვლელის მიმდებარედ დგას ხუთ სართულიანი კოშკი, რომელიც “ნიკო ნიკოლაძის კოშკის“ სახელითაა ცნობილი, რადგან მისი რეკონსტრუქცია ნიკოლაძის სახელთანაა დაკავშირებული. თავისი მოღვაწეობის წლებში ქალაქ ფოთის თავი აღნიშნულ კოშკში ცხოვრობდა. 1578 წელს ფოთს თურქები დაეპატრონენ და ციხესიმაგრე ააშენეს მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროზე. თურქეთისაგან განთავისუფლების შენდეგ 1870 წელს ეს მხარე დაუთვალიერებია რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე მეორეს. იმპერატორის დასახვედრად სახე უცვალეს ფოთის ციხეს, როგორც თურქთა ბატონობის სიმბოლოს. შეცვალეს ციხის გარეგნული ხედი, მოშალეს ციხის შიგნით აღმართული მეჩეთი,

მთავარ შესასვლელთან დააშენეს 2 სართულიანი კოშკი რომელიც კონუსისებრი ხის შპილით მთავრდებოდა. 1896 წელს ნიკო ნიკოლაძემ ციხე-კოშკს კიდევ 2 სართული დააშენა. მე-5 სარეთულზე განთავსებულია მექანიკური საათი რომელიც 1870 წელსაა დამზადებული და ნიკო ნიკოლაძემ პარიზიდან ჩამოიტანა.

http://samegrelo.borbonchia.ge/istordzeg/65-.html

კოლხეთის კულტურის მუზეუმი

ობიექტის დასახელება: *კოლხეთის კულტურის მუზეუმი;*

მფლობელი: *საქართველოს ეროვნული მუზეუმი;*

განმსაზღვრელი მახასიათებლები: *კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი;*

ტრანსპორტი, საკომუნიკაციო საშუალებით წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *ძეგლთან მისვლა შესაძლებელია საქალაქო ტრანსპორტით, ტაქსით, ასევე შესაძლებელია გადაადგილება ქალაქის ცენტრიდან ფეხით; ქალაქის ცენტრიდან შესაძლებელია დამოუკიდებლად გადაადგილდეს ეტლით მოსარგებლეები;*

კონსერვაციისა და დაცვის საკითხები: *კონსერვაცია და რეაბილიტაცია განხორციელდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნების შესაბამისად. ძეგლის დაცულობას უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული მუზეუმი და კოლხეთის კულტურის მუზეუმის ადმინისტრაცია;*

ძეგლის მისამართი: *ფოთი, 26 მაისის ქუჩა N9.*

მუზეუმის შენობა აშენებულია 1907 წელს ნიკო ნიკოლაძის პერიოდში არქიტექტორ ედმუნდ ფრიკის მიერ. გადმოცემის თანახმად, შენობა ეკუთვნოდა ბერძენ ვაჭარს ვინმე ომერ იავგენინოს, რომელსაც შეუყვარდა იქვე მცხოვრები კოლხი ასული და გადაწყვიტა მის სიახლოვეს აეშენებინა საცხოვრებელი სახლი.

http://samegrelo.borbonchia.ge/istordzeg/373-.html

კოლხეთის ეროვნული პარკი

ობიექტის დასახელება: *კოლხეთის ეროვნული პარკი;*
მფლობელი: *საქართველოს დაცული ტერიტორიების ეროვნული სააგენტო;*
განმსაზღვრელი მახასიათებლები: *ბუნების ძეგლი;*
გასართობი და სასასვენებელი ადგილები: *პარკი მდებარეობს ქალაქ ფოთიდან დაშორებით; უახლოეს 1 კმ. მდებარეობს საზოგადოებრივი კვებისა და დასვენების ობიექტები;*
წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *შესაძლებლობა აქვთ დაათვალიერონ პარკის ადმინისტრაციული შენობა, ექსპოზიციები, ისარგებლონ პარკის სასტუმროთი, სასადილოთი და საპიკნიკე ადგილებით; პარკის მუშაკების დახმარებით შესაძლებელია წვდომა გასასეირნებელ ნავებზე;*
ტრანსპორტი, საკომუნიკაციო საშუალებით წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *მისვლა შესაძლებელია საქალაქო ტრანსპორტით, ტაქსით, ასევე შესაძლებელია გადაადგილება ქალაქის ცენტრიდან ფეხით; პარკის ადმინისტრაციის ტერიტორიაზე შესაძლებელია დამოუკიდებლად გადაადგილონენ ეტლით მოსარგებლეები;*
კონსერვაციისა და დაცვის საკითხები: *ბუნების ძეგლის დაცულობას უზრუნველყოფს საქართველოს დაცული ტერიტორიების ეროვნული სააგენტო;*
ძეგლის მისამართი: *ქ. ფოთი, მალთაყვის უბანი, გურიის ქ. #222.*

კოლხეთის ეროვნული პარკი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში. იგი მოიცავს კოლხეთის დაბლობის ვიწრო, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ზოლსა და პალიასტომის ტბის აუზს. ეროვნული პარკი შექმნილია კოლხეთის საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი ეკოსისტემების დაცვისა და შენარჩუნების მიზნით.ეროვნული პარკის ტერიტორია მიმდებარე ზღვის აკვატორიასთან ერთად, ევრაზია-აფრიკის წყლისა და ჭაობის ფრინველთა მიგრაციის გზაზე მდებარე უმნიშვნელოვანეს რეგიონს წარმოადგენს და 1996 წლიდან რამსარის კონვენციის (საერთაშორისო კონვენცია ფრინველთათვის მნიშვნელოვანი წყალჭარბი ტერიტორიების დაცვის შესახებ) წევრია. კოლხეთის დაბლობი ნაშთია დღემდე შემორჩენილი იმ ტროპიკული და სუბტროპიკული ლანდშაფტისა, რომელიც დაახლოებით 10 მილიონი წლის წინათ, გამყინვარების პერიოდამდე უწყვეტ ზოლად იყო გადაჭიმული ევრაზიის კონტინენტზე. მაშინ, როცა უზარმაზარ მყინვარებს მთელი ჩრდ. ევროპა ჰქონდათ დაფარული და მათ სამხრეთისაკენ შემოჭრას მხოლოდ კავკასიონის ქედი აკავებდა, კოლხეთს შემორჩა მცენარეები, რომელიც დღეს მხოლოდ შორეული ტუნდრისა და ტაიგის ჭაობის ეკოსისტემისთვისაა დამახასიათებელი. აქ წარმოდგენილია ცოცხალი პერკოლაციური სფაგნიუმიანი ტორფნარები, რელიქტური ტყეები ტორფიანი საფარველით, ბუნებრივი მტკნარწყლიანი ტბორები, სანაპირო დიუნები, ტბები, ჭარბტენიანი მდელოები.

კოლხეთის ეროვნული პარკის ფლორა 324 სახეობითაა წარმოდგენილი. რომელთაგან 24 სახეობა გლობალური წითელი ნუსხითაა დაცული. განსაკუთრებით საინტერესოა ცოცხალი პერკოლაციური სფაგნუმიანი ტორფნარები, რომლებიც აგებულებითა და ფლორისტული შემადგენლობით გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს ტუნდრისა და ტაიგის მცენარეულობასთან და სუბტროპიკული განედებისათვის უჩვეულო მოვლენაა. აქ გვხვდება ჩრდილოეთის განედებისათვის დამახასითებელი სპეციფიკური მცენარეულობა: სფაგნიუმის ხავსი (Sphagnum palustre),დროზერა (Drosera rotundifolia),ტორფის ისლი (Carex lasiocarpa),რინხოსპორა (Rhynhosporaalba), დროზერა (Drosera rotundifolia), ჩრდილოეთის ისლი, (Carexlasiocarpa).ამ ტიპის ტორფნარებს კავშირი არა აქვთ გრუნტის წყალთან და მარტო წვიმის წყლით საზრდოობენ.

სფაგნუმის ხავსებს წყლის შეწოვის მაღალი უნარი გააჩნია, ის მესამეული პერიოდის რელიქტია, თბილი და ტენიანი კლიმატის პირობებში გამოირჩევა მაღალი ზრდის ტემპით , ამავე დროს ყველაზე მეტად რეაგირებენ კლიმატის გაჭუჭყიანებაზე და შეიძლება განვიხილოთ როგორც ეკოლოგიური მდგომარეობის ინდიკატორი, ე.წ. „ლანდშაფტის თირკმლები“.

კოლხეთის ჭაობებში სფაგნუმის მიერ შექმნილ „ბალიშებზე“ ჩრდილოეთის განედებისთვის დამახასიათებელ ხავსის სახეობებთან ერთად ხარობს სუბტროპიკული განედებისათვის ტიპიური მცენარეულობა: იელი (Rododendron pontikum), შქერი (Rod. Luteum).

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა იმნათის პერკოლაციური ტორფნარები, რომლის ფართობი 3.5 ჰაა, რაც საქართველოს ტორფნარების 11%-ს შეადგენს, აქ ტორფის ფენები 12 მ-ზე ღრმაა.

მსოფლიოს უდიდესი და უძველესი გუმბათოვანი იმნათის ტორფნარი ჰიდროგენეტიკაზე დაყრდნობით მხოლოდ ატმოსფერული ნალექებით მოსაზრდოვე მსოფლიოს ორი პერკოლაციური ტიპის ტორფნარიდან ერთ-ერთია (პირველი, ისპანი 2-ის ტორფნარი ქობულეთის დაცულ ტერიტორიებზეა), სადაც ტორფის აკუმულაციის პროცესი დღესაც გრძელდება.

დომინანტი სახეობაა ხერხა (Cladium mariscus), ჩრდილოეთის ისლი (Molina littoralis) დაცულობის გლობალური სტატუსი აქვს მინიჭებული აუსტინის სფაგნუმს (Sphagnum austini) და ჭაობის სფაგნუმს (Sphagnum palustre).

ისეთი დაჭაობებული კოლხური რელიქტური ტყეები როგორსაც შეხვდებით მდ. ფიჩორის, მდ. ჭურიის და ტორფნარის განაპირას, კოლხეთის დაბლობის გარდა საქართველოში სხვაგან არსად გვხვდება. აქაური მცენარეები შეგუებულნი არიან ჭარბ ტენს, თბილ კლიმატს , მაღალ ფარდობით ტენიანობას, ხშირ დატბორვებს. ამ ტყეებში დომინანტის სახით გვევლინება მურყანი (Alnus Barbata). კოლხური რელიქტური ტყეები არშიასავით არტყია სფაგნუმიან ტორფნარებს. ტყეებში იზრდება გლობალური წითელი ნუსხის მერქნიანი სახეობები: ლაფანი (*Pterocarya fraxinifolia*),კოლხური ბზა (*Buxus colchica*), ბროწეული (*Punica granatum*),ლეღვი (*Ficus carica*).

კავკასიის წითელი ნუსხისა და საქართველოს წითელი ნუსხის სახეობა: ჰართვისის მუხა *(Quercus hartwissiana*), ნეკერჩხალი (*Acer orthocampestre*), იფანი (*Fraxinus excelsior),* რცხილა (*Carpinus betulus).*

ქვეტყე წარმოდგენილია შემდეგი სახეობებით:კოლხური ჭყორი *(Ilex colchica),* თაგვისარა (*Ruscus ponticus).*

ლიანებიდან გვხვდება: ეკალღიჯი (*Smilax excelsa),* კოლხური სურო (*Hedera colchica),* ღვედკეცი (*Periploca graeca),* ცხრატყავა (*Lonicera caprifolia),* სვია *(Humulus lupulus*).

კოლხური ტყეები და ჭარბტენიანი ეკოსისტემები წარდგენილია IUNESCO-ში, როგორც მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბანი.

კოლხეთის ეროვნული პარკის ნამდვილი მშვენებაა პალიასტომის ტბა, რომელიც წარსულში შავი ზღვის ყურე იყო (ლათ. „პალეოს“ უძველესი, „სტომა“ შესართავი) ტბის ფართობი 18 კვ.კმ-ია. მაქსიმალური სიღრმე 2,6 მ. ამჟამად აქ ბინადრობს 15-მდე სახეობის თევზი, მათ შორის ყველაზე დიდი რაოდენობითაა კეფალი და კარჩხანა. სამწუხაროდ ტბის დონე კლებულობს და თანაც ამჟამად ძლიერ ევტროფიცირებულია.

პალიასტომის ტბასა და მის მიმდებარედ არსებულ ტორფიან ჭაობებზე იზამთრებს, ისვენებს და მიგრირებს ფრინველთა 200-მდე სახეობა, რომელთა შორის ბევრი წითელი წიგნის სახეობაა (ვარდისფერი და ქოჩორა ვარხვი,მყივანა გედი, ყარყატი, დიდი ყარაულა, წითელი იხვი, ივეოსი და სხვა). მოზამთრე ფრინველთაგან განსაკუთრებული მრავალრიცხოვნობით გამოირჩევა გარეული იხვი, ყვინთია, მელოტა, კოკონა. მტაცებელი ფრინველებიდან შეიძლება ვნახოთ ძელქორების ოთხი, არწივების ხუთამდე სახეობა, კაკაჩები, შევარდნები, ქორცქვიტები, კრაზანაჭამიები და სხვა.

ზღვის აკვატორიაში გვხვდება დელფინის 3 სახეობა: აფალინა, ზღვის ღორი და თეთრგვერდა დელფინი რომლებიც წითელ წიგნშია შეტანილი.

მსხვილი ძუძუმწოვრებიდან ძირითადად გვხვდება ტურა, მგელი,შველი,მცირე რაოდენობით მაჩვი, წითელი წიგნის სახეობიდან - წავი.

რეპტილიებიდან წყლის ანკარა, ჭაობის კუ, მარდი ხვლიკი, ზოლიანი ხვლიკი, ბოხმეჭა. ამფიბიებიდან: ტბის ბაყაყი, მწვანე გომბეშო, ჩვეულებრივი ვასაკა, მცირეაზიური ტრიტონი (წითელი ნუსხის სახეობა).

პარკში აღრიცხულია ხრტილოვანი თევზების კლასის 7 და ძვლოვანი თევზების 81 სახეობა. მათ შორის 44 სახეობა შავი ზღვის მობინადრეა, 21-მტკნარი წყლის, ხოლო 23 სახეობა გამსვლელი თევზია. ხრტილოვანი თევზებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ატლანტური ზუთხი, რომელიც გადაშენების კრიტიკული საფრთხის წინაშე მყოფი კატეგორიაა.

მწერებიდან აქ გამოვლენილია ნემსიყლაპიების 26 სახეობა, ჭიანჭველების 12 სახეობა, პეპლების 62 სახეობა, ობობასნაირების 28 სახეობა, მათ შორის ენდემური მეგრული მორიელი (Euscarpius Mingrelicus), კიბოსნაირების 42 სახეობა, რომელთაგან აღსანიშნავია კოლხური ფართოთფეხა კიბო (Astacus colchicus). ინვაზიური სახეობებიდან უნდა აღინიშნოს 1932 წელს კოლხეთში ინტროდუცირებული ნუტრია, ასევე თევზი გამბუზია რომელიც მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამის ფარგლებში იქნა შემოყვანილი.

ეკო-ტურისტული მარშრუტები: კოლხეთის ეროვნული პარკი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში და მოიცავს სამეგრელო-ზემო სვანეთისა და გურიის რეგიონებს. პარკში განსაკუთრებულად საინტერესოა პალიასტომის ტბა, შავი ზღვის აკვატორია, უნიკალური ჭაობები და კოლხური ტყე.

კოლხეთის ეროვნულ პარკში ფუნქციონირებს 3 ძირითადი ტურისტული მარშრუტი: პალიასტომის ტბა, პალიასტომი-ფიჩორისა და მდ. ჭურიის სანაოსნო მარშრუტები. შესაძლებელია ოქროს ტბაზე გასეირნება; ღამისთევა როგორც ვიზიტორთა ცენტრის სასტუმრო ნომრებსა და მდ. ჭურიის ულამაზეს სანაპიროზე მდებარე ტურისტულ თავშესაფარში, ასევე კარვებისა და საკარვე ადგილების ქირაობა ვიზიტორთა ცენტრისა და ტურისტული თავშესაფრის ეზოებში. დასაშვებია სამოყვარულო თევზჭერა.

მარშრუტების აღწერილობა:

პალიასტომის ტბა /1 *სთ, გასვლა პონტონის ტიპის ნავით* / - მარშრუტი იწყება პალიასტომის ტბის შესასვლელიდან. ვიზიტორები დაათვალიერებენ პალიასტომის ტბის ნაპირების ულამაზეს პეიზაჟებს, ლელქაშის მაღალ გაუვალ არყებს, მეორად ნოტიო მდელოებს, სამეფო გვიმრების ხშირ საფარს. სათვალთვალო კოშკიდან შესაძლებელია არყებში თავშეფარებულ გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვება, რომელთაგან ზოგიერთი იშვიათი სახეობა შეტანილია წითელ წიგნში.

პალიასტომი - ფიჩორი */3 სთ, გასვლა პონტონის ტიპის ნავით /* - მარშრუტი იწყება პალიასტომის ტბის შესასვლელიდან. ვიზიტორები დაათვალიერებენ პალიასტომის ტბის ულამაზეს ნაპირებს, მდინარე ფიჩორის შესართავის თვალწარმტაც ხედს, მდინარის ნაპირზე მოწყობილი დასასვენებელი ადგილიდან შესაძლებელია იქ გავრცელებულ ჭარბტენიან კოლხურ რელიქტურ ტყეზე დაკვირვება, წყლისა და ჭაობის ფრინველების, მდორე წყლების დუმფარის ე.წ. ,,ზეწრების“ დათვალიერება. ვიზიტორებისათვის დაშვებულია სპორტული თევზაობა მდინარე ფიჩორზე.

პალიასტომი - ფიჩორი/ 2 სთ, გასვლა კატერით/ - მარშრუტზე ვიზიტორები დაათვალიერებენ მდ. ფიჩორის შესართავის თვალწარმტაც ხედს. მდინარის ნაპირზე მოწყობილი დასასვენებელი ადგილიდან ადვილად შესამჩნევია ნაპირებზე გავრცელებული ჭარბტენიანი კოლხური რელიქტური ტყე, წყლისა და ჭაობის ფრინველები. გაუვალი ლიანების ტყის მასა ვივიზიტორებს, კატერით სეირნობისას, უქმნის მინიატურული ჯუნგლების ასოციაციას. პარკის ადმინისტრაციის მიერ დაშვებულია სპორტული თევზაობა.

წყარო: WWW.NATIONALPARS.GE

მდ. ჭურია */18 კმ - 1-2 სთ/* - ტურისტული მარშრუტი ,,მდინარე ჭურია“ იწყება კოლხეთის ეროვნული პარკის ჭურიის უბნის ვიზიტორთა ცენტრიდან.

ტურის განმავლობაში ვიზიტორებს შესაძლებლობა აქვთ დაათვალიერონ თვალწარმტაცი ხედები, ლელიან-ლაქაშიანი და დუმფარებიანი ეკო სისტემები და ჭურიის ხეობის რელიქტური კოლხური ტყის ფრაგმენტები - ჰართვისის მუხა, ლაფანი, იფანი, კოლხური ლიანები.

ჭურიის ხეობაში წელიწადის ნებისმიერ დროს შესაძლებელია წყლის ფრინველებისა და ზოგიერთი მტაცებლის (თეთრკუდა არწივი ან უფსოვი, ძერა, ქორი, მიმინო) ნახვა ბილიკზე არსებული სათვალთვალო კოშკურებიდან. მდინარეზე ტურები ხორციელდება ნიჩბიანი და მოტორიანი ნავებითა და კაიაკებით.

ფრინველებზე დაკვირვებისთვის საუკეთესო პერიოდია ადრეული გაზაფხული და შემოდგომა.

შენიშვნა: *ვიზიტორთა უსაფრთხოების ნორმებიდან გამომდინარე, უამინდობის დროს ტურები არ ხორციელდება.*

ვიზიტორთა ცენტრი: ქ. ფოთი, მალთაყვის უბანი, გურიის ქ. #222

ვიზიტორთა სტატისტიკა 2018/19/20 წწ.

	ქართველი	**უცხოელი**	**სულ**
2017	26655	2868	29523
2018	30222	3778	34000
2019	22744	4556	27300
2020	201	56	257

შენიშვნა: *აღნიშნული სტატისტიკა 2020 წლისათვის 2 თვეს - იანვარსა და თებერვალს მოიცავს.*

SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები:

- ფოთის მუნიციპალიტეტი სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონში გამორჩეულია ბუნებრივი მდებარეობითა და ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარებისთვის აუცილებელი პირობებით;
- ზოგადად სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონი მდიდარია როგორც ბუნების, ასევე მატერიალური კულტურის უნიკალური ძეგლებით, რაც ერთმნიშვნელოვნად მატებს ქალაქს ტურისტული შესაძლებლობების გაზრდას;
- ასევე, ფოთის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა ორი რეგიონის, ერთის მხრივ სამეგრელო–ზემო სვანეთისა და მეორეს მხრივ გურიის რეგიონისათვის დამახასიათებელი ასეულობით არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიუხვით;
- ქალაქ ფოთმა ისტორიულად დაიმკვიდრა საზღვაო–საპორტო ფუნქციები;
- ქალაქს გააჩნია მზარდი რესურსები ორი მიმართულებით, ერთი, როგორც ზღვის და მეორე სოფლის (კოლხეთის ეროვნული პარკი) ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის აუცილებელი ყველა წინაპირობებით;
- ზოგადად ქალაქი ფოთი ასოცირდება თევზჭერისა და მისი სამრეწველო დამუშავების კულტურასთან, რაც ერთი–ორად ზრდის ახლი ტურისტული ინფრასტრუქტურისა და წერტილების განვითარების შესაძლებლობას;
- უშუალოდ კოლხეთის ეროვნული პარკის მდიდარი ბუნებრივი რესურსები და რეკრეაციული პოტენციალი ხელს უწყობს მაღალი კლასის რეკრეაციული ტურიზმის განვითარებისთვის ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფას;
- ქალაქ ფოთის ისტორიული დაგეგმარება, ხელს უწყობს შემეცნებითი და გასართობი კერების შინაარსობრივად მომგებიანი პოზიციიდან ძველისა და ახლის ჰარმონიულად შერწყმით ინოვაციური ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებას;
- ქალაქი სრულად იფარება მობილური სატელეფონო კავშირგაბმულობის ქსელით და საფოსტო კავშირით;
- ფოთის საკურორტო–შემეცნებითი ცნობადობის ამაღლებას ხელს უწყობს: ფოთის შუქურა, ფოთის საკათედრო ტაძარი, ნიკო ნიკოლაძის კოშკი, კოლხეთის კულტურის მუზეუმი, კოლხეთის ეროვნული ნაკრძალი – პალიასტომის ტბა, პალიასტომი–ფიჩორი, მდინარე ჭურია, მალთაყვის უბანი, ანაკლია;
- მუნიციპალიტეტის სიახლოვე ბათუმისა და ქუთაისის აეროპორტებთან;
- ქალაქის მომარაგება, ერთის მხრივ სამეგრელო–ზემო სვანეთისა და მეორეს მხრივ გურიის რეგიონისათვის დამახასიათებელი ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო–სამეურნეო პროდუქტებით;
- რეგიონში განვითარებულია სამედიცინო დაწესებულებები და სააფთიაქო ქსელები;

- უსაფრთხო დასვენებისა და გართობის შესაძლებლობებს უზრუნველყოფს რეგიონში სახანძრო–სამაშველორაზმების არსებობა.

სუსტი მხარეები:

- ქალაქის დემოგრაფიული და სოციალური მდგომარეობა –მოსახლეობის მიგრაციის უარყოფითი დინამიკა;
- შშმ პირებისთვის ადაპტირებული ტურისტული ინფრასტრუქტურის, სამშენებლო სტანდარტების დაუცველობა;
- სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაციის საჭიროება;
- შიდასატრანსპორტო მომსახურების სიმწირე;
- საქალაქო საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმართაობა და არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა;
- მომსახურების სფეროს განვითარების ხშირ შემთხვევაში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა (სასტუმროები, კვების ობიექტების ნაკლებობა);
- დასახლებების ინფრასტრუქტურული იერსახის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა;
- საზოგადოებრივი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა;
- მუნიციპალიტეტის საკანალიზაციო სისტემების გაუმართაობა და არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა (გარკვეულ შემთხვევებში ღია ტიპის სისტემების არსებობა);
- მოსახლეობაში თანამედროვე სამეურნეო– სამეწარმეო უნარ–ჩვევებით აღჭურვის ნაკლებობა;
- ტურისტული მომსახურების (პოდუქტის) სუსტი სარეკლამო მხარდაჭერა და მარკეტინგი;
- მოქმედი დიდი ბიზნეს სუბიექტების მცირე რაოდენობა.

შესაძლებლობები:

- ქალაქ ფოთის მიმართ ინვესტორების გაზრდილი ინტერესი – ერთის მხრივ, სამრეწველო–ეკონომიკური და მეორეს მხრივ, სასტუმრო და შემეცნებითი–დასვენების ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიმართ;
- ტურისტული ნაკადების ზრდა (როგორც რეზიდენტი, ასევე არარეზიდენტი ვიზიტორები);
- საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ ბაზრებზე ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტზე მოთხოვნის ზრდა (თევზჭერა და მისი დამუშავება);
- საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარების მოცულობის ზრდა;
- მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი პროექტებისთვის დაფინანსების მიზნობრივი და წარმატებული ათვისება–გამოყენება;

- მცირე ბიზნესის სესხების გაიაფებაზე ორიენტირებული სპეციალური სახელმწიფო პროგრამები;
- ხელისუფლების საფინანსო–ეკონომიკური შესაძლებლობების გაზრდა;
- მუშახელის პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციის გაზრდის შესაძლებლობები;
- ტურისტების მოზიდვისადმი არასისტემური მიდგომა;
- კლიმატის ცვლილების მოწყვლადი ტერიტორიების ადაპტაციისადმი შესაბამისი ღონისძიებათა გეგმების არარსებობა;
- ტურიზმის მიმართულების პროფესიული სასწავლებლების ნაკლებობა;
- კულტურული და ისტორიული თავისებურებების სუსტი კომერციალიზაცია;
- კვებისა და განთავსების ობიექტების სახანძრო–სამაშველო სამსახურების არადამაკმაყოფილებელი აღჭურვილობა;
- ტურიზმისა და ინდუსტრიული ზონების მართვის, მათ შორის ტურიზმის, როგორც ბიზნესის საქმიანობის, არასაკმარისი ცოდნა;
- ბიზნესსუბიექტების (ტურისტული სექტორი) სიმწირე;
- საოჯახო სასტუმროების სიმწირე;
- რეგიონის დიდი დაშორება ქვეყნის დედაქალაქიდან.

ბუნებრივიკატასტროფები:

- გლობალური საფინანსო–ეკონომიკური კრიზისი;
- ყულევის ტერმინალის რისკ–ფაქტორი მოსახლეობისთვის და ეკოსისტემისთვის.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დროშა და გერბი



N	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი		
1	მოსახლეობა	40507	
2	ფართობი	548კვ.კმ.	
3	რკინიგზის სადგ.	ნინოშვილის ქ. 1	
4	აეროპორტი	უახ. ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი	უახ. ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი
5	საზღვაო ნავსადგური	უახ. ფოთის ნავსადგური	უახ. ბათუმის ნავსადგური
6	ხუროთმოძღვრების ძეგლები	5	
7	ბუნების ძეგლები	5	
8	კურორტები	2	
9	ადმინისტრაციული ორგანოს მისამართი	კოსტავას N 35	
10	საფოსტო ინდექსი	2800	

ისტორია - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი დასავლეთ საქართველოში, გურიის მხარეში მდებარეობს. რაიონის ტერიტორია ჯერ კიდევ ქვის ხანიდან იყო დასახლებული. ბრინჯაოს ხანიდან აქ უკვე ქალაქური ცხოვრება იყო განვითარებული, რასაც შუხუთის ნაქალაქარი ადასტურებს. ისტორიულ წყაროებში ლანჩხუთი პირველად XVII საუკუნეში იხსენიება. ლანჩხუთის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით მეცნიერებს სხვადასხვა მოსაზრებები აქვთ. სიმონ ჯანაშიას თეორიის მიხედვით ეს სახელი მეგრულ-ჭანურ სიტყვას, ჩხუ-ს უკავშირდება, რაც ძროხას ნიშნავს, თავად ლანჩხუთს კი - საძროხეს. სრულიად განსხვავებული შეხედულება აქვს ვახუშტი ბატონიშვილს, მისი აზრით ტოპონიმის ძირს წარმოადგენს „ჩქუ“ და არა „ჩხუ“ და ლანჩხუთს სამზერის, გადასახედის მნიშვნელობა აქვს.

1916 წლისთვის რაიონში უკვე ფუნქციონირებდა დაწყებითი სკოლა და ბიბლიოთეკა.

1930 წელს ლანჩხუთი რაიონული ცენტრი გახდა.

ამჟამად მუნიციპალიტეტში არის ჯანდაცვის რამდენიმე დაწესებულება, სამი საჯარო სკოლა, სამრევლო სკოლა, კულტურის ცენტრი, ბიბლიოთეკა და მუზეუმი. ასევე გამოდის სამი რაიონული გაზეთი: ,,ლაჩხუთი + ", „ლანჩხუთის მოამბე" და " ჰო და არა".

ლანჩხუთში განვითარებულია სოფლის მეურნეობა (მეციტრუსეობა, მეცხოველეობა, მეთხილეობა), ზღვისპირეთში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ტურიზმს.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში დიდი როლი აქვს ბაქო-სუფსის ნავთობსადენსა და სუფსის ტერმინალს. ლანჩხუთი ასევე მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით (ტორფი, მაგნეტიტი, კირქვა, თიხნარი, მინერალური წყალი) რაიონი ლამაზი ბუნებითა და უძველესი კულტურის ძეგლებით გამოირჩევა. ულამაზესი კოლხეთის ეროვნული პარკი, მწვანეში ჩაფლული ჯაპანის ტბა, პალიასტომი, შუასაუკუნოვანი ძეგლები და მოლივლივე ლურჯი ზღვა ქვიშიანი სანაპიროებით უამრავ ტურისტს იზიდავს. საუკეთესო პერიოდი : ყველა სეზონი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გეოგრაფია და კლიმატი:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი დასავლეთ საქართველოში, გურიის მხარეში მდებარეობს, შავ ზღვას, მდინარე ფიჩორსა და გურიის ქედს შორის. იგი ოდიშ-გურიის დაბლობის ტერიტორიასა და მის მიმდებარე სერებს მოიცავს. რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი **ლანჩხუთი.** მუნიციპალიტეტს დასავლეთიდან შავი ზღვის სანაპირო ზოლი ესაზღვრება, აღმოსავლეთით - სამტრედიისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები, ჩრდილოეთით - ხობის, სენაკისა და აბაშის მუნიციპალიტეტები, სამხრეთით კი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი. ლანჩხუთის შემადგენლობაში 16 ტერიტორიული ერთეულია: ქალაქი ლანჩხუთი, აცანა, აკეთი, მამათი, ნიგოითი, შუხუთი, მაჩხვარეთი, გვიმბალაური, ჩიბათი, ლესა, ჯურუყვეთი, ნინოშვილი, ნიგვზიანი, ჩოჩხათი, ღრმა ღელე და სუფსა.

რაიონის ტერიტორიაზე მოედინება მდინარეები: სუფსა, ფიჩორი, ლესისწყალი, შუთი, გომახურისწყალი, წყალწითელა და სხვა. აქ ასევე გვხვდება ტბებიც: პალიასტომის ტბა, იმნათის ტბა, ჯაპანის ტბა, გრიგოლეთის ტბა დასხვა. ლანჩხუთში ვაკე და გორაკ-ბორცვიანი რელიეფია. ჩრდილო -დასავლეთ ნაწილი გურიის დაბლობს უჭირავს, სამხრეთ -აღმოსავლეთ ნაწილიკი - გურიის სერს. ვაკის შუა ნაწილი ზღვის დონიდან 20 მეტრზეა, მუნიციპალიტეტის უმაღლესი ადგილია მთატალახა (ზღვისდონიდან 660 მეტრი). ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ნოტიო ჰავაა, რასაც შავი ზღვიდან წამოსული ჰაერის მასები განაპირობებს, რომელსაც უხვი ატმოსფერული ნალექები მოაქვს. საშუალო წლიური ტემპერატურაა +13°C, ზამთარის მინიმალური ტემპერატურა -18°C-20°C-ა, ზაფხულში კი მაქსიმუმი 39-40°C- საღწევს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნაობანი:

უძველესი კულტურისა და ისტორიის მქონე ლანჩხუთი ბუნების სილამაზითაც გამოირჩევა. აქ ერთმანეთს ერწყმის მზიანი სანაპიროები და მწვანეში ჩაფლული გარემო. კოლხეთის

ეროვნული პარკი, პალიასტომის ტბა თუ ჯაპანის ტბა უამრავი გადამფრენი ფრინველითა და თავისებური ეგზოტიკით აუცილებლად მოგხიბლავთ. ლანჩხუთი შესანიშნავია როგორც სამოგზაუროდ, ასევე ზღვისპირა დასვენებისთვის. ჩამავალი მზის ფონზე ოქროსფრად მოელვარე წყალი, ცხელი ქვიშა და ჩალისფერი ბუნგალოები ტროპიკული ფერადოვნებითა და სიმსუბუქით აგავსებთ. გარდა მშვენიერი ბუნებისა, რაიონში მნიშვნელოვანი ისტორიულ - კულტურული ძეგლების მონახულებასაც შეძლებთ. უძველესი ნამოსახლარები თუ შუა საუკუნეების ციხე -სიმაგრეთა ნანგრევები და ტაძრები საინტერესო მოგზაურობას გთავაზობენ საქართველოს წარსულში.

ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

ობიექტის დასახელება: *ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.*
მფლობელი: *ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი;*
განმსაზღვრელი მახასიათებლები: *კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი;*
გასართობი და დასასვენებელი ადგილები: *მუზეუმი მდებარეობს ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, ახლოს მდებარეობს ლანჩხუთის მთავარი პარკი, ხელოვნების სასახლე, სავაჭრო და გასართობი, საზოგადოებრივი კვების ობიექტები;*
წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *მუზეუმის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა დახმარებით შესაძლებელია მუზეუმის ექსპოზიციების დათვალიერება;*
ტრანსპორტი, საკომუნიკაციო საშუალებით წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *ძეგლთან მისვლა შესაძლებელია საქალაქო ტრანსპორტით, ტაქსით, ასევე შესაძლებელია გადაადგილება ქალაქის ცენტრიდან ფეხით; ქალაქის ცენტრიდან შესაძლებელია დამოუკიდებლად გადაადგილდნენ ეტლით მოსარგებლეები;*
კონსერვაციისა და დაცვის საკითხები: *საშუალო მდგომარეობა, ძეგლის დაცვას უზრუნველყოფს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია და მუზეუმის ადმინისტრაცია;*
ძეგლის რეესტრის ნომერი: *საბჭოთა არქიტექტურული ნაგებობა. არ აქვს ძეგლის სტატუსი.*

ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი დაარსდა 1978 წელს, ხოლო1998 წელს პირველად გაიხსნა მუზეუმის ექსპოზიცია. მუზეუმში დაცულია 10000-მდე ექსპონატი. ექსპოზიციაში გამოფენილ უნიკალურ ექსპონატებს აღფრთოვანებაში მოჰყავს დამთვალიერებელი. მუზეუმში დაცული არქეოლოგიური მასალა მოიცავს პერიოდს ქვის ხანიდან განვითარებული შუასაუკუნეების ჩათვლით.

წყარო:ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

ბუნების ძეგლები: კოლხეთის ეროვნული პარკი; ჯაპანის ტბა; პალიასტომის ტბა; გრიგოლეთის ტბა; საქვიხიას ჩანჩქერი.

მატერიალური კულტურის ძეგლები: აკეთის მაცხოვრის ეკლესია; ჭანჭათის სტელა; ნიგოითის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია; ღვედის ნაეკლესიარი; ჯიხეთის დედათა მონასტერი.

საზღვაო კურორტები: გრიგოლეთი; წყალწმინდა.

ჯაპანის ტბა

ობიექტის დასახელება: *ჯაპანის ტბა;*

მფლობელი: *საქართველოს დაცული ტერიტორიების ეროვნული სააგენტო;*

განმსაზღვრელი მახასიათებლები: *ბუნების ძეგლი;*

გასართობი და დასასვენებელი ადგილები: *ტბა მდებარეობს ქალაქ ლანჩხუთიდან დაშორებით; უახლოეს 1 კმ.-ში მდებარეობს საზოგადოებრივი კვებისა და დასვენების ობიექტები;*

წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *შესაძლებლობა აქვთ დაათვალიერონ ტბის მიმდებარე ტერიტორიები; შშმ პირებს დახმარებით შესაძლებლობა აქვთ გაისეირნონ ტბის ირგვლივ;*

ტრანსპორტი, საკომუნიკაციო საშუალებით წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *მისვლა შესაძლებელია საქალაქო ტრანსპორტით, ტაქსით;*

კონსერვაციისა და დაცვის საკითხები: *ბუნების ძეგლის დაცულობას უზრუნველყოფს საქართველოს დაცული ტერიტორიების ეროვნული სააგენტო;*

ჯაპანის ტბა - ყველაზე დიდი ნამდინარევი (ნარიონალი) ტბა საქართველოში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს გურიის დაბლობზე, ზღვის დონიდან 13 მეტრ სიმაღლეზე. ტბა წარმოიქმნა მდინარის კალაპოტის შეცვლის შედეგად. მდინარის მიტოვებულ კლაკნილ მონაკვეთს ნამდინარევი ჰქვია, შიგ არსებულ წყალს კი მეანდრული ტბა. ჯაპანის ნამდინარევი ტბის ზედაპირის ფართობი 1.17 კმ², წყალ - შემკრები აუზის ფართობი 5.2 კმ². საშუალო სიღრმე 3.7 მ. წყლის მოცულობა 4.3 მლნ. მ³. საზრდოობს წვიმისა და მიწის ქვეშა წყლით. გაუდინარია, მტკნარი. ზამთარში ამ ტბაზე გადამფრენი ფრინველები ბინადრობენ, ასობით გარეული იხვი და სხვა ტიპის ფრინველი. ჯაპანის ტბა დღეისათვის ტბორად არის გადაკეთებული. იყენებენ თევზის მოსაშენებლად. ჯაპანის სიახლოვეს კიდევ ორი ტბაა : დიდი ნარიონალი და მცირე ნარიონალი.

პალიასტომი

ობიექტის დასახელება: *პალიასტომი;*
მფლობელი: *საქართველოს დაცული ტერიტორიების ეროვნული სააგენტო;*
განმსაზღვრელი მახასიათებლები: *ბუნების ძეგლი;*
გასართობი და დასასვენებელი ადგილები: *ტბა მდებარეობს ქალაქ ლანჩხუთიდან დაშორებით; უახლოეს 1 კმ.-ში მდებარეობს საზოგადოებრივი კვებისა და დასვენების ობიექტები;*
წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *შესაძლებლობა აქვთ დაათვალიერონ ტბის მიმდებარე ტერიტორიები; შშმ პირებს დახმარებით შესაძლებლობა აქვთ გაისეირნონ ტბის ირგვლივ;*
ტრანსპორტი, საკომუნიკაციო საშუალებით წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *მისვლა შესაძლებელია საქალაქო ტრანსპორტით, ტაქსით;*
კონსერვაციისა და დაცვის საკითხები: *ბუნების ძეგლის დაცულობას უზრუნველყოფს საქართველოს დაცული ტერიტორიების ეროვნული სააგენტო;*

პალიასტომი - გამდინარე ტბა, რომლის დიდი ნაწილი მდებარეობს სამეგრელოში, ქალაქ ფოთთან, თუმცა მისი დასავლეთ ნაწილი გურიის მხარეში შედის და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა. ტბა შედის კოლხეთის ეროვნული პარკის შემადგენლობაში, კოლხეთის ეროვნული პარკი ტურისტებს სთავაზობს სანაოსნო მარშრუტებს ტბის უკეთ გასაცნობად. ტბის ზედაპირის ფართობი 18,2 კმ^2. აუზის ფართობი 547 კმ^2, მაქსიმალური სიღრმე 3,2 საშუალო სიღრმე 2,6 მ. წყლის მოცულობა 52 მლნ. მ^3. მდებარეობს ზღვის დონიდან — 0.3 დაბლა. საზრდოობს წვიმის წყლითა და შენაკადებით. ტბას ერთვის მდინარე ფიჩორი, გამოედინება მდინარე კაპარჭინა და შავ ზღვას უერთდება. პალიასტომის ტბა სიდიდით მესამე ტბაა საქართველოში (ფარავნისა და კარწახის ტბების შემდეგ). ამავდროულად ის ზღვის დონიდან ყველაზე დაბლა მდებარე და თევზით მდიდარი ტბაა საქართველოში. ეს ადგილი უნიკალურია ფრინველებზე დაკვირვებისთვის. ტბა გადამფრენი ფრინველების ერთ-ერთი ძირითადი გასაჩერებელი და გამოსაზამთრებელი ადგილია. ტბაში გავრცელებული თევზის ჯიშებია: სუდაკი, კეფალი, ოკუნი, ღორჯო, ქარიყლაპია, კრასნაპიორკა, ლოქო, საზანი, კობრი და სხვა ზღვიდან შემოსული თევზები.

Project funded by the EUROPEAN UNION

www.greethis.net

ჯიხეთი, სამება-ჯიხეთის ეკლესია

ობიექტის დასახელება: *ჯიხეთის დედათა მონასტერი;*

მფლობელი: *საქართველოს საპატრიარქო;*

განმსაზღვრელი მახასიათებლები: *სულიერი ფასეულობა,კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი;*

გასართობი და დასასვენებელი ადგილები: *მონასტერი მდებარეობს ლანჩხუთიდან 12 კმ, ნიგოითიდან 3 კმ, ავტომაგისტრალიდან 6 კმ. მონასტერს გააჩნია სკიტი - იგივე მცირე სასტუმრო მომლოცველთათვის; ტაძარს გააჩნია მეურნეობა, ვიზიტორებს შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ ერთ-ერთ უძველეს სამეურნეო მიმართულებას - მეფუტკრეობას;*

წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *შესაძლებლობა არის მოილოცონ როგორც ტაძარი ასევე დაათვალიერონ ტაძრის ეზო და მეურნეობა;*

ტრანსპორტი, საკომუნიკაციო საშუალებით წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *ძეგლთან მისვლა ტაქსით და კერძო ავტოტრანსპორტით;*

კონსერვაციისა და დაცვის საკითხები: *ძეგლზე მეურვეობა მიმდინარეობს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნების შესაბამისად. ძეგლის დაცულობას უზრუნველყოფს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთან ერთად საქართველოს საპატრიარქო;*

ძეგლის მისამართი : *ლანჩხუთი, ჯიხეთის მონასტერი.*

ჯიხეთი, სამება-ჯიხეთის ეკლესია - XIX საუკუნის ეკლესია გურიის მხარეში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჭყონაგორასა და სამებას შორის, ამჟამად მოქმედებს დედათა მონასტერი. ჯიხეთი მდებარეობს გურიის სერის ჩრდილოეთ კალთაზე, ნიგოითის მთაზე, ზღვის დონიდან 250 მ. ლანჩხუთიდან 12 კმ, ნიგოითიდან 3 კმ, ავტომაგისტრალიდან 6 კმ. მონასტერი დაარსებულია XIX ს-ის მიწურულს. მთავარი, ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ტაძარი 1896 წელსაა აგებული ოზურგეთელი ილარიონ მენაბდის მიერ. 1987 წელს ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ტაძარს მიუშენდა სამრეკლო. 1988 წელს აიგო წმინდა გიორგის ბაზილიკური ტიპის ტაძარი. 2002 წელს აიგო წმ. იოანე ნათლისმცემლის მუცლად ღების ტაძარი. ეზოში მოწყობილია სანათლავი აუზი, რომელშიც წყაროს წყალი ჩაედინება („იორდანესწყარო“). წყალს სამკურნალო თვისებები აქვს. ყოველ 4 დეკემბერს- ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღეს - მონასტერში იმართება დღესასწაული - ჯიხეთობა.

ისტორია ჯიხეთის მონასტრის შესახებ: სავარაუდოდ ჯიხეთის მთაზე ერთ დროს ციხე იყო აღმართული, რადგან „ჯიხა“ ზანურად ციხეს ნიშნავს. ზეპირი გადმოცემის თანახმად ეკლესია თამარ მეფის დროს აშენდა, თუმცა XIX საუკუნეში უკვე ნანგრევებიღა იყო შემორჩენილი. 1886 წელს ჯიხეთის ტერიტორიაზე დასახლდა მონაზონი ელენე მგალობლიშვილი. თავად მამაჭუტაძეებმა მონაზვნებს მიწები შესწირეს. მათ 1893 წელს სინოდისგან ტაძრის მშენებლობის უფლება მოიპოვეს და 1896 ილარიონ მენაბდის თაოსნობით ააშენეს მთავარი, ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ქვის ტაძარი. ელენე იყო მონასტრის წინამძღვარი 1896 წლიდან 1914 წლამდე. მონასტერში სკოლაც გაუხსნიათ. აქ ასწავლიდნენ წერა-კითხვას, საოჯახო საქმესა და ხელგარჯილობას. მონასტრის ისტორიული წყაროების მიხედვით ჯიხეთის მონასტერს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ათონის იოანე მახარებლის მონასტერთან. 1905 წელს იოანე მახარებლის მონასტრის წინამძღვარმა მღვდელ-მონაზონმა იონამ ჯიხეთის მონასტერს ათონიდან ღვთისმშობლის ხატი გამოუგზავნა. 1914 წლიდან მონასტრის წინამძღვარი იყო ანასტასია.
მონასტერს აქვს მცირე მეურნეობა: პირუტყვი, ბაღები და ბოსტნები. დედები ეწევიან ხელსაქმეს.
მონასტერს აქვს სკიტი - სასტუმრო მომლოცველთათვის.
წირვა-ლოცვა ყოველდღიურად აღევლინება.

კურორტი გრიგოლეთი:

გრიგოლეთი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი გურიის მთების ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს. დასავლეთიდან მას ესაზღვრება შავი ზღვის 11 კმ-იანი სანაპირო (საკურორტო) ზოლი. ამ ტერიტორიაზეა კურორტი გრიგოლეთი. ისტორიულ წყაროებში ლანჩხუთი მოხსენიებულია XVIII საუკუნეში. იგი ქალაქად გამოცხადდა 1961 წელს. ლანჩხუთი ზღვის დონიდან 20 მეტრზე მდებარეობს. მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში 15 ადმინისტრაციული

ერთეული და 54 სოფელია. მუნიციპალიტეტის უმეტესი ნაწილი სუბტროპიკულ ზონას წარმოადგენს. ლანჩხუთში ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა. იცის თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული. საშუალო წლიური ტემპერატურა 13,8°C, ნალექებიწელიწადში. ლანჩხუთი ფოთიდან 42 კმ-ითაა დაშორებული, ხოლო მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწები პირდაპირ ესაზღვრება ფოთის სამრეწველო ტერიტორიებს. მოსახლეობის რაოდენობა 2002 წლის მონაცემებით შეადგენდა 40507 ადამიანს, დღეის მონაცემებით ლანჩხუთში 31 500 მოსახლეა. მუნიციპალიტეტის მიწის მთლიანი ფონდი შეადგენს 49860,9 ჰა-ს.
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავლადაა ხელოვნური წყალსაცავები და ტბორები.

კურორტი წყალწმინდა:

წყალწმინდა - სოფელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, ღრმაღელის თემში მდებარეობს მდინარე სუფსის მარცხენა ნაპირზე, მდინარის შავ ზღვაში შესართავის სამხრეთით, ზღვის დონიდან 2 მ.-ით, ლანჩხუთიდან 25 კმ. - ით, სუფსის რკინიგზის სადგურიდან 1 კმ.-თ დაშორებით. სოფელში არის საჯარო სკოლა, სტადიონი, ეკლესია, პოლიციის განყოფილება, რესტორნები, თევზის ბაზარი.

SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები:

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი გური ისრეგიონში გამორჩეულია მდიდარი ბუნებრივი პირობებითა და კულტურული მემკვიდრეობით;
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტსა და ზოგადად გურიის რეგიონში არის დაცული როგორც მატერიალური, ასევე ასეულობით არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა;
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი და მთლიანად გურიის რეგიონი ითვლება ქართული მრავალხმიანი, პოლიფონიური მელოდიების აკვნად;

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მოცემული დროისათვის დაცულია, საქართველოში ერთ–ერთი უძველესი, ეროვნული, სახალხო–სპორტული თამაში ლელობურთი; ყოველწლიურად აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული აღინიშნება ტრადიციულად „ზემოურებისა“ და „ქვემოურების“ შერკინებით, როგორც გურულები იტყვიან: „იწყება რკენაი საკვირველი“;
- მიკრორეგიონში წარმოდგენილია ორი, როგორც ზღვის, ასევე სოფლის (მთის) ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის აუცილებელი ყველა წინაპირობა;
- ზოგადად გურიის რეგიონი გამორჩეულია სამკურნალო თვისებებით მდიდარი, მზარდი საკურორტო ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო რესურსებით;
- მდიდარი ბუნებრივი რესურსები, მაღალი საწარმოო, ენერგეტიკული და რეკრეაციული პოტენციალის მქონე წყლის რესურსები – ხელს უწყობს რეკრეაციული ტურიზმის განვითარებისთვის ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფას;
- მუნიციპალიტეტის თემებში მისასვლელი გზები უზრუნველყოფილია გამართული საგზაო ინფრასტრუქტურით;
- ელექტროენერგიის მომარაგებით მოსახლეობის სრული უზრუნველყოფა – გარეგანათებით დასახლებების დიდი ნაწილის უზრუნველყოფა;
- რეგიონის სრული დაფარვა მობილური სატელეფონო კავშირგაბმულობის ქსელით და საფოსტო კავშირით;
- ზოგადად გურიის მაღალი ცნობადობის გაზრდას ხელს უწყობს, როგორც რეგიონის კურორტები: ბახმარო, გომის მთა, ურეკი, ნაბეღლავი, ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბუნებისა და მატერიალური კულტურის ძეგლების არსებობა, როგორიცაა: კოლხეთის ეროვნული პარკი, ჯაპანის ტბა, პალიასტომის ტბა, გრიგოლეთის ტბა, საქვიხიას ჩანჩქერი, აკეთის მაცხოვრის ეკლესია, ჭანჭათის სტელა, ნიგოითის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, ღვედის ნაეკლესიარი, ჯიხეთის დედათა მონასტერი;
- მუნიციპალიტეტის სიახლოვე, ერთის მხრივ ფოთისა და ბათუმის პორტებთან და მეორეს, მხრივ ბათუმისა და ქუთაისის აეროპორტებთან;
- ეკოლოგიურად სუფთას ასოფლო–სამეურნეო პროდუქტის წარმოება;
- რეგიონში განვითარებულია სამედიცინო დაწესებულებები და სააფთიაქო ქსელები;
- უსაფრთხო დასვენებისა და გართობის შესაძლებლობებს უზრუნველყოფს რეგიონში სახანძრო–სამაშველო რაზმების არსებობა.

სუსტი მხარეები:

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის რთული დემოგრაფიული და სოციალური მდგომარეობა;
- მუნიციპალიტეტიდან და ზოგადად გურიის რეგიონიდან მოსახლეობის მიგრაციის უარყოფითი დინამიკა;

- შშმ პირებისთვის ადაპტირებული ტურისტული ინფრასტრუქტურის, სამშენებლო სტანდარტების დაუცველობა;
- სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაციის საჭიროება;
- შიდა სატრანსპორტო მომსახურების სიმწირე;
- სიღარიბის მაჩვენებელი, მოსახლეობის მწირი შემოსავლები და დანაზოგების მცირე მოცულობა;
- მომსახურების სფეროს განვითარების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა (სასტუმროები, კვების ობიექტები);
- დასახლებების ინფრასტრუქტურული იერსახის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა;
- საზოგადოებრივი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა;
- მუნიციპალიტეტის საკანალიზაციო სისტემების გაუმართაობა და სოფლებში საკანალიზაციო სისტემების არარსებობა;
- რეგიონში სივრცითი დაგეგმვის პრაქტიკის არარსებობა;
- მოსახლეობაში თანამედროვე სამეურნეო–სამეწარმეო უნარ–ჩვევების ნაკლებობა;
- ტურისტული მომსახურების (პოდუქტის) სუსტი სარეკლამო მხარდაჭერა და მარკეტინგი;
- მოქმედი ბიზნეს სუბიექტების უკიდურესად მცირე რაოდენობა.

შესაძლებლობები:

- გურიის რეგიონის ისევე, როგორც და საკურორტო უბნებში სასტუმრო ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიმართ ინვესტორების გაზრდილი ინტერესი
- ტურისტული ნაკადების ზრდა (როგორც რეზიდენტი, ასევე არარეზიდენტი ვიზიტორები);
- საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ ბაზრებზე ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტზე მოთხოვნის ზრდა;
- საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარების მოცულობის ზრდა;
- მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი პროექტებისთვის დაფინანსების მიზნობრივი და წარმატებული ათვისება–გამოყენება;
- მცირე ბიზნესის და აგროსესხების გაიაფებაზე ორიენტირებული სპეციალური სახელმწიფო პროგრამები;
- ხელისუფლების საფინანსო–ეკონომიკური შესაძლებლობების გაზრდა;
- მუშახელის პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციის დაბალი დონე;
- ტურისტების მოზიდვისადმი არასისტემური მიდგომა;
- კლიმატის ცვლილების მოწყვლადი ტერიტორიების ადაპტაციისა და მიტიგაციის ღონისძიებათა გეგმების არარსებობა;
- ტურიზმის მიმართულების პროფესიული სასწავლებლების ნაკლებობა;
- კულტურული და ისტორიული თავისებურებების სუსტი კომერციალიზაცია;

- კვებისა და განთავსების ობიექტების სახანძრო–სამაშველო სამსახურების არადამაკმაყოფილებელი აღჭურვილობა;
- ტურიზმის ინდუსტრიული ზონების მართვის და ტურიზმის, როგორც ბიზნესის საქმიანობის, არასაკმარისი ცოდნა;
- ბიზნეს სუბიექტების (ტურისტული სექტორი) სიმწირე;
- საოჯახო სასტუმროების სიმწირე;
- რეგიონის დიდი დაშორება ქვეყნის დედაქალაქიდან.

ბუნებრივი კატასტროფები:

- გლობალური საფინანსო–ეკონომიკური კრიზისი;
- სუფსის ტერმინალი რისკ–ფაქტორი მოსახლეობისთვის და ეკოსისტემისთვის.

ბათუმის მუნიციპალიტეტი

ბათუმის მუნიციპალიტეტის დროშა და გერბი

N	ბათუმის მუნიციპალიტეტი	
1	მოსახლეობა	152 839
2	ფართობი	1600 ჰა
3	ავტოსადგური	მაიაკოვსკის ქ. 1
4	რკინიგზის სადგ.	თამარ მეფის გზატკეცილი

5	აეროპორტი	ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი
6	საზღვაო ნავსადგური	ბაქოს ქ.15
7	ხუროთმოძღვრების ძეგლები	249
8	ბუნების ძეგლები	2
9	ადმინისტრაციული ორგანოს მისამართი	ლ.ასათიანის ქ.25
10	საინფორმაციო ცენტრი	გოგებაშვილის ქუჩა. (საბაგიროს მიმდებარე ტერიტორია)
11	საფოსტო ინდექსი	6010; 6004

ისტორია: ქალაქის სახელწოდება „ბათუმი“ მომდინარეობს სიტყვიდან (ბერძ.Bathus), რაც ღრმას ნიშნავს. პირველად ის მოხსენიებული აქვს რომაელ მწერალ ილინიას (23–79), რომელიც კოლხეთის მდინარეების ჩამოთვლისას ასახელებს მდინარე “Bathys”.

ქალაქი გაშენებულია ღრმა, კარგად დაცული ბუნებრივი ნავსაყუდელის ბათუმის ყურის პირას. ის გადაჭიმულია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ 7 კმ-ზე. სიგანე ზღვის ნაპირიდან გორაკ-ბორცვებამდე 1-2,5 კმ. 1937 ჰა, აქედან განაშენიანებულია 1300 ჰა-ზე მეტი. ბათუმის ძირითადი ნაწილი სამხრეთიდან ეკვრის ყურეს და გაშენებულია კახაბერის ვაკის ჩრდილოეთ მონაკვეთზე. დანარჩენი ნაწილი ყურის აღმოსავლეთით და ჩრდილო - აღმოსავლეთით – მდინარეების ბარცხანისა და ყოროლის წყლის გასწვრივ.

ბათუმის ბუნება ზღვის ნოტიო სუბტროპიკულია. იცის თბილი, უთოვლო ზამთარი და თბილი ზაფხული. საშუალო წლიური ტემპერატურაა 14,5°C, იანვარში — 7,1°C, აგვისტოში - 23,2°C. ნალექები - 2560 მმ წელიწადში. შეფარდებითი სინოტივე - 81%. ხშირია კოკისპირული წვიმა. თოვლი იშვიათად მოდის და მალე დნება. ზღვის წყლის საშუალო წლიური ტემპერატურა ნაპირთან 16,7 °C -ია. სანაპირო ზოლში კარგად არის გამოხატული ზღვის ბრიზები, რის გამოც სიცხე ნაკლებად შეიგრძნობა.

ბათუმის ტერიტორიაზე არის ბუნებრივი ტბა (ფართობი 0,06 კმ^2), რომელიც ამჟამად ბათუმის პარკის ნაწილია. ქალაქსა და მის მიდამოებში გავრცელებულია მრავალნაირი სუბტროპიკული მცენარე. ჭარბობს ხელოვნურად გაშენებული პარკები, ჩაის პლანტაციები და ციტრუსოვანთა ნარგავები.

პირველი ცნობები ბათუმის შესახებ ძვ.წთ-ის მე-4 საიუკუნის ბერძენი ფილოსოფოსის არისტოტელეს ნაშრომებში გვხვდება. იგი შავი ზღვის სანაპიროზე კოლხეთში მდებარე ქალაქს ,,ბათუსის“ სახელით მოიხსენიებს. ამავე სახელით იცნობდნენ ქალაქს რომაელი მწერალი პლინიუს უფროსი და ბერძენი გეოგრაფი ფლავიუს არიანე. ,,ბათუსი“ ბერძნული სიტყვაა და

ღრმას ნიშნავს. მართლაც, ბათუმს შავ ზღვაზე სევასტოპოლის შემდეგ ყველაზე ღრმა და მოხერხებული ნავსაყუდელი აქვს. ქალაქის შემოსასვლელში, მდ. ყოროლის წყლის მიდამოებში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა სამუშაოებმა ცხადყო, რომ მოსახლეობა ამ ადგილებში ძვ.წ. მეორე-პირველი ათასწლეულების მიჯნაზე ცხოვრობდა და მეზობელ ხალხებთან მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა. ძველი ბათუმის ცენტრად თამარის დასახლებაში არსებული, თამარის ციხედ წოდებული, ბორცვი ითვლებოდა, რომელიც ყოროლის წყლის ხეობაში ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. ქრისტეშობიდან II საუკუნეში, იმპერატორ ადრიანეს დროს, ბათუმში რომაელთა გარნიზონი იდგა. V ს - ში საქართველოს მეფემ, ვახტანგ გორგასალმა იგი თავის სამფლობელოს შეუერთა.VI, VII, VIII ს - ებში ბათუმსა და მის მხარეს ეგრისისა და აფხაზეთის მთავრები მართავდნენ. ფეოდალურ ხანაში ბათუმის ციხის გარშემო სოფლის ტიპის დასახლება იყო.

ბათუმის ღირშესანიშნაობები:

გონიო-აფსაროსის ციხე-მუზეუმი

ობიექტის დასახელება: *გონიო-აფსაროსის ციხე-მუზეუმი*

მფლობელი: *სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო ;*

განმსაზღვრელი მახასიათებლები: *კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი; კულტურულ–შემეცნებითი და საგანმანათლებლო–სამეცნიერო კერა;*

გასართობი და დასასვენებელი ადგილები: *გონიო-აფსაროსის ციხე-მუზეუმი მდებარეობს ბათუმიდან სამხრეთით, 12 კმ. დაშორებით, მდინარე ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე, ბათუმი-სარფის ცენრტალური მაგისტრალის მიმდებარედ. ციხის მიმდებარედ არის სკვერი რომელიც დაკავშირებულია ზღვის სანაპიროსთან. უახლოესი 1 კმ.-ით მდებარეობს სასტუმროები და საზოგადოებრივი კვების ობიექტები.*

წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *შესაძლებლობა აქვთ დაათვალიერონ მხოლოდ გალავნის შიდა ტერიტორია და ციხის ეზოში მდებარე მუზეუმის ექსპოზიციები;*

ტრანსპორტი, საკომუნიკაციო საშუალებით წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *ძეგლთან მისვლა შესაძლებელია საქალაქო ტრანსპორტით, ტაქსით;*
კონსერვაციისა და დაცვის საკითხები: *კონსერვაცია და რეაბილიტაცია განხორციელდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო მოთხოვნების შესაბამისად. ძეგლის დაცულობას უზრუნველყოფს აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო;*
ძეგლის მისამართი: *ბათუმი, აფსაროსის ქ.N (ბათუმი-სარფის ავტომაგისტრალზე) .*

გონიო-აფსაროსის ციხე-მუზეუმი: ბათუმიდან სამხრეთით, 12 კმ. დაშორებით, მდინარე ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე გონიო-აფსაროსის I საუკუნის ციხე-სიმაგრე მდებარეობს. საქართველოში ერთ-ერთი უძველესი დასახლება ამ ციხის ირგვლივ იყო გაშენებული. გონიო-აფსაროსის ციხეს უნიკალური სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ის იცავდა ჭოროხისა და აჭარისწყლის ხეობების შემოსასვლელებს, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და რეგიონებს შავი ზღვის სანაპიროსთან აკავშირებდა. სწორედ ამგვარი მდებარეობის გამო იქცა გონიოს ციხე ჯერ რომის იმპერიის, შემდეგ კი – ბიზანტიისა და ოსმალეთის ერთ-ერთ ციტადელად აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში.

გონიო-აფსაროსის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული არგონავტების მითთან. ცნობილია, რომ სწორედ აქ დაკრძალა მეფე აიეტმა თავისი ვაჟი აფსაროსი, რომელიც გაქცეულმა იასონმა მოკლა. გადმოცემის მიხედვით, აქვეა დაკრძალული ქრისტეს 12 მოციქულთაგან ერთ-ერთი, მატათა.

ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი

ობიექტის დასახელება: *ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი;*
მფლობელი: *სსიპ აჭარის მუზეუმი;*
განმსაზღვრელი მახასიათებლები: *კულტურულ–შემეცნებითი და საგანმანათლებლო–სამეცნიერო კერა; არქიტექტურული ძეგლი;*

გასართობი და დასასვენებელი ადგილები: *ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი მდებარეობს ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, მუზეუმს გააჩნია მცირე სკვერი;*
წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *მუზეუმი ადაპტირებულია სრულად, შშმ პირებს შესაძლებლობა აქვთ პანდუსით გადაადგილდნენ მუზეუმის 1 სართულზე, სადაც დაათვალიერებენ ექსპოზიციებს და სუვენირების მაღაზიას; სპეციალური ლიფტის დახმარებით შესაძლებელია გადაადგილება შემდეგ სართულებზე არსებულ ექსპოზიციებში და საკონფერენციო დარბაზში;*
ტრანსპორტი, საკომუნიკაციო საშუალებით წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *მისვლა შესაძლებელია საქალაქო ტრანსპორტით, ტაქსით, ასევე შესაძლებელია გადაადგილება ფეხით მოსიარულეთა ბილიკით; ქალაქის ცენტრიდან შესაძლებელია დამოუკიდებლად გადაადგილდნენ ეტლით მოსარგებლეები;*
კონსერვაციისა და დაცვის საკითხები: *კონსერვაცია და რეაბილიტაცია განხორციელდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნების შესაბამისად. ძეგლის დაცულობას უზრუნველყოფს სსიპ აჭარის მუზეუმი ;*
მუზეუმის მისამართი : *მის.: ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. N77 .*

თუკი ისტორიული არტეფაქტები გაინტერესებთ, ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმს უნდა ეწვიოთ, ადგილს, სადაც აჭარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სხვადასხვა ეპოქის კულტურული ძეგლებია თავმოყრილი. 2007 წელს მუზეუმში გაიხსნა მუდმივმოქმედი სამეცნიერო პოპულარული გამოფენა, რომელიც მხარის უძველეს ისტორიას ეპოქების მიხედვით გაგაცნობთ. 1998 წლიდან ბათუმის არქეოლოგიური და ოქსფორდის უნივერსიტეტის ეშმოლის მუზეუმების ერთობლივმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მუზეუმი ახალი ექსპონატებით გაამდიდრა.



ეთნოგრაფიული მუზეუმი „ბორჯღალო“

ობიექტის დასახელება: *ქემალ თურმანიძის ეთნოგრაფიული მუზეუმი „ბორჯღალო“;*
მფლობელი: *ქემალ თურმანიძე (ფიზიკური პირი);*
განმსაზღვრელი მახასიათებლები: *კულტურულ-შემეცნებითი კერა;*
გასართობი და სასასვენებელი ადგილები: *ქემალ თურმანიძის ეთნოგრაფიული მუზეუმი „ბორჯღალო“ მდებარეობს ბათუმი-ხელვაჩაურის ცენტრალურ მაგისტრალიდან 0.5 კმ. მუზეუმს გააჩნია დიდი ეზო და*

მწვანე გარემო, შესაძლებელია ვიზიტორებმა ადგილზე მოამზადონ და დააგემოვნონ აჭარული სამზარეულოს ნიმუშები, ასევე მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა მასტერკლასებში; მუზეუმიდან უახლოეს 1 კმ.-ში მდებარეობს საზოგადოებრივ კვების ობიექტები;

წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *ქემალ თურმანიძის ეთნოგრაფიული მუზეუმი „ბორჯღალო“ არის ერთ სართულიანი ნაგებობა, სადაც შშმ პირებს შესაძლებლობა აქვთ დაათვალიერონ როგორც მუზეუმის ექსპოზიციები ასევე თავისუფლად გადაადგილდნენ მუზეუმის დიდ ეზოში;*

ტრანსპორტი, საკომუნიკაციო საშუალებით წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *მისვლა შესაძლებელია საქალაქო ტრანსპორტით, ტაქსით;*

კონსერვაციისა და დაცვის საკითხები: *კონსერვაცია და რეაბილიტაცია განხორციელდა მფლობელის მიერ სახელმწიფოსთან არსებული შეთანხმების შესაბამისად; ძეგლის დაცულობას უზრუნველყოფს მფლობელი;*

მუზეუმის მისამართი: *ბათუმი, შარაშიძის ქუჩა N14 (კახაბრის დასახლება).*

- ხალხური რეწვისა და ყოფის მუზეუმი, რომელიც ზემო აჭარის მკვიდრმა ქემალ თურმანიძემ შექმნა, დღეს 3000 კვ.მ-ზე გაშენებულ ეთნოგრაფიულ მუზეუმს წარმოადგენს. თუ აქ მოხვდებით, შეძლებთ ძველი ქართული ტრადიციების ზღვაში ჩაყვინთოთ. მეთუნეობა, ლითონის, ქვისა და ხის დამუშავება, მეფუტკრეობა, მეხილეობა, მევენახეობა და მიწათმოქმედება — აქ შრომითი პროცესის დონეზეა გაშლილი; შესაბამისად ჩაცმული მანეკენები, ინვენტარი, ხალხური მუსიკა - ყველაფერი ეს თქვენ წარმოსახვას აუცილებლად გააცოცხლებს. აქ ნახავთ საცხოვრებელ, სალოცავ და სამეურნეო ნაგებობებს, როგორც მაკეტის, ისე რეალური სახით.

აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი

ობიექტის დასახელება: *ხარიტონ ახვლედიანის სახელობისმუზეუმი;*

მფლობელი: *სსიპ აჭარის მუზეუმი;*

განმსაზღვრელი მახასიათებლები: *კულტურულ–შემეცნებითი და საგანმანათლებლო–სამეცნიერო კერა; არქიტექტურული ძეგლი;*

გასართობი და დასასვენებელი ადგილები: *ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი მდებარეობს ქალაქის ცენტრალურ ნაწილში; მუზეუმს აქვს შიდა ეზო; პანდუსების საშუალებით შესაზლებელია გადაადგილება მუზეუმის 1 სართულის ექსპოზიციებში;*

წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *შშმ პირებს შესაძლებლობა აქვთ დაათვალიერონ მხოლოდ მუზეუმის პირველ სართულზე განლაგებული ექსპოზიციები;*

ტრანსპორტი, საკომუნიკაციო საშუალებით წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *მისვლა შესაძლებელია საქალაქო ტრანსპორტით, ტაქსით, ასევე შესაძლებელია გადაადგილება ქალაქის ცენტრიდან ფეხით; ქალაქის ცენტრიდან შესაძლებელია დამოუკიდებლად გადაადგილდნენ ეტლით მოსარგებლეები;*

კონსერვაციისა და დაცვის საკითხები: *კონსერვაცია და რეაბილიტაცია განხორციელდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნების შესაბამისად. ძეგლის დაცულობას უზრუნველყოფს სსიპ აჭარის მუზეუმი ;*

ძეგლის მისამართი: *ბათუმი, ხარიტონ ახვლედიანის ქ.N 6.*

აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი: საქართველოს ერთ-ერთი უძველესი მუზეუმია. ის 1908 წელს დაარსდა, როცა ქალაქის საბჭომ პუშკინის სახელობის სასწავლებელის პედაგოგების ინიციატივა მოიწონა და საბავშვო მუზეუმის გახსნის გადაწყვეტილება მიიღო. გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ხარიტონ ახვლედიანი მუზეუმს 1938-1989 წლებში ხელმძღვანელობდა.

ეს საინტერესო მუზეუმი დამთვალიერებელს სამ ადგილას ეპატიჟება: მემედ აბაშიძის სახლ-მუზეუმი – გამოჩენილი ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გასაცნობად; ილია ჭავჭავაძის მუზეუმში – ქართველი წმინდანისა და უდიდესი საზოგადო მოღვაწის პირადი ნივთების, დოკუმენტებისა და ფოტომასალის დასათვალიერებლად; სამეცნიერო ბიბლიოთეკაში – სადაც უძველესი წიგნების უმდიდრესი ფონდია წარმოდგენილი.



წყარო:Georgian Trevel Guide

ძმები ნობელების სახელობის ტექნოლოგიური მუზეუმი

ობიექტის დასახელება: *ძმები ნობელების სახელობის ტექნოლოგიური მუზეუმი;*

მფლობელი: *სსიპ აჭარის მუზეუმი;*

განმსაზღვრელი მახასიათებლები: *კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი; კულტურულ–შემეცნებითი და საგანმანათლებლო–სამეცნიერო კერა;*

გასართობი და დასასვენებელი ადგილები: *ძმები ნობელების სახელობის ტექნოლოგიური მუზეუმი მდებარეობს ქალაქის ერთ-ერთ უძველეს დასახლებაში - მენავთობეთა უბანში; მუზეუმი მდებარეობს სკვერში; მუზეუმის მიმდებარედ არის რელიგიის მუზეუმი, ბათუმის ციხე, ხელოვნების*

ცენტრი; რკინიგზის სადგური; ავტოსადგური; 1 კმ.-ში მდებარეობს სასტუმროები და საზოგადოებრივი კვების ობიექტები;

წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *შშმ პირებს შესაძლებლობა აქვთ დაათვალიერონ მხოლოდ მუზეუმის პირველ სართულზე განლაგებული ექსპოზიციები;*

ტრანსპორტი, საკომუნიკაციო საშუალებით წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *ძეგლთან მისვლა შესაძლებელია საქალაქო ტრანსპორტით, ტაქსით, ასევე შესაძლებელია გადაადგილება ქალაქის ცენტრიდან ფეხით; ქალაქის ცენტრიდან შესაძლებელია დამოუკიდებლად გადაადგილდნენ ეტლით მოსარგებლეები;*

კონსერვაციისა და დაცვის საკითხები: *კონსერვაცია და რეაბილიტაცია განხორციელდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნების შესაბამისად. ძეგლის დაცულობას უზრუნველყოფს სსიპ აჭარის მუზეუმი ;*

ძეგლის მისამართი: *ბათუმი, ლესელიძის ქ. N3.*

ძმები ნობელების სახელობის ტექნოლოგიური მუზეუმი: ეს მუზეუმი სწორედ იმ შენობაშია განთავსებული, სადაც თითქმის საუკუნის წინათ, ძმები ნობელების ნავთობსამრეწველო ამხანაგობა „ბათუმის კანტორა“ იყო. მუზეუმში დაცული 2 ათასამდე ექსპონატი ასახავს XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველი ნახევრის იმ ტექნოლოგიურ მიღწევებს, რომელიც ბათუმში ძმები ნობელების, როტშილდებისა და მანთაშევის მეოხებით ინერგებოდა. ეს მიღწევები ძირითადად დაკავშირებული იყო ჩაისა და თამბაქოს კულტურების, ასევე პოლიგრაფიის განვითარებასთან. ძმები ნობელების მეშვეობით ბათუმში დაინერგა ასევე, ნავთობტრანზიტის ახალი ტექნოლოგიები.

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

ობიექტის დასახელება: *ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი;*

მფლობელი: მფლობელი: *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;*

განმსაზღვრელი მახასიათებლები: *კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი;*

გასართობი და დასასვენებელი ადგილები: *ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი მდებარეობს სკვერში; მუზეუმის მიმდებარედ არის ბათუმის ბულვარი, ანბანის კოშკი, გასართობი ატრაქციონები, საზღვაო ნავსადგური, 1 კმ.-ში მდებარეობს სასტუმროები და საზოგადოებრივი კვების ობიექტები;*

წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *შშმ პირებს შესაძლებლობა აქვთ გადაადგილდნენ თეატრის პარტერში;*

ტრანსპორტი, საკომუნიკაციო საშუალებით წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *ძეგლთან მისვლა შესაძლებელია საქალაქო ტრანსპორტით, ტაქსით, ასევე შესაძლებელია გადაადგილება ქალაქის ცენტრიდან ფეხით; ქალაქის ცენტრიდან შესაძლებელია დამოუკიდებლად გადაადგილდნენ ეტლით მოსარგებლეები;*

კონსერვაციისა და დაცვის საკითხები: *კონსერვაცია და რეაბილიტაცია განხორციელდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნების შესაბამისად ქართუ ფონდის დაფინანსებით. ძეგლის დაცულობას უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ადმინისტრაცია;*

ძეგლის მისამართი: *ბათუმი, რუსთაველის ქ.N1 .*

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი: ბათუმის დრამატული თეატრის შენობა 1952 წელს გაიხსნა (არქიტექტორი ი. ტეპლიცკი) და 7 წლის მერე მას ილია ჭავჭავაძის სახელი მიანიჭეს, თუმცა, ბათუმში გამართული პირველი წარმოდგენა 1879 წლით თარიღდება. ზურაბ ანტონოვის კომედიაში „განა ბიძიამ ცოლი შეირთო?“ სცენისმოყვარეები მონაწილეობდნენ. ამის ინიციატორი ბათუმის პოლიცმაისტერის ცოლი ქეთევან ჟურული ყოფილა. საქართველოს სხვა თეატრების მსგავსად, პირველი დადგმები საქველმოქმედო ხასიათს ატარებდა. თეატრალური ხელოვნებით გატაცებულნი შენობიდან შენობაში გადადიოდნენ და მაყურებელთა სიმცირეს მაინც არ უჩიოდნენ.



კოლონადები

ობიექტის დასახელება: *ბათუმის კოლონადები;*

მფლობელი: *სსიპ ბათუმის ბულვარი;*

განმსაზღვრელი მახასიათებლები: *კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი;*

გასართობი და დასასვენებელი ადგილები: *ბათუმის კოლონადები მდებარეობს ბათუმის ბულვარის ცენტრალურ ნაწილში; ახლოს მდებარეობს სასტუმრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტები;*

წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *შესაძლებლობა აქვთ დაათვალიერონ კოლონადები გადაიღონ ფოტოები;*

ტრანსპორტი, საკომუნიკაციო საშუალებით წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *კოლონადებთან მისვლა შესაძლებელია საქალაქო ტრანსპორტით, ტაქსით, ასევე შესაძლებელია გადაადგილება ქალაქის ცენტრიდან ფეხით; ქალაქის ცენტრიდან შესაძლებელია დამოუკიდებლად გადაადგილდნენ ეტლით მოსარგებლეები;*

კონსერვაციისა და დაცვის საკითხები: *კონსერვაცია და რეაბილიტაცია განხორციელდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნების შესაბამისად. ძეგლის დაცულობას უზრუნველყოფს ქალაქ ბათუმის მერია და ბათუმის ბულვარის ადმინისტრაცია;*

ძეგლის მისამართი: *ბათუმის ბულვარი.*

ბათუმის კოლონადები: მისი აგების იდეა ადგილობრივ ექიმს ივანე მჭედლიძეს დაებადა. შესაბამისი პროექტი მან იტალიიდან, ქალაქ სორენტოდან ჩამოიტანა, სადაც 1933-1934 წლებში პროფესიული მივლინებით იმყოფებოდა. პროექტი ცნობილი ბათუმელი არქიტექტორის ბოგდან კირაკოსიანის ხელმძღვანელობით განხორციელდა. იგი ზღვის სანაპიროზე გასვლისას კარიბჭის როლს ასრულებდა. აღსანიშნავია, რომ იმ დროს ზღვის ნაპირი დღევანდელთან შედარებით უფრო ახლოს იყო. შემდგომ, სანაპირო ზოლმა უკან დაიხია და ზღვა კოლონადებს საგრძნობლად დაშორდა. კოლონადები დღესაც ბათუმის სავიზიტო ბარათია. მსგავსი კონსტრუქციის კოლონადა, ასევე ამშვენებს ბათუმის 6 მაისის პარკსაც.

მედეას ქანდაკება

მედეას ქანდაკება – ევროპის მოედანზე დგას კოლხი მეფის ასულის, მედეას ქანდაკება. მისი ავტორი დავით ხმალაძეა. ქანდაკება ქვეყნის სიძლიერისა და სიმდიდრის სიმბოლოს წარმოადგენს. ანტიკური მითების მიხედვით, კოლხეთის ლეგენდარული მეფის, აიეტის უმცროსი ქალიშვილი არგონავტების წინამძღოლ იასონს გაუმიჯნურდა და საქართველოდან ოქროს საწმისის გატაცებაში დაეხმარა. მედეას, რომელიც სიღრმისეულად იცნობდა მცენარეების ბუნებას, მკურნალობის საოცარი ნიჭი ჰქონდა და, ლეგენდის მიხედვით, ადამიანის გაახალგაზრდავებაც შეეძლო. ამის გამო, ძველი ხალხები მას ქალღმერთადაც მიიჩნევდნენ და ტაძრებს უგებდნენ. მედეას სახელიდან იღებს სათავეს ტერმინი „მედიცინა“.

ბათუმის ბოტანიკური ბაღი

ობიექტის დასახელება: *ბათუმის ბოტანიკური ბაღი;*

მფლობელი: *სსიპ ბათუმის ბოტანიკური ბაღი;*

განმსაზღვრელი მახასიათებლები: *ბუნების ძეგლი; კულტურულ–შემეცნებითი და საგანმანათლებლო–სამეცნიერო კერა;*

გასართობი და დასასვენებელი ადგილები: *ბათუმის ბოტანიკური ბაღი მდებარეობს ქალაქ ბათუმიდან ჩრდილო-დასავლეთით. 1 კმ.-ში მდებარეობს სასტუმრო და საზკვების ობიექტები;*

წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *შესაძლებლობა აქვთ დაათვალიერონ ბოტანიკური ბაღი;*

ტრანსპორტი, საკომუნიკაციო საშუალებით წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *ძეგლთან მისვლა შესაძლებელია საქალაქო ტრანსპორტით, ტაქსით;*

კონსერვაციისა და დაცვის საკითხები: *კონსერვაცია და რეაბილიტაცია განხორციელდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნების შესაბამისად. ძეგლის დაცულობას უზრუნველყოფს სსიპ ბათუმის ბოტანიკური ბაღი;*

ძეგლის მისამართი: *ბათუმის ბოტანიკური ბაღი;*

- ბათუმის ბოტანიკურ ბაღს, ქალაქ ბათუმის ცენტრიდან 9 კილომეტრში, მდინარე ჩაქვისწყლის შესართავს და მწვანე კონცხს შორის მდებარე სანაპირო ზოლის დაახლოებით 1 კმ სიგრძის სამხრეთ-დასავლეთი მონაკვეთი უკავია, რომელიც ზღვის დონიდან 0-220 მეტრ სიმაღლემდე ვრცელდება და არცთუ შორეულ წარსულში, მთლიანად კოლხური ტიპის ტყით (წიფელი, წაბლი, ცაცხვი) და მარადმწვანე ქვეტყით (წყავი, შქერი და სხვ.) იყო დაფარული.

ბაღის ფლორისტული სიმდიდრე, მცენარეთა წარმოშობის მიხედვით 9 ფიტო-გეოგრაფიულ განყოფილებაშია თავმოყრილი. ბაღის კოლექცია შედგება მერქნიან მცენარეთა 2037 ტაქსონომიური ერთეულისაგან, ამათგან 104 კავკასიური წარმოშობისაა, ხოლო 1540 ტაქსონი საზღვარგარეთის სხვადასხვა ფლორის წარმომადგენელია. ბათუმის ბოტანიკური ბაღი ახორციელებს სხვადასხვა პროგრამებს მცენარეთა ინტროდუქციისა და კონსერვაციის, ადგილობრივი ფლორის დაცვის, დეკორატიული მებაღეობისა და მეყვავილეობის, მცენარეთა დაცვის, მეხილეობა–სელექციის, ეკოგანათლებისა და ტურიზმის მიმართულებით. ბაღის პერსონალი ჩართულია ფუნდამენტური ხასიათის სხვადასხვა თეორიულ და ექსპერიმენტულ კვლევით პროექტებში.

ბათუმის დელფინარიუმი

ბათუმის სადემონსტრაციო აკვარიუმი 1966 წლის 20 აგვისტოს გაიხსნა ბათუმის დელფინარიუმი კი 1975 წელს და იგი იყო პირველი სადემონსტრაციო დელფინარიუმი ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და მსოფლიოს უდიდეს დელფინარიუმებს განეკუთვნებოდა. თავდაპირველად აქ წარმოდგენილი იყო წყნარი ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილის ფეხფარფლიანი ძუძუმწოვარი ცხოველები, ძვირფასბეწვიანი წავები და კასპიის ზღვის სელაპები. მნახველებზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა ინდოეთის ოკეანის მობინადრე გიგანტური კუ, ე.წ. „ცრუ კარეტა", რომელიც დაახლოებით 100 კგ–ს იწონიდა. დეკორატიული თევზების მრავალფეროვნება მნახველთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა. აკვარიუმში მტკნარი წყლების, სხვადასხვა ზღვისა და ოკეანის ცხოველთა 60–მდე სახეობა ბინადრობდა.

ამჟამად აკვარიუმში შავი ზღვის, საქართველოს მტკნარი წყლების ბინადართა ზოგიერთი და დეკორატიული თევზების 100–მდე სახეობაა წარმოდგენილი: ზღვის კატა , ზღვის მელა, ზღვის ენა, კეფალისებრნი, ცხენთევზა, ხონთქარა, ნაგვერდალა და სხვა უნიკალური ჯიშის თევზები. ეგზოტიკური სახეობებიდან აღსანიშნავია ამაზონის ბინადარი პირანია, ციხლიდები, სამხრეთ–აღმოსავლეთ აზიის თევზები – გურამი, ბარბუსი, ბოცია, ლაბეო და ულამაზესი დისკუსები. სელექციური მუშაობის შედეგად აკვარიუმში გამოყვანილია იაპონური კობრი (კოი).

ბათუმის დელფინარიუმი იყო პირველი სადემონსტრაციო დელფინარიუმი ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და მსოფლიოს უდიდეს დელფინარიუმებს განეკუთვნებოდა. 1990-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში შექმნილი რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების გამო ობიექტმა ფუნქციონირება შეწყვიტა. 20 წლიანი პაუზის შემდეგ, 2011 წლის 6 მაისს

ქალაქის მერიის ინიციატივით კვლავ გაიხსნა სრულიად ახალი ბათუმის დელფინარიუმი.დელფინარიუმის ამფითეატრი შედგება 4 სექტორისაგან და გათვლილია 795 მაყურებელზე. ინფრასტრუქტურაში შედის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მომსახურება პანდუსითა და ლიფტებით.

ბათუმის ციხე

ობიექტის დასახელება: *ბათუმის ციხე;*
მფლობელი: *სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო;*
განმსაზღვრელი მახასიათებლები: *კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი;*
გასართობი და დასასვენებელი ადგილები: *ბათუმის ციხე მდებარეობს ქალაქის ერთ-ერთ უძველეს დასახლებაში - მენავთობეთა უბანში რელიგიის მუზეუმის მდებარებარედ; ციხის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს წმ. მეფე თამარის სახელობის ეკლესია, რომელიც გასული საუკუნის დასასრულს აჭარის კულტურის ყოფილი მინისტრის თეიმურაზ კომახიძის უშაოლო ძალისხმევით განთავსდა საბჭოთა პერიოდში ციხის ტერიტორიაზე აგებული რესტორნის შენობაში; ციხის მიმდებარედ არის რელიგიისა და ძმები ნობელების სახელობის მუზეუმები, ბათუმის ხელოვნების ცენტრი; რკინიგზის სადგური; ავტოსადგური; 1 კმ.-ში მდებარეობს სასტუმროები და საზოგადოებრივი კვების ობიექტები;*
წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *შშმ პირებს შესაძლებლობა აქვთ მოილოცონ ციხის ტერიტორიაზე არსებულ ეკლესიაში და მცირე ბილიკებით დაათვალიერონ ციხის შიდა ექსპოზიცია;*
ტრანსპორტი, საკომუნიკაციო საშუალებით წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *ძეგლთან მისვლა შესაძლებელია საქალაქო ტრანსპორტით, ტაქსით, ასევე შესაძლებელია გადაადგილება ქალაქის ცენტრიდან ფეხით;*
კონსერვაციისა და დაცვის საკითხები: *კონსერვაცია და რეაბილიტაცია განხორციელდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნების შესაბამისად. ძეგლის დაცულობას უზრუნველყოფს სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო;*
ძეგლის მისამართი: *ბათუმი, თამარის დასახლება, ბათუმის რელიგიის მუზეუმის მიმდებარედ.*
ბათუმის ციხის ისტორიიდან: ბიზანტიის წერილობით წყაროებში მოხსენიებულია ციხე ლოსორიონი (Losorion) ან ლისირისი (Lysiris), რომელიც აუგია იუსტინეს 542-562 წლებში ბიზანტია-სპარსეთის ომის დროს. შუა საუკუნეებში ბათუმის ციხე ადგილობრივი მნიშვნელობის

რიგითი ციხე იყო. ოსმალთა ბატონობის ხანაში აქ თურქეთის გარნიზონი იდგა. საქართველოს დაუბრუნდა რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 ომის შემდეგ. ბათუმის ციხის თავდაპირველი ნაგებობიდან შემორჩენილია გეგმაში მართკუთხედის მოყვანილობის გალავანი და ჩრდილო-აღმოსავლეთით კუთხის კოშკი. კედლები ნაგებია შერეული წყობით - თლილი ქვისა და აგურის ჰორიზონტალური რიგებით. არქეოლოგიური შესწავლის (1963-1964) შედეგად დადგინდა, რომ ძვ. წ. I ათასწლეულში აქ ყოფილა ხის მორებით შემოზღუდული და თხრილებით გამაგრებული ტიპური კოლხური გორა-სამოსახლო. ანტიკურ ხანაში აქაური მოსახლეობა მისდევდა თევზჭერასა და ინტენსიურ სოფლის მეურნეობას. არქეოლოგიურ მასალებში გვხვდება, როგორც ადგილობრივი, ისე მცირე აზიისა და ეგეოსის სამყაროს ხელოსნური ცენტრების ნაწარმი. აღმოჩენილია აგრეთვე შუა საუკუნეების არქეოლოგიური მასალა (მოჭიქული კერამიკა).

SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები:

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქს, სადაც თავმოყრილია რეგიონის მთავარი ეკონომიკური და ტურისტული რესურსები;
- ბათუმის მდიდარია ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარებისათვის აუცილებელი პირობებით;
- ზოგადად აჭარის რეგიონი მდიდარია როგორც ბუნების, ასევე მატერიალური კულტურის უნიკალური ძეგლებით, რაც ერთმნიშვნელოვნად გაზრდის ქალაქის ტურისტულ შესაძლებლობებს;
- ქალაქი ბათუმი (ძველი ბათუმი) გამორჩეულია XIX-XX საუკუნეების ევროპული არქიტექტურის ძეგლებით, რასაც ამდიდრებს ქალაქში ახალი ინფრასტრუქტურული ელემენტების შემოტანა;

- ქალაქ ბათუმმა ისტორიულად დაიმკვიდრა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ერთ–ერთი მთავარი მაგისტრალური საზღვაო–საპორტო ფუნქციებით ადგილი;
- ქალაქს გააჩნია მზარდი რესურსები ორი მიმართულებით, ერთი, როგორც ზღვის და მეორე სოფლის (ბათუმის ბოტანიკური ბაღი, ახლად შეერთებული ადმინისტრაციული ერთეულები) ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის აუცილებელი ყველა წინაპირობით;
- ზოგადად ქალაქი ბათუმი ასოცირდება იტორიულად სამრეწველო და გადამამუშავებელი ქარხანა–ფაბრიკების, გადაზიდავების მძლავრი ბერკეტების გამართულ და ტვირთების უსაფრთხოდ მიღებისა და დამუშავების კულტურასთან, რაც ერთი-ორად ზრდის ქალაქისათვის ახლი ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობას;
- ბათუმისათვის ახალი ადმინისტრაციული ერთეულების შეერთება, თავისი მდიდარი ბუნებრივი და რეკრეაციული პოტენციალით ხელს უწყობს, როგორც მაღალი კლასის რეკრეაციული ტურიზმის განვითარებას, ასევე ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფას;
- ქალაქ ბათუმის ისტორიული დაგეგმარება, ახალი ინფრასტრუქტურული შემეცნებით–კულტურული ელემენტების შემოტანა ხელს უწყობს ქალაქში შემეცნებითი და გასართობი კერებისათვის შინაარსობრივად მომგებიანი პოზიციიდან, ძველისა და ახლის ჰარმონიულად შერწყმით, ინოვაციური ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებას;
- ქალაქი სრულად იფარება მობილური სატელეფონო კავშირგაბმულობის ქსელით და საფოსტო კავშირით;
- ბათუმის საკურორტო–შემეცნებითი ცნობადობის ამაღლებას ხელს უწყობს: ბათუმის შუქურა, ბათუმის კოლონადები, მედეას ქანდაკება, ალისა და ნინოს ქანდაკება, ბათუმის ღვთისმშობლის სახელობის საკატედრო ტაძარი, ბათუმის დელფინარიუმი, ბათუმის პიაცა, გონიო–აფსაროსის ციხე–მუზეუმი, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, ეთნოგრაფიული მუზეუმი „ბორჯღალო“, ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი, ძმები ნობელების მუზეუმი, ბათუმის სამხატვრო გალერია, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, ბათუმის ბოტანიკური ბაღი, ბათუმის ციხე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი – გამორჩეულია საზღვაო, სარკინიგზო და საჰაერო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვთარებით. ქალაქის საავტომობილო მაგისტრალი დაკავშირებულია სარფის სასაზღვრო–გამშვებ პუნქტთან;
- მზარდი ტურისტული ნაკადების მიღებას უზრუნველყოფს ბათუმის სიახლოვე ფოთის პორტთან და ქუთაისის აეროპორტთან;
- ქალაქის მომარაგება, ერთის მხრივ აჭარის და მეორეს მხრივ მეზობელი რეგიონებისათვის დამახასიათებელი ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო–სამეურნეო პროდუქტებით;

- ქალაქ ბათუმში განვითარებულია და ფუნქციონირებს მაღალტექნოლოგიური სამედიცინო დაწესებულებები და თანამედროვე საავთიაქო ქსელები;
- უსაფრთხო დასვენებისა და გართობის შესაძლებლობებს უზრუნველყოფს რეგიონში სახანძრო–სამაშველო რაზმების არსებობა; მათ შორის წყალზე სამაშველო ჯგუფები.

სუსტი მხარეები:

- ქალაქის მზარდი ეკონომიკური მაჩვენებლების მიმართ არაშეუსაბამო საგზაო ინფრასტრუქტურის არსებობა;
- ისტორიულ და კულტურულ–შემეცნებით ზონებში ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების (საცხოვრებელი და სასტუმროს ტიპის ნაგებობები) განხორციელება;
- ტურისტული ობიექტების (სასტუმრო და კვების ობიექტები) სიახლოვეს ნავთობისა და სხვა ქიმიური მასალების გადაზიდვის ტერმინალების არსებობა;
- შშმ პირებისთვის ადაპტირებული ტურისტული ინფრასტრუქტურის, სამშენებლო სტანდარტების არასრულყოფილად დაცვა;
- ჭარბი შიდა სატრანსპორტო ქსელის არსებობა (მიკროავტობუსები, კერძო ტაქსები);
- გამართული საქალაქო საგზაო ინფრასტრუქტურისათვის საკმარისი ელემენტების არარსებობა (ხიდები, ესტაკადები, გადასასვლელები, ველო–ბილიკები);
- მუნიციპალიტეტის ახლად შემოერთებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში დასახლებების ინფრასტრუქტურული იერსახის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა და სივრცითი დაგეგმვის პრაქტიკის არარსებობა;
- მუნიციპალიტეტის ახლად შემოერთებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში საკანალიზაციო სისტემების გაუმართაობა და არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა;
- მოსახლეობაში თანამედროვე სამეურნეო–სამეწარმეო უნარ–ჩვევების ნაკლებობა;
- ტურისტული მომსახურების (პროდუქტის) სარეკლამო მხარდაჭერის გაზრდა როგორც არარეზიდენტი, ისე რეზიდენტი ვიზიტორების მოსაზიდად;

შესაძლებლობები:

- ქალაქ ბათუმის მიმართ ინვესტორების გაზრდილი ინტერესი – ერთის მხრივ, სამრეწველო–ეკონომიკური და მეორეს მხრივ, სასტუმრო და შემეცნებითი–დასვენების ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიმართ;
- ტურისტული ნაკადების ზრდა (როგორც რეზიდენტი, ასევე არარეზიდენტი ვიზიტორები), რასაც ხელს უწყობს ბათუმის სიახლოვე რეგიონის მზარდი შესაძლებლობებით გამორჩეულ სამთო კურორტებთან;

- საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარების მოცულობის ზრდა;
- მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი პროექტებისთვის დაფინანსების მიზნობრივი და წარმატებული ათვისება–გამოყენება;
- მცირე ბიზნესის სესხების გაიაფებაზე ორიენტირებული სპეციალური სახელმწიფო პროგრამები, რომელიც მიმართული იქნება მუნიციპალიტეტის ახლად შემოერთებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში მზარდი რესურსებით არსებული ტურისტული და ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარებისათვის;
- ტურიზმისა და ინდუსტრიული ზონების მართვაში, მათ შორის ტურიზმის, როგორც ბიზნესის საქმიანობის, არასაკმარისი რესურსები;

ბუნებრივი კატასტროფები:

- გლობალური საფინანსო–ეკონომიკური კრიზისი;
- ბათუმის ტერმინალი რისკ–ფაქტორი მოსახლეობისთვის და ეკოსისტემისთვის;
- პანდემია, სხვადასხვა ვირუსული ეპიდემია.

ქობულეთის მუნიციპალიტეტი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის დროშა და გერბი



N	ქობულეთის მუნიციპალიტეტი		
1	მოსახლეობა	94 602	
2	ფართობი	711,8 კვ.მ.	
3	ავტოსადგური	მ. აბაშიძის ქ. 1	
4	რკინიგზის სადგ.	მ. აბაშიძის ქ. 1	
5	აეროპორტი	უახ. ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი	ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი
6	საზღვაო ნავსადგური	0	
7	ხუროთმოძღვრების ძეგლები	34	
8	ბუნების ძეგლები	3	
9	ადმინისტრაციული ორგანოს მისამართი	აღმაშენებლის გამზ.141	
10	საინფორმაციო ცენტრი	აღმაშენებლის გამზ. 139	
11	საფოსტო ინდექსი	6200	

ისტორიული წარსული: XIII საუკუნემდე ქობულეთი ეკუთვნოდა ქობულიძეების საგვარეულოს. აქედან უნდა მომდინარეობდეს მისი სახელწოდება. ქობულეთი გვიან ფეოდალურ ხანაში წარმოადგენდა გურიის სამთავროში ტყვეთა ყველაზე დიდი ბაზრობის ადგილს. აქ ტყვეთა შესასყიდად რიზედან, გონიოდან და ტრაპიზონიდან მოდიოდნენ თურქი ვაჭრები. ქობულეთის ბაზარი ისეთი ცნობილი იყო, რომ იქ არა მხოლოდ გურია-სამეგრელოდან,

არამედ აფხაზეთიდან და ქართლ-კახეთიდანაც მიჰყავდათ ტყვეები - წერდა დონ ქრისტოფორო დე კასტელი.

XVII საუკუნის შუა წლებში ქობულეთი და მისი შემოგარენი გურიელებმა უბოძეს თავდირიძეებს, რომლებიც მას XVIII საუკუნის 70-იან წლებამდე ფლობდნენ.[3] ქუჩუქ-კაინარჯის ზავის შემდეგ ქვემო გურია და ქობულეთი ოსმალეთის იმპერიამ დაიკავა. ოსმალეთის ბატონობის დროს ქალაქს ეწოდა თურქული სახელი ჩურუქ-სუ (Çürüკსუ). შეიქმნა ჩურუქ-სუს კაზა, რომელიც ლაზისტანის სანჯაყში შედიოდა.

1877-1878 წლებში რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, ქობულეთი, ისევე როგორც მთელი აჭარა რუსეთის იმპერიამ დაისაკუთრა. XVII საუკუნის მეორე ნახევარში ქობულეთი იქცა ელიტურ კურორტად. ზღვისპირა ზოლი რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ს განკარგულებით გადაეცა საუკეთესო მთავარსარდლებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს რუსულ-თურქული კამპანიის დროს. მაღალჩინოსნებმა დაიწყეს ქობულეთის ზღვისპირა ზოლის გაშენება მდიდრული აგარაკებით. ქობულეთის გამაჯანსაღებელმა კლიმატმა სულ რამდენიმე წელიწადში გაითქვა სახელი. მრავალრიცხოვანი პუბლიკაციები იბეჭდებოდა გაზეთ „კავკაზის“ ფურცლებზე, სადაც ექიმები პანტიუხოვი და პერედელსკი წერდნენ ქობულეთის გამაჯანსაღებელი ჰავის შესახებ. ისინი იხსენიებენ ქობულეთს, როგორც „სმეკალოვკას“ (ასე ერქვა რუსული დიდგვაროვნების დასახლებას). ისინი იშველიებენ ექიმ პრეობრაჟენსკის და პროფესორ შერბაკოვის სიტყვებს, რომლის მიხედვითაც ქობულეთის ჰავა საუკეთესოდ მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა, ნერვულ სისტემათა და სასუნთქ ორგანოებზე. 1890-იან წლებში სარეკრეაციო და სამკურნალო დანიშნულებით, ქობულეთის ზღვაზე ჩამოდიოდა ბათუმის ოლქისა და ოზურგეთის მაზრის მოსახლეობა.[4]

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ არისტოკრატების აგარაკები წითელი კომისრების მფლობელობაში გადავიდა.

1923 წელს ქობულეთმა მიიღო კურორტის, ხოლო 1944 წელს ქალაქის სტატუსი მიიღო.

მდებარეობა: მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჩრდილოეთ ნაწილში. ის მოქცეულია შავ ზღვას, მდინარე ჩოლოქსა და მესხეთის ქედს შორის. მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ოზურგეთის მუნიციპალიტეტი (საზღვრის სიგრძე 55 კმ.), სამხრეთ–დასავლეთით – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი (საზღვრის სიგრძე 24 კმ.), სამხრეთით – ქედის მუნიციპალიტეტი (საზღვრის სიგრძე 33 კმ.), სამხრეთ–აღმოსავლეთით – შუახევის მუნიციპალიტეტი (საზღვრის სიგრძე 21 კმ.). ზღვისპირა ზოლის სიგრძეა 24 კმ. მუნიციპალიტეტს უჭირავს 711,8 კმ2 ფართობი. მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო და საცხოვრებელი დანიშნულებით გამოიყენება 21 170 ათასი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი, რაც შეადგენს მთელი მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 29,4%–ს. მუნიციპალიტეტში დაცული ტერიტორიების ფართობი შეადგენს 30252 ჰექტარს, მთელი მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 42%–ს. დაცულ ტერიტორიებს მიეკუთვნება: კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი, თიკერის აღკვეთილი თავისი ფლორითა და ფაუნით. იშვიათი

მცენარეებითაა სავსე ისპანის ჭაობი. ქობულეთის მუნიციპალიტეტში ტყის რესურსების საკმაო რაოდენობისაა და ტყიანობის კოეფიციენტი 65%-ს აღემატება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტყის შემქმნელი მერქნიანი სახეობებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია წიფელი, წაბლი და მურყანი.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში შემავალი თემები და სოფლები: ალამბარი/ ზედა კონდიდი, აჭყვისთავი, ბობოყვათი/ქვედა დაგვა, გვარა/ქვედა კონდიდი, დაგვა, ზენითი, კვირიკე/ ზედა კვირიკე/ ქვედა კვირიკე, ლეღვა / სკურა/ცხრაფონა, მუხაესტატე, წყავროკა, ზედა აჭყვა, საჩინო, ქვედა აჭყვა, აჭი, გოგმაჩაური, ნაცხავატევი, ქაქუთი, ჩაისუბანი, ბუკნარი, სახალვაშო, დიდვაკე, ვარჯანული, კეჭიეთი, კობალაური, ოხტომი, ტყემაკარავი, ჭახათი, ხინოწმინდა, გორგაძეები, ჩაქვისთავი, ხალა, ქვედა სამება, ხუცუბანი.

ისტორიული ძეგლები და ღირსშესანიშნაობები:

ქობულეთის ზღვის პირა პარკი; ელიას ციხე - შუა საუკუნეები; ხინოწმინდის სამონასტრო კომპლექსი - შუა საუკენეები; ვარჯანულის თაღოვანი ხიდი - XVIII ს. ცხემვანას თაღოვანი ხიდი - XVIII ს. პეტრას ციხე - VI - შუა საუკუნე; ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია - XIX ს. წმინდა კონსტანტინეს სახელობის ეკლესია - 1901-1911წ. დარბაზული ეკლესია - გვიანი შუა საუკუნეები; სოფელ ზენითის საწნახელი - ძვ.წ. აღ. III ს. სოფელ კვირიკეს წმინდა გიორგის სახელობის საყდარი - XVIII ს. სოფელ ქვედა აჭყვას წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია - XX ს. სოფელ ზედა აჭყვას წმინდა პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესია - XIX ს. სოფელ ლეღვას წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია - XVIII ს. სოფელ ლეღვას ხომერიკების საგვარეულო ეკლესია - XVII ს. სქურა -XIV ს. სოფელ ქობულეთის თაღოვანი ხიდი - XIX ს. მამუკას ციხე- გვიანი შუა საუკუნეები; სოფელ ხუცუბანის თაღოვანი ხიდი - XIX ს. სოფელ ხუცუბანის ბერძნების ნაეკლასიარი. თეთროსანი - V-VI ს. სოფელ ხალას თემარკოფის ხიდი - გვიანი შუა საუკუნეები. სოფელ ჩაისუბნის გუმბათოვანი ეკლესია სამება - XIX ს. სოფელ ქაქუთის ნასაყდრალი. სოფელ ციხისძირის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია; სოფელ ციხისძირის წმიდა გრიგოლ ოქროპირიძის სახელობის ეკლესია; სოფელ კვირიკეს წმიდა ქალწულმოწამე კვირიაკეს სახელობის საყდარი - 1880-1900 წწ. სოფელ ბობოყვათის წმიდა ამბროსი ხელაიას სახელობის დედათა მონასტერი; სოფელ ბობოყვათის წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველის, ბასილი დიდის, იოანე ოქროპირის სახელობის ეკლესია; სოფელ ქაქუთის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი. სოფელ სამების სამების სახელობის ტაძარი. ქობულეთის წმიდამღვდელომოწამე კირიონის სახელობის ეკლესია. ქობულეთის ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის ეკლესია. ქობულეთის უფლის ამაღლების სახელობის ტაძარი. სოფელ კვირიკეს ჯამე - გვიანი შუა საუკუნეები; სოფელ ხალას ჯამე- გვიანი შუა საუკუნეები.

კინტრიშის დაცული ტერიტორია:

ობიექტის დასახელება: *კინტრიშის დაცული ტერიტორია;*

მფლობელი: *საქართველოს დაცული ტერიტორიების ეროვნული სააგენტო;*

განმსაზღვრელი მახასიათებლები: *ბუნების ძეგლი;*

გასართობი და დასასვენებელი ადგილები: *კინტრიშის დაცული ტერიტორია მდებარეობს ქალაქ ქობულეთიდან 25 კმ. დაშორებით; უახლოესი სეზონური კაფე-რესტორანი მდებარეობს მდ. კინტრიშზე არსებულ ბასრიმელის თაღოვან ხიდთან; მიმდებარე სოფლებში შესაძლებელია განთავსება ადგილობრივ ოჯახებში, ცხემვანის წმ. გიორგის სახელობის მონასტერში, ხინოწმინდის იოვანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერში, ხინოწმინდაში არსებულ საოჯახო ტიპის სასტუმროში, სოფ. ცხემვანში არსებულ ადმინისტრაციის შენობაში განთავსებულ სასტუმროში; ადგილობრივ მოსახლეობას აქვს სხვადასხვა ხილი, სოფლის ნობათი, საფუტკრე მეურნეობები;*

წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *შესაძლებლობა აქვთ დაათვალიერონ კინტრიშის დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორია;*

ტრანსპორტი, საკომუნიკაციო საშუალებით წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *მისვლა შესაძლებელია სოფელ ჭახათამდე საქალაქო ტრანსპორტით, სრულად ტაქსით (სასურველია მაღალი გამავლობის ავტომობილი); კინტრიშის დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის მიმდებარე ტერიტორიაზე შესაძლებელია დამოუკიდებლად გადაადგილდნენ ეტლით მოსარგებლეები;*

კონსერვაციისა და დაცვის საკითხები: *ბუნების ძეგლის დაცულობას უზრუნველყოფს საქართველოს დაცული ტერიტორიების ეროვნული სააგენტო;*

ძეგლის მისამართი: *ვიზიტორთა ცენტრი: სოფ. ცხემვანი.*

კინტრიშის დაცული ტერიტორია მდებარეობს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ქობულეთის რაიონში; მისი საერთო ფართობი 13.893 ჰა-ს შეადგენს. იგი მოქცეულია მდინარე კინტრიშის თვალწარმტაც ხეობაში, სოფ. ცხემვანსა და ხინოს მთებს შორის, ზღ. დ.-დან 300-2500 მ-ის სიმაღლეზე.

დაცულ ტერიტორიებს ჩრდილოეთით ქობულეთის სატყეოს ადმინისტრაციის ტერიტორიები, სამხრეთ აღმოსავლეთით შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, სამხრეთით ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, სამხრეთ-დასავლეთით კი მტირალას ეროვნული პარკი ესაზღვრება. კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია ორ სხვადასხვა კატეგორიის დაცულ ტერიტორიას - სახელმწიფო ნაკრძალსა და დაცულ ლანდშაფტს მართავს. კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი 1959 წელს შუამთის რელიქტური ტყეებისა და ენდემური სახეობების, ფლორისა და ფაუნის დაცვის მიზნით დაარსდა. 2007 წელს კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალის ბაზაზე დაცული ლანდშაფტი შეიქმნა. სახელმწიფო ნაკრძალის ფართობია 10703 ჰა, ხოლო დაცული ლანდშაფტის 3190 ჰა. კინტრიშის ორი ტურისტული მარშრუტი მდებარეობს ზღვის დონიდან 300-2000 მ-ის სიმაღლეზე. ბილიკზე გადაადგილება შესაძლებელია როგორც ფეხით, ასევე ცხენით. მარშრუტის გასწვრივ მოწყობილია საპიკნიკე და საკემპინგე ადგილები, ასევე გამოყოფილია კოცონის დასანთები ადგილი. გიდის, ცხენისა და ადგილობრივი ტრანსპორტის ორგანიზებაში დაგეხმარებათ დაცული ტერიტორიების ვიზიტორტა ცენტრი.

კობალაურის ხიდი. კობალაურის ხიდი მდინარე კინტრიშის მარჯვენა სანაპიროზე ამ დრომდე მოქმედ სოფელ კობალაურს უკავშირდებოდა. ხიდი ადგილობრივთა მეხსიერებით ტყემაკარავში გადასასვლელი ხიდის არქიტექტურას იმეორებდა.

ქობულეთის დაცული ტერიტორიები - ისპანის ტორფნარი

ობიექტის დასახელება: *ქობულეთის დაცული ტერიტორიები - ისპანის ტორფნარი;*

მფლობელი: *საქართველოს დაცული ტერიტორიების ეროვნული სააგენტო;*

განმსაზღვრელი მახასიათებლები: *ბუნების ძეგლი;*

გასართობი და სასასვენებელი ადგილები: *პარკი მდებარეობს ქალაქ ქობულეთიდან დაშორებით; უახლოეს 1 კმ.;*

წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *შესაძლებლობა აქვთ დაათვალიერონ პარკის ადმინისტრაციული შენობა, ექსპოზიციები, ისარგებლონ პარკის სასტუმროთი, სასადილოთი და საპიკნიკე ადგილებით;*

ტრანსპორტი, საკომუნიკაციო საშუალებით წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *მისვლა შესაძლებელია საქალაქო ტრანსპორტით, ტაქსით, ასევე შესაძლებელია გადაადგილება ქალაქის ცენტრიდან ფეხით; პარკის ადმინისტრაციის ტერიტორიაზე შესაძლებელია დამოუკიდებლად გადაადგილდნენ ეტლით მოსარგებლეები;*

კონსერვაციისა და დაცვის საკითხები: *ბუნების ძეგლის დაცულობას უზრუნველყოფს საქართველოს დაცული ტერიტორიების ეროვნული სააგენტო;*
ძეგლის მისამართი: *ქობულეთი, აღმაშენებელის გამზ. 249*

ისპანის ტორფნარი საერთაშორისო მნიშვნელობის, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი, რამსარის კონვენციით აღიარებული უნიკალური ჭარბტენიანი ეკოსისტემების, როგორც მაღალი ღირებულებების მქონე ბუნებრივი მემკვიდრეობის გადარჩენის მიზნით შეიქმნა. წყლის ფრინველთა და მცენარეების მრავალფეროვნებით გამორჩეული ტორფნარები მდებარეობს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და მოიცავს ქობულეთის ზღვისპირა ვაკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს. ქობულეთის დაცული ტერიტორიები მნიშვნელოვანი ჰაბიტატებია გადამფრენი, მობუდარი და მოზამთრე წყლის ფრინველთა სახეობებისათვის. ბოტანიკოსების დიდ დაინტერესებას იწვევს აქ არსებული ბორეალური სახეობები: სფაგნუმი ანუ თეთრი ხავსი და მწერიჭამია დროზერა. ქობულეთის დაცული ტერიტორიები მოიცავს ისპანი 1-ისა და ისპანი 2-ის სფაგნუმიან ტორფნარებს, რომლებზეც მოწყობილია ბილიკები და ვიზიტორებს საშუალება აქვთ განახორციელონ საგანმანათლებლო-სამეცნიერო ტურები. ვიზიტორთა ცენტრი კომბინირებულია ადმინისტრაციულ შენობასთან. აქვე შესაძლებელია ჭაობის თხილამურების დაქირავება და სფაგნუმიან ტორფნარზე გასეირნება.

მტირალას ეროვნული პარკი:

ობიექტის დასახელება: *მტირალას ეროვნული პარკი;*
მფლობელი: *საქართველოს დაცული ტერიტორიების ეროვნული სააგენტო;*
განმსაზღვრელი მახასიათებლები: *ბუნების ძეგლი;*
გასართობი და სასასვენებელი ადგილები: *პარკი მდებარეობს ქალაქ ქობულეთიდან დაშორებით; უახლოეს 15 კმ.პარკის ტერიტორიაზე მდებარეობს საზოგადოებრივი კვებისა და დასვენების ობიექტები;*
წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *შესაძლებლობა აქვთ დაათვალიერონ პარკის ადმინისტრაციული შენობა, ექსპოზიციები, ისარგებლონ პარკის სასტუმროთი, სასადილოთი და საპიკნიკე ადგილებით;*
ტრანსპორტი, საკომუნიკაციო საშუალებით წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *მისვლა შესაძლებელია საქალაქო ტრანსპორტით, ტაქსით, პარკის ადმინისტრაციის ტერიტორიაზე შესაძლებელია დამოუკიდებლად გადაადგილდნენ ეტლით მოსარგებლეები;*
კონსერვაციისა და დაცვის საკითხები: *ბუნების ძეგლის დაცულობას უზრუნველყოფს საქართველოს დაცული ტერიტორიების ეროვნული სააგენტო;*
ძეგლის მისამართი: *ვიზიტორთა ცენტრი: დაბა ჩაქვი*

პარკი კავკასიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მცირე კავკასიონის, სახელდობრ აჭარა-იმერეთის ქედის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში, ქობულეთ-ჩაქვის ქედზე - შავი ზღვის სიახლოვეს მდებარეობს. მისი საერთო ფართობი 15698,8 ჰა-ს შეადგენს. მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორია ქობულეთის, ხელვაჩაურისა და ქედის მუნიციპალიტეტებს შორისაა მოქცეული. ადმინისტრაციული შენობა დაბა ჩაქვში, ხოლო ვიზიტორთა ცენტრი კი ადმინისტრაციული ცენტრიდან 15 კმ-ით დაშორებულ სოფ. ჩაქვისთავში მდებარეობს. ვიზიტორთა ცენტრის საექსპოზიციო და საპრეზენტაციო დარბაზში ვიზიტორს საშუალება აქვს გაეცნოს მტირალას ეროვნული პარკის სპეციფიკას, მომსახურებებს, ტარიფებს, ტურებს და აირჩიოს მისთვის სასურველი ვარიანტი. მტირალას ეროვნული პარკში ფუნქციონირებს ერთ და 2-დღიანი ტურისტული მარშრუტები. ბილიკები მარკირებული და კეთილმოწყობილია. მოწყობილია საპიკნიკე და საკემპინგე ადგილები, გამოყოფილია ადგილები კოცონის დასანთებად, ასევე ბილიკის მე-9 კმ-ზე არის ტურისტული თავშესაფარი. ეროვნული პარკი ვიზიტორებს სალაშქრო, საცხენოსნო, სამეცნიერო და ეკო-ტურებს სთავაზობს.

მტირალას ეროვნულ პარკში არსებული აქტივობები და სერვისები*:* პარკის ადმინისტრაცია სთავაზობს ვიზიტორებს სხვადასხვა სახის ტურებს: რეკრეაცია, ლაშქრობა ველურ ბუნებაში, ფოტომოყვარულთა ტური, სამეცნიერო ტური, ფრინველებზე დაკვირვება, ეკო–საგანმანათლებლო ტური.

პარკის ადმინისტრაცია უზრუნველგყოფთ შემდეგი მომსახურებებით: ღამის თევა ტურისტულ თავშესაფარში, კარავი, საძილე ტომარა, ზურგჩანთა, საკარვე ადგილი, საპიკნიკე ადგილი, ზიპლაინი (ბაგირზე დაშვება), თოკების პარკი, ფრინველებზე დაკვირვების კოშკურა.

ფლორა და ფაუნა:

ქობულეთის მუნიციპალიტეტში 1600–მდე სახეობის მცენარეა, მათ შორი 20%–ი რელიქტური და ენდემურია. ხელოვნურადაა გაშენებული ფიჭვი. ისპანის ჭაობი კი ტორფის შემქმნელი ხავსებით, ისლით, ჭილით, ლერწმითა და სხვა მცენარეებით არის დაფარული. გორაკ–ბორცვებსა და მთისწინებზე გაბატონებულია მარადმწვანე ქვეტყიანი კოლხური ტყეები, სადაც ჭარბობს მუხა, ცაცხვი, იფანი, ქვეტყეში – შქერი, წყავი, ბზა, მოცვი, იელი, თხილი, ლიანებიდან – სურო, სვია, კატაბალახა, გარეული ვაზი და სხვ. ტყეებში დიდი რაოდენობით იზრდება გარეული ხეხილი – მაჟალო, პანტა, ლეღვი, ზღმარტლი. 600-700 მ–დან 1500-1600 მ–მდე შერეული ფართოფოთლოვანი ტყის ზონაა, სადაც ძირითადად წიფელნარი ტყეები გვხვდება. აქ იზრდება აგრეთვე რცხილა, წაბლი, ცაცხვი, ბოყვი და ნეკერჩხალი. 1600-1700 მ–

დან ტყეში წიფელთან ერთად გვხვდება ნაძვი, სოჭი და იშვიათად ფიჭვიც. ტყის ზემო საზღვართან ტანბრეცილა წიფლის, არყისა და ცირცელისაგან შექმნილი სუბალპური ტყეებია. 1900-2000მ ზემოთ სუბალპური მდელოებია, სადაც გავრცელებულია: ბასრისპირა, ნემსიწვერა, გერანიუმი, შვრიელა, წივანა, დიყი, დეზურა, შროშანა და სხვ. ბუჩქოვნებიდან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავრცელებულია: დეკა, ისელი, მაჯაღვერი. მდელოებს მუნიციპალიტეტში იყენებენ საზაფხულო საძოვრებად.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადრობს კურდღელი, შურთხი, მთის ტოროლა და სხვ. ტყის ზონაში გავრცელებულია ჭანური დათვი, მგელი, მელა, კვერნა, ტყის კატა, შველი და გარეული ღორი; ფრინველებიდან – ქორი, ძერა, ჯაფარა და შაშვი. ბარში მცირე რაოდენობით არიან: ტურა, მაჩვი, ზღარბი. მდინარეებში ბევრია: წვერა, ღორჯო, კეფალი, კალმახი. ჭაობიანი უბნებისათვის დამახასიათებელია ჭაობის კუ, ბაყაყი, ტრიტონი, ტბორებში – ლიმეა.

პეტრას ციხე

ობიექტის დასახელება: *პეტრას ციხე;*

მფლობელი: *აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო;*

განმსაზღვრელი მახასიათებლები: *სულიერი ფასეულობა,კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი;*

გასართობი და სასასვენებელი ადგილები: *პეტრას მდებარეობს ქალაქიდან 6 კილომეტრის დაშორებით ;*

წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *მოცემულ დროს მიმდინარეობს ციხის რეაბილიტაცია–კონსერვაცია და ტურისტებზე ორიენტირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობა;*

ტრანსპორტი, საკომუნიკაციო საშუალებით წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *ძეგლთან მისვლა შესაძლებელია საქალაქო ტრანსპორტით, ტაქსით,*

კონსერვაციისა და დაცვის საკითხები: *კონსერვაცია და რეაბილიტაცია მიმდინარეობს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნების შესაბამისად. ძეგლის დაცულობას უზრუნველყოფს აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს.*

ძეგლის მისამართი: *ქობულეთი სოფ. ციხისძირი.*

პეტრას ციხე - ისტორიულიციხე - ქალაქი აჭარაში, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ **ციხისძირის** ტერიტორიაზე მდებარეობს. ციხე ააშენა იოანე სტრატეგოსმა 535 წელს. ,,პეტრა“ ამ ციხე-ქალაქის ბიზანტიური სახელწოდებაა, ხოლო ,,ქაჯეთის ციხე“ ქართული. ვარაუდობენ, რომ ვეფხისტყაოსანში სწორედ ეს ციხეა მოხსენიებული.

ციხე - ქალაქი მდებარეობს შავიზღვის სანაპიროზე, ზღვის დონიდან 440 მეტრზე, ქობულეთიდან კი 6 კმ - ზე. პეტრას ციხე - ქალაქი ზღვისპირა კლდოვან ბორცვზე მდებარეობდა, ხმელეთის მხრიდან მას გალავნის გარდა კლდოვანი რელიეფი იცავდა (აქედანაა მისი ბერძნული სახელწოდება ,,პეტრა“ - ქვა, კლდე). პეტრა მიუვალ ციხედ ითვლებოდა. მისი ნანგრევები დღემდეა შემორჩენილი.

თეთროსნის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია

ობიექტის დასახელება: *თეთროსნის მამათა მონასტერი;*

მფლობელი: *საქართველოს საპატრიარქო;*

განმსაზღვრელი მახასიათებლები: *სულიერი ფასეულობა,კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი;*

გასართობი და დასასვენებელი ადგილები: *ტაძარი მდებარეობს ქალაქიდან 6 კილომეტრის დაშორებით ;*

წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *არ არის შესაძლებლობა*

ტრანსპორტი, საკომუნიკაციო საშუალებით წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *ძეგლთან მისვლა შესაძლებელია საქალაქო ტრანსპორტით, ტაქსით,*

კონსერვაციისა და დაცვის საკითხები: *კონსერვაცია და რეაბილიტაცია განხორციელდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნების შესაბამისად. ძეგლის დაცულობას უზრუნველყოფს საქართველოს საპატრიარქო;*

ძეგლის მისამართი: *ქობულეთი სოფ.თეთროსანი.*

თეთროსნის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ერთი კედლის ნაშთი, – რომელიც მდებარეობს ქალაქ ქობულეთიდან 5 კმ დაშორებით მდ. აჭყვას მარჯვენა ნაპირზე არსებულ ბორცვზე. ძეგლზე არსებული მდგომარეობა ართულებს განისაზღვროს სალოცავის არქიტექტურული სახე.

თეთროსანი ხინოწმინდის საეპისკოპოსოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. ერთი ვერსიით წინარეისტორიულ ხანაში იქ საკულტო ცენტრი უნდა ყოფილიყო. ის თეთრი გიორგის კულტთან დაკავშირებული სახელია. სხვა ვერსიით საქართველოში თეთროსანი (თეთრით შემოსილი) ღვთისმშობლის ერთ-ერთ წოდებულებად იხმარებოდა.

თეთროსანი მწიგნობრულ-კულტურული კერა იყო. იქ გადაიწერა XVI საუკუნის „თეთროსნის დავითნი“. მისი გადამწერი იყო გერმანოზ კალიგრაფი. ფსალმუნი გადაიწერა ქაიხოსრო გურიელისა და მისი დედის, თამარ დედოფლის, დაკვეთითა და ფინანსური უზრუნველყოფით.

თეთროსნის ტაძარი სავარაუდოდ დაანგრიეს ოსმალეთის მიერ მიტაცების შემდეგ (1728 წ.). XIX საუკუნის I ნახევარში მაქსიმ სულეიმან ბეგ თავდგირის მეუღლე უკვე თეთროსნის ნაეკლესიარზე დაუკრძალავთ.

წყარო:↑ ა. იოსელიანი, „ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან“ გვ. 54 — თბილისი, 1973 წ.

↑ ქ. ჩხატარაიშვილი, „თეთროსანი და თეთროსნის დავითნი“ საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები წ. ვ გვ. 106 — თბილისი, 1986 წ.

↑ თაყაიშვილი ე. (1907). არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. ტფილისი: „წიგნების გამომცემელ ქართველთ ამხანაგობა“, გვ. 29.

↑ ზაქარია ჭიჭინაძე, „თავდგირიძეთა გვარის ღალატი და ალი ფაშა თავდგირიძე“ გვ. 29 — ახალი სენაკი, 1896 წ.

ხინოწმინდის იოანე ნათლისმცემელის სახელობის ნატაძრალი

ობიექტის დასახელება: *ხინოწმინდის იოანე ნათლისმცემელის სახელობის ნატაძრალი.*
მფლობელი: *საქართველოს საპატრიარქო;*
განმსაზღვრელი მახასიათებლები: *სულიერი ფასეულობა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი;*
გასართობი და დასასვენებელი ადგილები: *ტაძარი მდებარეობს ქალაქიდან 44 კილომეტრის დაშორებით ;*
წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *არ არის შესაძლებლობა*
ტრანსპორტი, საკომუნიკაციო საშუალებით წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *ძეგლთან მისვლა შესაძლებელია მაღალი გამავლობის ავტომობილით;*
კონსერვაციისა და დაცვის საკითხები: *კონსერვაცია და რეაბილიტაცია განხორციელდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნების შესაბამისად აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ. ძეგლის დაცულობას უზრუნველყოფს საქართველოს საპატრიარქო და აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო;*
ძეგლის მისამართი: *ქობულეთი სოფ.ხინოწმინდა.*

ქალაქ ქობულეთიდან აღმოსავლეთით 44 კმ. დაშორებით, მდ. კინტრიშის ხეობის სოფ. ზემო ხინოში მდებარეობს ხინოწმინდის იოანე ნათლისმცემელის სახელობის ნატაძრალი.

გ. თავამაიშვილის მოსაზრებით ტაძარი თავდაპირველად წარმოადგენდა სამნავიან ბაზილიკას, რომელიც გვიანი ხანის ქართული ბაზილიკების ნიშნებს ავლენს.

აჭის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია

ობიექტის დასახელება: *აჭის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია;*
მფლობელი: *საქართველოს საპატრიარქო;*
განმსაზღვრელი მახასიათებლები: *სულიერი ფასეულობა,კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი;*
გასართობი და დასასვენებელი ადგილები: *ტაძარი მდებარეობს ქალაქიდან 44 კილომეტრის დაშორებით ;*
წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *არ არის შესაძლებლობა*
ტრანსპორტი, საკომუნიკაციო საშუალებით წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *ძეგლთან მისვლა შესაძლებელია საქალაქო ტრანსპორტით, ტაქსით,*
კონსერვაციისა და დაცვის საკითხები: *უახლოეს პერიოდში არ განხორციელებულა კონსერვაცია და რეაბილიტაცია;*
ძეგლის დაცულობას უზრუნველყოფს: *საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო და საქართველოს საპატრიარქო;*
ძეგლის მისამართი: *ქობულეთი სოფ. აჭი.*

XII-XIII საუკუნეების აჭის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია: ქობულეთიდან 38 კილომეტრისდაშორებით, მდ.აჭისწყალის მარჯვენა ნაპირზე, მომაღლო ბორცვზე მდებარეობს. იგი დარბაზული ტიპის ბაზილიკაა. დასავლეთ და სამხრეთ კარიბჭის თავზე ფასადს ამშვენებს მოჩუქურთმებული ჯვრები სამხრეთის კარიბჭის თავზე მოცემულია ხუთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. ტაძარი შიგნიდან მთლიანად მოხატულია ფრესკებით. მათ შორის ზოგიერთი ფრესკა, იკონოგრაფიული თვალსაზრისით იშვიათობას წარმოადგენს. ეკლესიის მთავარ სიწმინდეს წარმოადგენს თამარის ეპოქაში შექმნილი ოქროთი დაფერილი ვერცხლის ჯვარი, რომელიც ექ. თაყაიშვილმა აღმოაჩინა. 1874 წელს აჭი მოინახულა და აღწერა დ. ბაქრაძემ, რომელიც ტაძარს VIII-IX სს ნაგებობად მიიჩნევდა [ბაქრაძე1987].

წყარო: იოსელიანი 1973წ; თავამაიშვილი 2000 წ; 4გვ; ინაიშვილი ა.1974წ ;133–134,143გვ.

ალამბრის ციხე (მამუკას ციხე)

ობიექტის დასახელება: *ალამბრის ციხე;*

მფლობელი: *აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო;*

განმსაზღვრელი მახასიათებლები: *საფორტიფიკაციო ნაგებობა,კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი;*

გასართობი და დასასვენებელი ადგილები: *ალამბრის ციხე მდებარეობს ქალაქიდან 6 კილომეტრის დაშორებით; სოფელში არის საზკვების ობიექტები, სასურსათო მაღაზიები; შესაძლებელია კერძო სახლებში განთავსება (ოჯახის ტიპის სასტუმრო);*

წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *რთულად მისაწვდომია, არ არის გამართული ბილიკები;*

ტრანსპორტი, საკომუნიკაციო საშუალებით წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *ძეგლთან მისვლა შესაძლებელია ტაქსით და კერძო სატრანსპორტო საშუალებებით;*

კონსერვაციისა და დაცვის საკითხები: *ძეგლზე არ არის განხორციელებული კონსერვაცია და რეაბილიტაცია; არსებული მდგომარეობა მოითხოვს ძეგლზე განხორციელდეს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნების შესაბამისად საკონსერვაციო და სარეაბილიტაციო პროექტი.*

ძეგლის მისამართი: *ქობულეთი სოფ.ალამბარი.*

ის სოფელ ალამბარში, ციხისყელად წოდებულ გორაზე მდებარეობს. ამ გორიდან ხელისგულივით მოჩანს ქობულეთი – დასავლეთით შავი ზღვა, სამხრეთით სოფ. ზენითის სანახები, აღმოსავლეთის ელიას ციხე და ჩრდილოეთის ქობულეთისა და ოზურგეთის მიმდებარე ტერიტორიები. მზიან ამინდში კარგად გამოარჩევ ღრუბლებიდან კავკასიონის დათოვლილ მთათა სისტემას.

ზენითის საწნახელი

ობიექტის დასახელება: *ზენითის საწნახელი;*
მფლობელი: *აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო;*
განმსაზღვრელი მახასიათებლები: *კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი;*
გასართობი და დასასვენებელი ადგილები: *ზენითის საწნახელი მდებარეობს ქალაქიდან 6 კილომეტრის დაშორებით; სოფელში არის საზკვების ობიექტები, სასურსათო მაღაზიები; შესაძლებელია კერძო სახლებში განთავსება (ოჯახის ტიპის სასტუმრო);*
წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *რთულად მისაწვდომია, არ არის გამართული ბილიკები;*
ტრანსპორტი, საკომუნიკაციო საშუალებით წვდომა უნარშეზღუდულ პირთათვის: *ძეგლთან მისვლა შესაძლებელია საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ტაქსით და კერძო სატრანსპორტო საშუალებებით;*
კონსერვაციისა და დაცვის საკითხები: *ძეგლზე არ არის განხორციელებული კონსერვაცია და რეაბილიტაცია; არსებული მდგომარეობა მოითხოვს ძეგლზე განხორციელდეს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნების შესაბამისად საკონსერვაციო და სარეაბილიტაციო პროექტი.*
ძეგლის მისამართი: *ქობულეთი სოფ.ზენითი.*

SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები:

- ქობულეთის მუნიციპალიტეტი აჭარის რეგიონში გამორჩეულია მდიდარი ბუნებრივიპ ირობებითა და კულტურული მემკვიდრეობით;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და ზოგადად აჭარის რეგიონში არის დაცული როგორც მატერიალური, ასევე ასეულობით არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტი ითვლება ქართული მრავალხმიანი, პოლიფონიური მელოდიების – ნადური სიმღერების უბადლო შემსრულებელთა სამშობლოდ;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტში წარმოდგენილია ორი, როგორც ზღვის, ასევე სოფლის (მთის) ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის აუცილებელი ყველა წინაპირობა;
- ქალაქი ქობულეთი ისტორიულად ითვლებოდა გულ–სისხლძარღვთა დაავადებათა გამორჩეულ სამკურნალო კურორტად;
- მუნიციპალიტეტს გააჩნია მდიდარი, მზარდი საკურორტო ტურიზმის განვითარებისთვის საჭირო რესურსები, რაც ხელს შეუწყობს რეკრეაციული ტურიზმის განვითარებისთვის ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფას;
- მუნიციპალიტეტის თემებში მისასვლელი გზები უზრუნველყოფილია გამართული საგზაო ინფრასტრუქტურით;
- ელექტროენერგიის მომარაგებით მოსახლეობის სრული უზრუნველყოფა – გარე განათებით დასახლებების დიდი ნაწილის უზრუნველყოფა;
- რეგიონის სრული დაფარვა მობილური სატელეფონო კავშირგაბმულობის ქსელით და საფოსტოკავშირით;
- ქობულეთის და ზოგადად აჭარის მაღალი ცნობადობის გაზრდას ხელს უწყობს, როგორც რეგიონის კურორტები: ხინოწმინდა, ბეშუმი, გოდერძი, ჩაქვი, ფიჭვნარი, ასევე

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბუნებისა და მატერიალური კულტურის ძეგლების არსებობა, როგორიცაა: ქობულეთის დაცული ტერიტორიები – ისპანი, კინტრიშის დაცული ტერიტორიები, მტირალას ეროვნული პარკი, ქობულეთის ზღვისპირა პარკი, ქობულეთის მუზეუმი, სოფ. გორგაძეებში ზურაბ გორგილაძიუს სახლ–მუზეუმი, ელიას ციხე, პეტრა–ციხისძირის ციხე–მუზეუმი, ხინოწმინდის სამონასტრო კომპლექსი, ზენითის მეგალითური ძეგლი – ქვის საწნახელი, ალამბრის ციხე, ადრეული შუასაუკუნეების თეთროსნის მწ. გიორგის სახელობის ნატაძრალი, თაღოვანი ხიდები მდ. კინტრიშზე, კვირიკეს წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, კვირიკეს წმ. კვირიკესა და ივლიტას ეკლესია, ცხემვანის მამათა მონასტერი;

- მუნიციპალიტეტის სიახლოვე, ერთის მხრივ ფოთისა და ბათუმისპ ორტებთან და მეორეს, მხრივ ბათუმისა და ქუთაისის აეროპორტებთან;
- ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო–სამეურნეო პროდუქტის წარმოება;
- რეგიონში განვითარებულია სამედიცინო დაწესებულებები და სააფთიაქო ქსელები;
- უსაფრთხო დასვენებისა და გართობის შესაძლებლობებს უზრუნველყოფს რეგიონში სახანძრო–სამაშველო რაზმების არსებობა, მათ შორის წყალზე სამაშვლო ჯგუფები.

სუსტი მხარეები:

- ქობულეთის მუნიციპალიტეტის რთული დემოგრაფიული და სოციალური მდგომარეობა;
- მუნიციპალიტეტიდან მოსახლეობის მიგრაციის უარყოფითი დინამიკა (რაც გამოიხატება მუდმივად ან სეზონურად, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე უცხოეთში სამუშაოს ძებნის მიზნით გასვლა);
- შშმ პირებისთვის ადაპტირებული ტურისტული ინფრასტრუქტურის, სამშენებლო სტანდარტების დაუცველობა;
- სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაციის საჭიროება;
- შიდასატრანსპორტო მომსახურების სიმწირე, მათ შორის ეკოლოგიური სატრანსპორტო საშუალებების დანერგვის წახალისება;
- სიღარიბის მაჩვენებელი, მოსახლეობის მწირი შემოსავლები და დანაზოგების მცირე მოცულობა;
- მომსახურების სფეროს განვითარების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა (სასტუმროები, კვებისა და შემეცნებით–გასართობი ობიექტები);
- დასახლებების ინფრასტრუქტურული იერსახის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა;
- საზოგადოებრივი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა (მათ შორის არ არის შშმ პირებისთვის ადაპტირებული);
- მუნიციპალიტეტის საკანალიზაციო სისტემების გაუმართაობა და სოფლებში საკანალიზაციო სისტემების არარსებობა;
- მუნიციპალიტეტში სივრცითი დაგეგმვის პრაქტიკის არარსებობა;
- მოსახლეობაში თანამედროვე სამეურნეო–სამეწარმეო უნარ–ჩვევების ნაკლებობა;

- ტურისტული მომსახურების (პოდუქტის) სუსტი სარეკლამო მხარდაჭერა და მარკეტინგი;
- მოქმედი ბიზნეს სუბიექტების უკიდურესად მცირე რაოდენობა.

შესაძლებლობები:

- ინვესტორების გაზრდილი ინტერესი ქობულეთის მუნიციპალიტეტისა და მის საკურორტო უბნებში სასტუმრო ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიმართ;
- ტურისტული ნაკადების ზრდა (როგორც რეზიდენტი, ასევე არარეზიდენტი ვიზიტორები);
- საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ ბაზრებზე ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტზე მოთხოვნის ზრდა;
- საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების და ხმარების მოცულობის ზრდა;
- მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი პროექტებისთვის დაფინანსების მიზნობრივი და წარმატებული ათვისება–გამოყენება;
- მცირე ბიზნესის და აგროსესხების გაიაფებაზე ორიენტირებული სპეციალური სახელმწიფო პროგრამები;
- ხელისუფლების საფინანსო–ეკონომიკური შესაძლებლობების გაზრდა;
- მუშახელის პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციის დაბალი დონე;
- ტურისტების მოზიდვისადმი არასისტემური მიდგომა;
- კლიმატის ცვლილების მოწყვლადი ტერიტორიების ადაპტაციისა და მიტიგაციის ღონისძიებათა გეგმების არარსებობა;
- კულტურული და ისტორიული თავისებურებების სუსტი კომერციალიზაცია;
- ტურიზმის ინდუსტრიული ზონების მართვის და ტურიზმის, როგორც ბიზნესის საქმიანობის, არასაკმარისი ცოდნა;
- დიდი ბიზნეს სუბიექტების (ტურისტული სექტორი) სიმწირე;

ბუნებრივი კატასტროფები:

- გლობალური საფინანსო–ეკონომიკური კრიზისი;
- მეწყერსაშიში ზონების ზრდა/მომატება და ეკოლოგიური გარემოს გაუარესების საფრთხეები.

თავი IV

ტურიზმის განვითარების საბაზრო პოტენციალის კონტექსტური კვლევა (გამოკითხვა)

კვლევა მიმდინარეობდა მიღებული სტანდარტების ფარგლებში, მასში მონაწილეობდნენ საქართველოს სრულწლოვანი მოქალაქეები: 18-დან 35-მდე, 36-დან 55-მდე, 56 და ზევით ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

კვლევის სამიზნე მუნიციპალიტეტებში მეტ–ნაკლები სიზუსტით ჯამში ცხოვრობს 340 000 ათასამდე მაცხოვრებელი.

მათ, შორის:

ბათუმი – 172 594 (წყარო http://adjara.gov.ge);

ლანჩხუთი – 31 500 (წყარო http://guria.gov.ge/geo/static/182);

ფოთი – 47 700 (წყარო www.poti-sakrebulo.ge);

ქობულეთი – 87 770 (წყარო http://adjara.gov.ge).

გამოკითხვა მიმდინარეობდა პირდაპირი ინტერვიუს, სატელეფონო საუბრისა და სოციალური ქსელში მიმოწერის სახით, ჯამში სულ 500-მდე მოქალაქესთან

N	ასაკობრივი ჯგუფი	რაოდენობა / მოქალაქე	პირდაპირი ინტერვიუ	სატელეფ. გამოკითხვა	სოციალურ ქსელში	უარი მონაწილეობ.	თავი შეიკავა
1	18-დან 35-მდე	160	15	10	85	40	10
2	36-დან 55-მდე	160	25	60	65	6	4
3	56 და ზევით	160	78	12	0	48	22
*	ჯამი	480	118	82	150	94	36

კვლევაში მონაწილეები შეკითხვაზე: „იცნობენ თუა არა რეგიონის, საკუთარი ქალაქის (მუნიციპალიტეტის) ტურიზმის პოტენციალს“, აღმოჩნდა რომ საკმაოდ ინფორმირებულები არიან, კონკრეტულად შემდეგი სურათი მივიღეთ:

N	ასაკობრივი ჯგუფი	ცოტათი	საკმარისად	უმეტესად	საერთოდ არ ვიცნობ	მამრობითი	მდედრობითი
1	18-დან 35-მდე	15	35	57	3	40	70
2	36-დან 55-მდე	11	97	42	0	65	85
3	56 და ზევით	12	40	38	0	38	52
*	ჯამი	38	172	137	3	143	207

ასევე საინტერესო და შეიძლება ითქვას, ყველა ასაკობრივ ჯგუფში ინფორმირებული აღმოჩნდა გამოკითხვაში მონაწილე თითოეული რესპოდენტი თუ რამდენად იცნობენ რეგიონის, საკუთარი ქალაქის (მუნიციპალიტეტის) ტურისტულ ობიექტებს:

N	ასაკობრივი ჯგუფი	ცოტათი	საკმარისად	უმეტესად	საერთოდ არ ვიცნობ	მამრობითი	მდედრობითი
1	18-დან 35-მდე	8	80	22	0	40	70
2	36-დან 55-მდე	5	75	70	0	65	85
3	56 და ზევით	35	15	25	5	38	52
*	ჯამი	48	170	117	5	143	207

გამოკითხვაში მონაწილეებს, თუ რომელი ტიპის ტურიზმი იზიდავთ, შესაძლებლობა ჰქონდა ერთდროულად კითხვარში წარმოდგენილი რამდენიმე ტიპი აერჩიათ, ან გამოეთქვათ მათთვის სასურველი; მოცემული შეკითხვის შედეგები ასეთია:

N	ტურიზმის ტიპი	ასაკობრივი ჯგუფი	ასაკობრივი ჯგუფი	ასაკობრივი ჯგუფი	მამრობითი	მდედრობითი	შენიშვნა
	დასახელება	18-დან 35-მდე	36-დან 55-მდე	56 და ზევით	რამდენიმე აირჩიეს	რამდენიმე აირჩიეს	სულ ჯამი
1	დასასვენებელი და რეკრეაციული ტურიზმი	20	45	17	34	48	82 აირჩია მეორედ
2	გამაჯანსაღებელი/ SPA ტურიზმი	53	30	85	67	101	168 აირჩია მეორედ
3	კულტურული ტურიზმი	27	21	22	34	36	70 აირჩია მეორედ
4	რელიგიური ტურიზმი	15	40	25	37	43	80 აირჩია მეორედ (ძირითადად წმინდა მიწაზე და მეზობელ თურქეთის რესპუბლიკაში არსებული ძეგლების მონახ.)

5	ბიზნეს ტურიზმი	8	10	7	12	13	25 აირჩია მეორედ
6	სათავგადასავლო ტურიზმი	32	15	25	28	44	72 აირჩია მეორედ (მათ შორის ასაკოვანმა მოქალაქეებმა,თუ მცა შესაძლებლობა არ აქვთ ამისათვის)
7	სხვა (მონაწილეთა შეხედ.)	5	4	11	8	12	20 გამოთქვა მოსაზრება რომ მოგზაურობას ანიჭებს უპირატესობას (მათ შორის ასაკოვანმა მოქალაქეებმა, თუმცა შესაძლებლობა არ აქვთ ამისათვის)
*	ჯამი	160	165	192	220	297	517

მეტ-ნაკლებად თანაბარი არჩევანი გაკეთდა ტურისტული ვიზიტის დროს გამოკითხულების მიერ განთავსებისას, თუ რომელ ტიპს ანიჭებენ უპირატესობას:

N	განთავსების ტიპი	18-დან 35-მდე	36-დან 55-მდე	56 და ზევით	ჯამი	მამრობითი	მდედრობითი
1	სასტუმრო	34	60	22	126	44	82
2	მოტელი	28	5	8	41	15	26
3	საოჯახო ტიპის სასტუმრო	35	65	45	145	68	77
4	მონასტერი	8	5	10	23	8	15
5	სხვა	5	5	5	15	6	9
*	ჯამი	110	150	90	350	143	207

გამოკითხული რესპოდენტებისათვის როდესაც გეგმავენ არდადეგებს, შეკითხვაზე თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათ რეგიონში (საკუთარი ქალაქში ან მუნიციპალიტეტში) არსებული კულტურული და ისტორიული ადგილების შერჩევა, რესპოდენტები 1-დან 10-მდე უთითებდნენ, სადაც 10 არის ყველაზე მნიშვნელოვანი, ხოლო 1 – ნაკლებად მნიშვნელოვანი.

გამოკითხვის შემდეგებმა ცხადყო, რომ რესპოდენტების უმრავლესობა, ყველა ასაკობრივი ჯგუფის გათვალისწინებით ძირითადად დადებითი მაჩვენებელით ახასიათებენ მათ რეგიონში (საკუთარი ქალაქში ან მუნიციპალიტეტში) არსებული კულტურული და ისტორიული ადგილების შერჩევით არდადეგების დაგეგმვას (ხშირ შემთხვევაში რეპოდენტები აღნიშნავდნენ რომ შესაძლებლობის შემთხვევაში კითხვარის ფორმულირების მიხედვით დაგეგმავდნენ არდადეგებს):

N	რიცხვები	18-დან 35-მდე	36-დან 55-მდე	56 და ზევით	ჯამი	მამრობითი	მდედრობითი
1	1	3	15	0	18	13	5
2	2	5	15	0	20	14	6
3	3	0	0	0	0	0	0
4	4	0	0	0	0	0	0
5	5	0	0	0	0	0	0
6	6	0	10	5	15	8	7
7	7	35	30	5	70	34	36
8	8	15	22	20	57	32	25
9	9	32	28	45	105	40	65
10	10	20	30	15	65	30	35
*	ჯამი	110	150	90	350	171	179

ტურისტული მარშუტების დაგეგმვის დროს რესპოდენტები იყენებენ შემდეგ ინფორმაციის წყაროს:

N	ინფორმაციის წყარო	ასაკობრ. ჯგუფი	ასაკობრ. ჯგუფი	ასაკობრ. ჯგუფი	მამრობ.	მდედრო.	შენიშვნა
	დასახელება	18-დან 35-მდე	36-დან 55-მდე	56 და ზევით	რამდენ. აირჩიეს	რამდენ. აირჩიეს	სულ ჯამი
1	ელექტრონული გამოცემები	25	9	0	14	20	34

2	სოციალური მედია	35	30	0	27	38	65
3	მედია (გაზეთი, ტელევიზია, რადიო)	10	21	10	17	24	41
4	ტურისტული სააგენტოები	15	40	25	36	44	80
5	ტურისტული გამოფენები	8	10	5	8	15	23
6	რეკლამები – სარეკლამო ბანერები /ბუკლეტები და სხვ.	12	15	5	14	18	32
7	სხვა (მონაწილეთა შეხედ.)	5	25	45	35	40	75 მოქ. ტრადიციულად გეგმავა / აქვს სოფელი ან აგარაკი
*	ჯამი	110	150	90	151	198	350

კვლევის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო მოქალაქეთა მოსაზრება გასართობი ღონისძიებების ტურისტულ ობიექტებზე დაგეგმვასთან დაკავშირებით. თუ რამდენად მნიშვნელოვანია გასართობი ღონისძიებების დაგეგმვა ტურისტულ ობიექტებზე, ჩვენს მიერ წინასწარ შერჩეული ვარიანტების მიხედვით, სადაც შესაძლებლობა ჰქონდა ეპასუხათ რამდენიმე კითხვაზე, მეტად საინტერესო და სამომავლოდ საგულისხმო სურათი მივიღეთ:

N	რამდენად მნიშვნელოვანია გასართობი ღონისძიებების დაგეგმვა ტურისტულ ობიექტებზე	ასაკობრ. ჯგუფი	ასაკობრ. ჯგუფი	ასაკობრ. ჯგუფი	მამრობ.	მდედრ.	შენიშვნა
*	ჩამონათვალი:	18-დან 35-მდე	36-დან 55-მდე	56 და ზევით	რამდენ. აირჩიეს	რამდენ. აირჩიეს	სულ ჯამი
1	ასეთ ღონისძიებებს შეუძლიათ გაზარდოს ტურისტების ნაკადი რეგიონში	25	65	37	56	71	127

2	ასეთი ღონისძიებები რეგიონს მისცემს მოტივაციას გააუმჯობესოს მომსახურება ტურისტული მიმართულებით	43	60	82	84	101	185
3	ასეთი ღონისძიებები ზრდის ტურისტული ობიექტების ვიზუალიზაციას, რაც გაზრდის ტურისტების მოზიდვის შესაძლებლობას	67	51	32	66	84	150
4	ამ ტიპის ღონისძიებებმა შესაძლებელია ხელი შეუწყოს სოციალური და ურბანული გარემოს გაუმჯობესაბას	25	40	25	43	47	90
*	ჯამი	160	216	176	249	303	552

თუ რომელ ღონისძიებებზე ისურვებდნენ რესპოდენტები დასწრებას, კვლევაში წარმოდგენილი მუნიციპალიტეტების მიხედვით (რომელიც მეტ–ნაკლებად ცნობილი იყო რესპოდენტებისათვის), შესაძლებლობა ჰქონდათ არჩევანი გაეკეთებინათ ერთდროულად რამდენიმეზე, შემდეგი სურათი მივიღეთ:

N	რა სახის ღონისძიებაზე ისურვებდით დასწრებას	ასაკობრ . ჯგუფი	ასაკობრ . ჯგუფი	ასაკობრ . ჯგუფი	მამრო ბ.	მდედ რ.	შენიშვნა
*	ჩამონათვალი:	18-დან 35-მდე	36-დან 55-მდე	56 და ზევით	რამდე ნ. აირჩიე ს	რამდე ნ. აირჩიე ს	სულ ჯამი
1	სახალხო დღესასწაული „ ახალ წელთან დაკავშირებით“-	25	65	37	47	80	127
2	სახალხო დღესასწაული „ცალკეული სოფლების მიხედვით“	5	60	22	32	55	87

3	სახალხო დღესასწაული „რელიგიური დღესასწაულის მიხედვით“	15	51	28	41	53	94
4	სპორტულ თამაშებთან დაკავშირებული ღონისძიებები (დოღი, ქართული ჭიდაობა, შერკინება ლელობურთში)	45	40	65	48	102	150
5	სახალხო დღესასწაული „ქალაქების დღესასწაულის მიხედვით“	25	35	55	57	58	115
	ფესტივალი „მემკვიდრეობასთან და ტრადიციებთან დაკავშირებული	45	55	90	89	101	190
6	ღვინის ტურიზმთან დაკავშირებული ღონისძიებები	45	55	76	108	68	176
7	ბუნების ძეგლებთან დაკავშირებული ღონისძიებები	35	29	40	56	48	104
	მემორიალური ღონიძიებები - ისტორიულ პიროვნებების შესახებ	25	35	45	47	58	105
8	სოფლის ტურიზმთან დაკავშირებული ღონისძიებები	65	74	61	96	104	200
9	საზღვაო ტურიზმთან დაკავშირებული ღონისძიებები	85	62	38	78	107	185
10	ხალხური რეწვისა და სამზარეულო კულტურის პოპულარიზაციასთან დაკავშირებული ღონისძიებები	28	34	56	54	64	118
11	ფოლკლორული მუსიკისა და ცეკვის ფესტივალი	32	40	54	52	74	126

12	აგრო–ფესტივალი	45	56	54	67	88	155
*	ჯამი	520	691	721	872	1060	1932

ჩვენს შეკითხვაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს ტურისტული ობიექტებისა და ღონისძიებების პოპულარიზაცია, სადაც ჩვენს მიერ შეთავაზებულ სავარაუდო პასუხების პარალელურად შესაძლებლობა ჰქონდათ გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრება, და ერთდროულად უპირატესობა მიენიჭებინათ რამდენიმე პუნქტისათვის, რესპოდენტებმა მეტად საინტერესო მიმართულებები და გზები შემოგვთავაზეს. უნდა აღინიშნოს რომ არაერთგვაროვანია მათი ხედვა ტურისტული ობიექტების პოპულარიზაციასთან მიმართვებაში:

N	როგორ უნდა მოხდეს ტურისტული ობიექტებისა და ღონისძიებების პოპულარიზაცია	ასაკობრ. ჯგუფი	ასაკობრ. ჯგუფი	ასაკობრ. ჯგუფი	მამრობ.	მდედრ.	შენიშვნა
*	ჩამონათვალი:	18-დან 35-მდე	36-დან 55-მდე	56 და ზევით	რამდენ. აირჩიეს	რამდენ. აირჩიეს	სულ ჯამი
1	ტურისტული ობიექტები და ღონისძიებები შემოთავაზებული უნდა იქნეს ტურისტულ პაკეტებთან ერთად	35	25	5	27	33	60
2	ტურისტული საინფორმაციო სააგენტოების მეშვეობით	45	30	5	32	48	80
3	ღონისძიების ორგანიზატორების მიერ	35	51	45	56	75	131
4	ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ (მერია, საკრებულო)	25	40	35	44	56	100
5	განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ	35	35	15	40	45	85
	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ	15	35	10	33	27	60

6	სასტუმროების მფლობელების მიერ	15	55	5	36	39	75
7	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ	25	20	10	26	29	55
8	ადგილობრივი მუზეუმების მიერ	30	15	15	27	33	60
9	სხვა დამატებითი საშუალებებით	50	65	45	67	78	145
*	ჯამი	300	371	190	388	463	861

SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები:

- მნიშვნელოვანია, რომ კვლევაში მონაწილეების უმრავლესობა საკმაოდ იცნობს და ინფორმირებულია რეგიონის, საკუთარი ქალაქის (მუნიციპალიტეტის) ტურიზმის შესაძლებლობების შესახებ;
- გამოკითხვაში მონაწილეების უმრავლესობა ირჩევს ტურიზმის ისეთ ტიპს, როგორიცაა გამაჯანსაღებელი/ SPA ტურიზმი (168 ხმა), დასასვენებელი და რეკრეაციული ტურიზმი (82 ხმა), რელიგიური ტურიზმი (80 ხმა), სათავგადასავლო ტურიზმი (72 ხმა), კულტურული ტურიზმი (70 ხმა), რაც ერთმნიშვნელოვნად უსვამს ხაზს მწვანე და ისტორიული ტურიზმის განვითარების აუცილებლობაზე;
- გამოკითხულთა უმრავლესობა ტურისტული ვიზიტის დროს განთავსების შემდეგ ტიპს ანიჭებენ უპირატესობას: საოჯახო ტიპის სასტუმროს (145 ხმა), სასტუმროს (126 ხმა).
- მნიშვნელოვანია, რომ რესპოდენტები ტურისტული მარშუტების დაგეგმვის დროს იყენებენ ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს;
- რესპოდენტები მიიჩნევენ რომ გასართობი ღონისძიებების ტურისტულ ობიექტებზე დაგეგმვას შეუძლია გაზარდოს ტურისტების ნაკადი რეგიონში, მისცემს მოტივაციას რეგიონებს გააუმჯობესოს მომსახურება ტურისტული მიმართულებით, გაზარდოს ტურისტული ობიექტების ვიზუალიზაცია, რაც ასევე გაზრდის ტურისტების მოზიდვის შესაძლებლობას და ხელს შეუწყობს სოციალური და ურბანული გარემოს გაუმჯობესებას;
- **მდიდარი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა:** მდიდარი სამზარეულოს კულტურა - მეგრული სამზარეულო, გურული სამზარეულო, აჭარული სამზარეულო; ელარჯი და გურული ღვეზელი, მეგრული ხარჩო და ქობულეთური იახნი, მეგრული სულგუნი და აჭარული „დაპწნილი“ ყველი, მეგრული, გურული, აჭარული ხაჭაპურისნაირსახეობები, უნიკალური სარიტუალო ტკბილეული და დესერტები - გოზინაყი, ფელამუში, ჩურჩხელა, ქადა მაჯუნი, ჰალვა, შექერლამა, ბაქლავა, ბურმე და სხვ., ხითხუროს ოსტატები და ნაკეთობები და სხვ. მდიდარი ფოლკლორი; ხალხური სიმღერა და ცეკვა.
- **მუზეუმები**: ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმი, ნიკო ნიკოლაძის კოშკი, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი, ძმები ნობელების სახელობის მუზეუმი, ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმი, ქობულეთის მუზეუმი, ზურაბ გორგილაძის სახლ-მუზეუმი სოფ. გორგაძეებში, პატრა-ციხისძირის მუზეუმ-ნაკრძალი, ლაო ჯინ ჯაოს სახლი დაბა ჩაქვში, ზედგინიძეების კერძო მემორიალური მუზეუმი და ა.შ.
- **გასართობი და შემეცნებითი ცენტრები:** ფოთის სამხრეთით და ქობულეთის მახლობლად საკონცერტო დარბაზის „ბლექ-სი არენა“და გასართბი ატრაქციონების ცენტრი „ციცინათელა“, ბათუმის ბულვარში არსებული ატრაქციონები, ქობულეთის ზღვისპირა პარკში არსებული ატრაქციონები, მალთაყვის საწყალოსნო ბაზა, ლანჩხუთის თეატრი, ბათუმის ახალი საფეხბურთო სტადიონი, ლანჩხუთის საფეხბურთო სტადიონი, ქობულეთის საფეხბურთო სტადიონი, ფოთის სახელმწიფო თეატრი, ბათუმის სახელმწიფო თეატრი, ბათუმის ხელოვნების ცენტრი -ს და სხვ.
- **მაღალი კლასის სასტუმროები:** აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოწინავე სასტუმრო-ბრენდები - „შერატონი“, „რედისონი“, „ჰილტონი“, ფოთის, ბათუმის და ქობულეთის მაღალი კლასის სასტუმრო-აპარტამენტები;
- **მწვანე და ისტორიული ტურიზმის მდგრად განვითარებას ხელს შეუწყობს:** ტუროპერატორების მომზადება შიდა და უცხოური ტურიზმისათვის; ახალი მოდულების შედგენა სხვადასხვა სახის ტურისტებისათვის; მათ, შორის ახალი მოდულები ისეთი

ტრანზიტული მუნიციპალიტეტებისათვის როგორიცაა ფოთი, ლანჩხუთი, ქობულეთი; (ამავდროულად ფოთის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებისათვის შესაფერისი იქნება მოკლევადიანი სამოგზაურო მოდულების შექმნა); კარგად აპრობირებულ ბათუმის (ნაწილობრივ ქობულეთის) ტურისტულ მარშუტებს შესაძლებელია მიებას ფოთის, ლანჩხუთისა და ქობულეთის მარშუტები, რომლებიც იქნება ადვილად გაყიდვადი და საფუძველს ჩაუყრის რეგიონის მასშტაბით სამოგზაურო კულტურულ ტურებს; მიზანშეწონილია არსებულ ტურისტულ პროდუქტში უფრო მეტი ხარისხით მოხდეს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტების შეტანა, რაც გაზრდის რეგიონის მოსახლეობის მეტ ჩართულობას; ბათუმის ახალი სტადიონის შესაძლებლობების გამოყენებით თანამედროვე ახალი ტიპის პროდუქტის შექმნა, „ბლექსი არენას" გამოცდილების გაზიარებით (ასევე შესაძლებელია ფოთის, ლანჩხუთისადა ქობულეთის საფეხბურთო სტადიონების გამოყენება მასობრივი ღონისძიებების დაგეგმვისათვის, რაც ხელს შეუწყობს მწვანე და რეკრეაციული უბნებში, სასტუმრო და საზ.კვების ობიექტების სატრანსპორტო ნაკადებისგან განტვირთვას);

- **ტურისტული პროდუქტების გაყიდვების ახალი არხების შექმნა.**

საფრთხეები:

- ბუნებრივ-კლიმატური მოვლენები;
- შავი არქეოლოგია;
- ბუნებრივი რესურსების უკანონოდ მოპოვება.

თავი VI

მევენახეობა-მეღვინეობის კულტურა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში - (სამეგრელო, გურია, აჭარა)

მწვანე და ისტორიული ტურიზმის განვითარების ერთ–ერთი მთავარი მიმართულება კვლევის პროცესში, მოსახლეობასთან შეხვედრების, სამეცნიერო და აკადემიური პუბლიკაციების გაცნობის და ჩატარებული გამოკითხვების შედეგად გამოიკვეთა. მოსახლეობის აზრით არსებობს დიდი ინტერესი მევენახეობა-მეღვინეობის კულტურასთან; წარმოდგენილ რეგიონებში არსებობს ყველა შესაძლებლობა, რომ განვითარდეს ენდემური ვაზის ჯიშების აღდგენის მეურნეობები, ამავდროულად აღორძინდეს ღვინის დამზადების უძველესი ტრადიციები.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევაში წარმოდგენილი ორი მუნიციპალიტეტი უშუალოდ წარმოადგენს ქალაქს, სადაც ნაკლები შესაძლებლობები არსებობს ვაზის, როგორც სამეურნეო დარგის განვითარებისათვის, მაინც არის დიდი ასპარეზი არსებობს ღვინის წარმოებისა და რეალიზაციისათვის.

ცნობილია, რომ როგორც ქალაქ ფოთში, ასევე ქალაქ ბათუმში არსებობს მაღალი კლასის რესტორნები, სასტუმროები, ღვინის სარეალიზაციო მაღაზიები და მარნები, არსებობს შიდა საერთაშორისო ფორუმებისა და ფესტივალების მასპინძლობის გამოცდილება (გარკვეული ხარისხით ქობულეთსა და ლანჩხუთშიც).

ამ მიმართულებით საუსრველია სამეგრელოს, გურიისა და აჭარის რეგიონებში გამოვლენილი ისტორიულ მარნების, საწნახელების, ვაზისა და ღვინის კულტურასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი არტეფაქტების მეშვეობით მოხდეს ენდემური, ადგილობრივი ვაზის ჯიშებისაგან ღვინის დამზადების და ამით ღვინის ტურიზმისათვის ხელშეწყობა, რაც ერთმნიშვნელოვნად გახდება მასტიმულირებელი მწვანე და ისტორიული ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის.

საერთაშორისოდ აღიარებულია, რომ საქართველოს მიიჩნევენ „ღვინის სამშობლოდ“; საქართველოში გამოარჩევენ მევენახეობის ძირითადად 8 კერას - კახეთი, ქართლი, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, აფხაზეთი, აჭარა, გურია და სამეგრელო. ცნობილია, რომ საქართველოში გავრცელებულია 500-ზე მეტი უნიკალური ენდემური ვაზის ჯიში. მათ, შორის სამეგრელოში, გურიასა და აჭარაში 150-ზე მეტი საღვინე ვაზის ჯიშია.

ენდემური ვაზის ჯიშები

სამეგრელო, გურია, აჭარა

N	სახეობა	ფერი	გავრც. არეალი	გავრც. მასშტაბი	შენიშვნა
1	ათინაური	თეთრი	გურია	მციერე	
2	აბშილურიშავი	შავი	სამეგრელო	მციერე	
3	აკიდო	შავი	გურია	მცირე	
4	ალადასტური	შავი	გურია	მცირე	
5	ალამურა თეთრი	თეთრი	აჭარა	მცირე	
6	ალამურა შავი	შავი	აჭარა	მცირე	
7	აფხაელოზურა	თეთრი	სამეგრელო	მცირე	
8	ახალაკი მუქი	მუქი წითელი	აჭარა	მცირე	
9	ბათომურა	შავი	აჭარა	მცირე	ვაზის ეს სახეობა დავაფიქსირეთ ქობულეთში, სოფელ ქაქუთში

10	ბახვას ყურძენი	შავი	გური	მცირე	
11	ბაღის ყურძენი	თეთრი	აჭარა	მცირე	
12	ბერძნულა	შავი	გურია	მცირე	
13	ბროლა	თეთრი	აჭარა	მცირე	
14	ბურძღალა	შავი	აჭარა	მცირე	
15	ბუტკო	შავი	აჭარა	მცირე	
16	გორგოული	თეთრი	აჭარა	მცირე	
17	გოდაათური ღია შავი	ღია შავი	სამეგრელო	მცირე	
18	გრეხი	თეთრი	სამეგრელო	მცირე	
19	დედოფლის კითი	თეთრი	სამეგრელო	მცირე	
20	დუდღუში	თეთრი	სამეგრელო	მცირე	
21	დღვლაბე	თეთრი	სამეგრელო	მცირე	
22	დორდღო	თეთრი	გურია	მცირე	
23	ეგურძგული	თეთრი	სამეგრელო	მცირე	
24	ვაიოს საფერავი	შავი	აჭარა	მცირე	
25	ვაციწვერა	თეთრი	გურია	მცირე	
26	ვორონა	შავი	გურია	მცირე	
27	ვერნახი	შავი	სამეგრელო	მცირე	
28	ზენათური	თეთრი	გურია	მცირე	ქობულეთური ტოპონიმი „ზენითი“ დაკავშირებული უნდა იყოს ვაზის სახეობა „ზენათურთან“
29	ზერდაგი	თეთრი	სამეგრელო	მცირე	
30	თეთრა	თეთრი	აჭარა	მცირე	
31	თეთრი ყურძენი	თეთრი	გურია	მცირე	
32	თეთრი ჩხავერი	თეთრი	გურია	მცირე	
33	თეთრიშა	თეთრი	სამეგრელო	მცირე	

34	თურვანდი	თეთრი	აჭარა	მცირე	
35	თქვლაფუა	თეთრი	გურია	მცირე	
36	თხურთხუ	თეთრი	სამეგრელო	მცირე	
37	კაიკაციშვილისეული	თეთრი	აჭარა	მცირე	ვაზის სახეობა გავრცელებული იყო ქობულეთში
38	კაკნატელა	თეთრი	გურია	მცირე	
39	კამური შავი	შავი	გურია	მცირე	
40	კამური თეთრი	თეთრი	გურია	მცირე	
41	კაპისტონი წიწილიანი	თეთრი	გურია	მცირე	
42	კატური	თეთრი	გურია	მცირე	
43	კვირისთავა	თეთრი	აჭარა	მცირე	
44	კიბურა	ვარდისფერი	აჭარა	მცირე	
45	კიკაჩა შავი	წითელი	გურია	მცირე	
46	კირწწითელა	შავი	აჭარა	მცირე	
47	კლარჟული	თეთრი	აჭარა	მცირე	
48	კორძალა	წითელი	გურია/ აჭარა	მცირე	
49	კოცხანა	შავი	გურია	მცირე	
50	კოლოში	შავი	სამეგრელო	მცირე	
51	კუმუშა	წითელი	გურია	მცირე	
52	კეთილური	შავი	სამეგრელო	მცირე	
53	კერთოლი	შავი	სამეგრელო	მცირე	
54	კვაწახურა	თეთრი	სამეგრელო	მცირე	
55	კუტალა	შავი	სამეგრელო	მცირე	
56	ლაგილური	თეთრი	სამეგრელო	მცირე	
57	ლივანურა თეთრი	თეთრი	აჭარა	მცირე	
58	ლივანურა შავი	შავი	აჭარა	მცირე	

59	მაჭყვატური	შავი	სამეგრელო	მცირე	
60	მაგარა	შავი	აჭარა	მცირე	
61	მაგანაკური	წითელი	გურია	მცირე	
62	მაისა	თეთრი	გურია	მცირე	
63	მანდიკოური	წითელი	გურია	მცირე	
64	მუხიშა	შავი	სამეგრელო	მცირე	
65	მაური თეთრი	თეთრი	გურია	მცირე	
66	მახათური	წითელი	გურია	მცირე	
67	მეკრენჩხი	შავი	აჭარა	მცირე	
68	მორცხულა	შავი	აჭარა	მცირე	
69	მტევანდიდი	შავი	გურია	მცირე	
70	მტრედისფეხა	წითელი	გურია	მცირე	
71	მცვივანი	წითელი	გურია	მცირე	
72	მწვანურა	თეთრი	აჭარა	მცირე	
73	მწვანე აჭარული	თეთრი	აჭარა	მცირე	
74	ნაშენება	შავი	გურია	მცირე	
75	ორჟოხული	თეთრი	აჭარა	მცირე	
76	ოფოფი	თეთრი	სამეგრელო	მცირე	
77	ოფოურა	შავი	გურია	მცირე	
78	ოჟალეში	შავი	გურია	მცირე	
79	ოქონა	თეთრი	სამეგრელო	მცირე	
80	ოჯალეში	შავი	სამეგრელო	საკმ.	
81	პანეში	შავი	სამეგრელო	მცირე	
82	პოვნილი მუქი	წითელი	აჭარა	მცირე	
83	პუმპულა	შავი	სამეგრელო	მცირე	
84	რცხილი	შავი	გურია	მცირე	
85	საკუმა	თეთრი	სამეგრელო	მცირე	

Project funded by the EUROPEAN UNION

www.greethis.net

86	საკმიელა	თეთრი	გურია	მცირე	
87	საკნატურა	თეთრი	გურია	მცირე	
88	სალიკლევი	შავი	აჭარა	მცირე	
89	სამაჭრო	თეთრი	სამეგრელო	მცირე	
90	სამარხი	თეთრი	გურია	მცირე	
91	სამჩხავერა	წითელი	გურია	მცირე	
92	საფერავი გურიის	შავი	გურია	მცირე	
93	საფერავი აჭარული	შავი	აჭარა	მცირე	
94	საწური	შავი	აჭარა	მცირე	
95	სხალთაური	თეთრი	აჭარა	მცირე	
96	სხილათუბანი	შავი	გურია	მცირე	
97	ტაგიძურა	შავი	აჭარა	მცირე	ქობულეთში გავრცელებულია ვაზის ჯიში: „ტაკიძურა“.
98	ტყის ვაზი	შავი	აჭარა	მცირე	
99	ტყის ყურძენი	შავი	აჭარა	მცირე	
100	უსახელო წითელი	შავი	სამეგრელო	მცირე	
101	უჩაჭუბური	შავი	სამეგრელო	მცირე	
102	უჩახარდანი	შავი	სამეგრელო	მცირე	
103	ქაქუთურა	თეთრი	გურია	მცირე	აღნიშნული სახეობა გავრცელებულია ქობულეთშიც, ძირითადად სოფ. ქაქუთში
104	ქორქაული	შავი	აჭარა	მცირე	
105	შავშურა	თეთრი	აჭარა	მცირე	
106	შავჩხავერა	შავი	გურია	მცირე	
106	შიშველი	შავი	აჭარა	მცირე	
107	ჩეკოლოში	თეთრი	სამეგრელო	მცირე	

108	ჩერგვალი	თეთრი	სამეგრელო	მცირე	
109	ჩეში	თეთრი	სამეგრელო	მცირე	
110	ჩეჭკიში	თეთრი	სამეგრელო	მცირე	
111	ჩეჭიფეში	თეთრი	სამეგრელო	მცირე	
112	ჩეხარდანი	თეთრი	სამეგრელო	მცირე	
113	ჩიჩკიში	თეთრი	სამეგრელო	მცირე	
114	ჩხაბერძულა	შავი	სამეგრელო	მცირე	
115	ჩხოროკუნი	წითელი	სამეგრელო	მცირე	
116	ჩხუში	შავი	სამეგრელო	მცირე	
117	ჩხუჩეში	თეთრი	სამეგრელო	მცირე	
118	ჩეპეში	წითელი	გურია	მცირე	
119	ჩიტისთვალა აჭარული	შავი	აჭარა	მცირე	
120	ჩხავერი	შავი	გურია	ფართოდ	
121	ჩხინკილოური	თეთრი	გურია	მცირე	
122	ცანაფიტა	შავი	გურია	მცირე	
123	ცვითე	თეთრი	აჭარა	მცირე	
124	ცივჩხავერა შავი	შავი	გურია	მცირე	
125	ცივჩხავერა ვარდისფერი	ვარდისფერი	გურია	მცირე	
126	ცისფერერულა	რუხი	გურია	მცირე	
127	ცხენისძუძუ აჭარული	შავი	აჭარა	მცირე	
128	წალენჯიხის თეთრი	თეთრი	სამეგრელო	მცირე	
129	წვიტე	თეთრი	აჭარა	მცირე	
130	წითლანი	ვარდისფერი	გურია	მცირე	
131	ჭიჭიეთის თეთრა	თეთრი	გურია	მცირე	
132	ჭეჭიბერა	თეთრი	აჭარა	მცირე	
133	ჭიპაკური	შავი	აჭარა	მცირე	

134	ჭოდი	შავი	აჭარა	მცირე	
135	ჭყვიტილური	თეთრი	სამეგრელო	მცირე	
136	ჭითაში	წითელი	სამეგრელო	მცირე	
137	ჭოთიში	შავი	სამეგრელო	მცირე	
138	ჭუბერი	თეთრი	სამეგრელო	მცირე	
139	ჭუმუტა	შავი	გურია	მცირე	
140	ხარისთვალა აჭარული	შავი	აჭარა	მცირე	
141	ხემხუ შავი	შავი	გურია	მცირე	
142	ხუშია თეთრი	თეთრი	გურია	მცირე	
143	ხოჟისთოლი	შავი	სამეგრელო	მცირე	
144	ხუშია შავი	შავი	გურია	მცირე	
145	ჯავახეთურა	თეთრი	აჭარა	მცირე	
146	ჯანი	შავი	გურია	მცირე	
147	ჯანი ნაკაშიძის	შავი	გურია	მცირე	
148	ჯანი ციხური	შავი	გურია	მცირე	
149	ჯინეში შავი	შავი	აჭარა	მცირე	

წყარო: https://allwine.ge/

SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები:

–საქართველოში არსებული ვაზის უნიკალური და მრავალსაუკუნოვენი ჯიშები;
–გურიასა და აჭარაში მეტ–ნაკლები სიზუსტით გადარჩენილი და დაცულია 100–ზე მეტი ვაზის სახეობა;
– ადგილობრივ მოსახლეობაში შემონახულია ღვინის წარმოების მრავალსაუკუნოვენი ტრადიცია;

– საქართველოს გააჩნია ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და კლიმატური პირობები;
– წარმოდგენილ სამიზნე მუნიციპალიტეტებში არსებობს მცირე რაოდენობის ტრადიციული მარანი;
– უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ვითარდება, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სანერგე მეურნეობები, რომელიც ემსახურება ენდემური ვაზის დაცვასა და პოპულარიზაციას;

სუსტი მხარეები:

– უნიკალური და მრავალსაუკუნოვნი ვაზის ჯიშების დაკარგვის ალბათობა;
– ადგილობრივი მოსახლეობის ნაკლები ინფორმირებულობა ღვინის ტურიზმის შესახებ;
– განსაკუთრებით ლანჩხუთისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში გასულ საუკუნეში დიდი ინტენსივობით მიმდინარეობდა ვაზის სახვა კულტურებით ჩაანაცვლება, რომელიც სამწუხაროდ გრძელდება;
– ხშირად ხდება ჰიბრიდული ვაზის ჯიშების გავრცელება;
– ვაზისა და ღვინის ტურიზმთან დაკავშირებული ტურისტული რესურსების ნაკლები პოპულარიზაცია;
– მოსახელოების ნაკლები, არასაკმარისი და არასწორი ინფორმირებულობა ვაზის მოვლისა და ნატურალური ღვინის დაყენების და შენახვის შესახებ;
– არსებული საუკუნოვანი ტრადიციის ჭურისა და ქვევრის დამზადების დაკარგვის საფრთხე (განსაკუთრებით აჭარაში).

შესაძლებლობები:

– უნიკალური და მრავალსაუკუნოვნი ჯიშების პოპულარიზაცია;
– მოსახლეობის დატრენინგება ღვინის ტურიზმისა და მეღვინოების მიმართულებით;
– სამიზნე მუნიციპალიტეტებში არსებული ტურისტული ადგილების პოპულარიზაცია, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ტურისტების რაოდენობას;
– საქართველოში არსებული საუკუნოვანი ტრადიციების აღდგენა, რომელიც დაკავშირებულია ქვევრისა და ჭურის დამზადებასთან;
– თანამედროვე ტრადიციული ტექნოლოგიების გამოყენებით ვაზის არსებული და ასევე ახალი სანერგე მეურნეობების გაშენება;

- ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ვაზის მოვლა-პატრონობის (მავნებლებთან ბრძოლა), ღვინის დაყენებისა და ოჯახის პირობებში შენახვის გაუმჯობესება ტრადიციული მეთოდების დაცვით;
- ღვინის სადეგუსტაციო ადგილების ტურისტული სერვისებისთვის მოწყობა.

საფრთხეები:

- ჰიბრიდული ვაზის ჯიშების სიმრავლე;
- არაეკოლოგიურად სუფა და არატრადიციული მეთოდით ღვინის წარმოება;
- მარნის არასწორი დაგეგმვა;
- ავთენტურობის დარღვევა.

დასკვნა

შავიზღვის აუზში ისტორიული და კულტურული ტურიზმის საბაზრო პოტენციალის კონტექსტური კვლევა მიმდინარეობდა საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის (ათეა–ს) პროექტის „მწვანე ტურიზმი და ისტორიული მემკვიდრეობა – შავი ზღვის აუზის განვითარების საფუძვლები“ ფარგლებში (კვლევის მომზედების პერიოდი 2020 წლის თებერვალი-ივნისი).

მწვანე და ისტორიული ტურიზმის განვითარების ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და რისკ-ფაქტორები კვლევაში წარმოდგენილია დასავლეთ საქართველოს გამორჩეულად საინტერესო და მნიშვნელოვანი მუნიციპალიტეტების: ფოთის, ლანჩხუთის, ბათუმისა და ქობულეთის მაგალითზე.

კვლევის ცალკეული თავები მოიცავს და ეფუძნება საქართველოში (ასევე უცხოეთში) გამოქვეყნებულ აკადემიურ პუბლიკაციებსა და სტატიებს. უნდა აღინიშნოს, რომ მწვანე და ისტორიული ტურიზმის სფეროს განვითარება (გარკვეული შეზღუდვებისა და რეგულეციების დაწესებას) ექცევა საქართველოს რიგ კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებში; ამ მიმართულებით კვლევაში მოვიყვანეთ 25-მდე სხვადასხვა საქართველოს კანონი.

ნიშანდობლივია, რომ წარმოდგენილი კვლევის მიმდინარეობისას (2020 წლის 24 თებერვალი) გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შორის. მისასალმებელია, რომ მემორანდუმის მოწინავე პუნქტები ემსახურება ერთის მხრივ, კულტურული მარშრუტების პროგრამის განვითარებასა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას, მეორე მხრივ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ჩართულობას ახალი კულტურული

მარშრუტების შექმნაში, კულტურული ტურიზმის მიმართულებით ერთობლივი პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

მემორანდუმი ითვალისწინებს საინფორმაციო, მეთოდოლოგიური და სხვა სახის ინფორმაციის გაცვლას და პარტნიორობას კულტურული ტურიზმის, კულტურული მარშრუტების მიმართულებით საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზებაში.

მნიშვნელოვანია, რომ გაძლიერდება საზოგადოებრივი საინფორმაციო კამპანიების ორგანიზება ადგილობრივი კულტურული ტურიზმისა და ადგილობრივი კულტურული მარშრუტების შექმნაში; პარალელურად მოხდება ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა გადამზადება ადგილობრივი კულტურული ტურიზმისა და ადგილობრივი კულტურული მარშრუტების მართვის სფეროში (მემორანდუმის ხელმომწერებია ერთის მხრივ ათეა-ს პრეზიდენტი კახა კალაძე და მეორე მხრივ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ ჩხენკელი). მაღალი რანგის სახელმწიფო-პოლიტიკური პირების თანამონაწილეობა ხაზს უსვამს, რომ მწვანე და ისტორიული ტურიზმის, როგორც ახალი და მნიშვნელოვანი სფეროს განვითარება ახალ შესაძლებლობებს გამოავლენს ჩვენს ქვეყანაში.

ამ კუთხით საინტერესო და საგულისხმოა საზოგადოების განწყობა (დაკვეთა/ სურვილი) ხელი შეეწყოს ადგილებზე ისეთი პროექტების განხორციელებას, რომელიც ორიენტირებული იქნება მოსახლეობის მეტი თანამონაწილეობით ჩართულობაზე.

როგორც გამოკითხვის შედეგებმა ცხადყო პრიორიტეტულია ტურიზმის ისეთი ტიპი, როგორიცაა: გამაჯანსაღებელი/ SPA ტურიზმი (168 ხმა), დასასვენებელი და რეკრეაციული ტურიზმი (82 ხმა), რელიგიური ტურიზმი (80 ხმა), სათავგადასავლო ტურიზმი (72 ხმა), კულტურული ტურიზმი (70 ხმა). ბაზრის კვლევამ ცხადყო, რომ წარმოდგენილ რეგიონებში უნდა მომზადდეს ახალი პროექტები კულტურული მემკვიდრეობის, აგრო და სოფლის ტურიზმის (ღვინის ტურიზმის) და სამედიცინო ტურიზმის მიმართულებით ვიზიტორთა ნაკადების მოსაზიდად. აღნიშნული მიმართულებით საწყის ეტაპზე მყარ კაპიტალს წარმოადგენს ბუნებრივ–გეოგრაფიული მდებარეობა, მრავალფეროვანი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, სამკურნალო-მინერალური რესურსები; ცალკეული რეგიონების (სამეგრელო, გურია, აჭარა) მიხედვით გამოიკვეთა, დიდი ინტერესი მევენახეობა-მეღვინეობის კულტურასთან მიმართებაში (ლანჩხუთი, ქობულეთი, ნაწილობრივ ბათუმი); წარმოდგენილ რეგიონებში არსებობს ყველა შესაძლებლობა, რომ განვითარდეს ენდემური ვაზის ჯიშების აღდგენის მეურნეობები, ამავდროულად აღორძინდეს ღვინის დამზადების უძველესი ტრადიციები.

შესაძლებლობების პარალელურად, კვლევამ ცხადყო რომ სახელმწიფო უწყებების (დიდი ბიუჯეტი, მეტი ხელმისაწვდომობა საერთაშორისო და ადგილობრივ ფონდებთან) დაქვემდებარებაში მოქცეული ობიექტები უფრო უკეთესად არის ორინტირებული (გამართული) მწვანე და ისტორიული ტურიზმის ახალი კონცეფციის მიმართ. უმრავლეს შემთხვევაში

ადაპტირებულია შშმ პირებისათვის, როგორც მისასვლელი გზა–ბილიკები, ასევე შესაბამისი ინფრასტრუქტურა (საპირფარეშო, დასასვენებელი და კვების ობიექტები).

კვლევის პროცესში გამოიკვეთა გარკვეული მუნიციპალიტეტების ირგვლივ (მეტი თანამშრომლობის ფარგლებში ხუთი მიმართულების დამუშავება მოხერხდა ქობულეთისათვის) რეკომენდაციები და სურვილები, რომელიც მოიცავს ცალკეული ძეგლების, როგორც რეაბილიტაცია–კონსერვაციის, ასევე ინფრასტრუქტურის გამართვის გეგმას, რომელიც ჩვენი ღრმა რწმენით მწვანე და ისტორიული ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი წინაპირობა არის.

მათ, შორის,

ქობულეთის მუნიციპალიტეტი: სოფელი ზენითი / ელინისტური პერიოდის მეგალითური და მონუმენტური ძეგლი – ზენითის საწნახელი; სოფელი დაგვა /ბრინჯაოს პერიოდის მეგალითური და მონუმენტური ძეგლი – ადრეული მეტალურგიული საწარმოო კერა; სოფელი კვირიკე /ბრინჯაოს პერიოდის მეგალითური და მონუმენტური ძეგლი – ადრეული მეტალურგიული საწარმოო კერა - კვირიკეს კანიონი; სოფელი ქობულეთი /გვიანიმეზოლითი - ადრეული ნეოლითი/ ადრენეოლითური სადგომები -და ბაბუას ტბა; სოფელი ჭახათი/კინტრიშის ხეობა/ ბუნების ძეგლი - არტახი (იხ. დანართი N1).

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი: სოფელი გვიმბალაური / ორაგვეს ხეობა/ დასახლება ჯუნეწერი /ბუნების ძეგლი ; სოფელი შუხუთი / არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა – ლელობურთი (იხ. დანართი N2).

ფოთის მუნიციპალიტეტი: თევზის მუზეუმი–ბაზრობა / ქალაქის ერთ–ერთ უბანში (სასურველია შერჩიეს ნაკლებად დატვირთული უბანი /იხ. დანართი N3).

ბათუმის მუნიციპალიტეტი: ურბანული კულტურა (სასურველია შეიჩეს ნაკლებად დატვირთული უბანი /იხ. დანართი N4).

ფოთის, ლანჩხუთის, ბათუმისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში არსებული შესაძლებლობები, სახელმწიფო და ადგილობრივი უწყებების, საერთაშორისო და ადგილობრივი ბიზნეს სუბიექტების ჰარმონიულ და პარტნიორულ ურთიერთობებზე დამყარებული პოლიტიკა ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს, როგორც წარმოდგენილი რეგიონების, ასევე მთლიანად ქვეყნის მდგრად სოციალურ და კულტურულ განვითარებას.

დ ა ნ ა რ თ ე ბ ი

დანართი N1.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლების რეაბილიტაცია / ახალი ტურისტული კულტურულ–შემეცნებითი და საგანმანათლებლო–სამეცნიერო ობიექტების მოსაწყობად:

1. **სოფელი ზენითი / ელინისტური პერიოდის მეგალითური და მონუმენტური ძეგლი – ზენითის საწნახელი**
   - არქეოლოგიური ექსპედიცია სარეაბილიტაციო ტერიტორიის შესასწავლად;
   - დაზიანებული საწნახელის პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნება;
   - საწნახელის სამხრეთით –1.5 მ. და ჩრდილოეთით +1.5 მ. ადგილობრივი რიყის ფლეთილი ქვებით ფერდსამაგრი კედელის მოწყობა დუღაბზე, მასშტაბით: სიგანე 25 მ., სიმაღლე 2 მ.
   - საწნახელის გასწვრივ მასშტაბით 5 მ. სიგანითა და 8 მ. სიგრძით, მაგარი ჯიშის ხის კონსტრუქციებით ფარდულის ტიპის ნაგებობის აგება სიმაღლე 4.5 მ. ისლის ან ყავარის სახურავით;
   - საწნეხილის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში 200 კვ.მ. მოედანის მოწყობა ოჯახში დამზადებული ღვინის ფესტივალ–ბაზრობის მოსაწყობად;
   - საწნახელის გასწვრივ აღმოსავლეთ ბაქანზე სოფელ ზენითსა და მიმდებარე დასახლებებში გამოვლენილი ქვევრების საგამოფენო პავილიონის მოწყობა;
   - საწნახელის გასწვრივ დასავლეთ ბაქანზე ღვინის დამზადებასთან, ქართულ სუფრსთან და სადღეგრძელოებთან დაკავშირებული ჭურჭლისა და სასმისების საგამოფენო პავილიონის მოწყობა;
   - მისასვლელ გზაზე და ტერიტორიაზე გარე განათების მოწყობა;
   - ძეგლის მეგალითურობისა და მონუმენტურობის წარმოსაჩენად თანამედროვე ინსტალაციების გამოყენებით განათების მოწყობა;
   - ვიდეო კონტროლის სისტემის მოწყობა;
   - ტერიტორიის რკინის მესერით შემოღობვა; მოცულობა დასაზუსტებელია;
   - ძეგლისკენ მიმავალ გზაზე თანამედროვე მანიშნებლების მოწყობა; ქობულეთი – ზენითი - 10 მანიშნებელი;

     - ✓ თანამედროვე რკინის კონსრუქციებითა და მინით შებურული ერთსართულიანი ნაგებობის აშენება ძეგლის მოსამსახურე პერსონალისთვის. ამავე პავილიონში იქნება მოწყობილი სუვენირების მაღაზია, კაფე და საგანმანათლებლო კუთხე მოსწავლეებისთვის; ასევე ვიზიტორებს შეეძლებათ მიიღონ ინფორმაცია სოფლის სხვა სიძველეებისა და საოჯახო ტიპის სასტუმროების შესახებ.
     - ✓ რთული რელიეფის გამო აუცილებელია საპარკინგე მოედნის მოწყობა მინიმუმ 5 მიკროავტობუსზე და 20 მსუბუქ ავტომობილზე.

2. **სოფელი დაგვა /ბრინჯაოს პერიოდის მეგალითური და მონუმენტური ძეგლი – ადრეული მეტალურგიული საწარმოო კერა**

- 2018 წ. ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციის მასალებზე დაყრდნობით მომზადდება ძეგლის თემატურ-საექსპოზიციო გეგმა;
- ძეგლის მარცხენა ბაქანზე არსებულ მეგალითურ გობში მოეწყობა საჩვენებელი კონსტრუქცია ფუჭი ქანებისაგან მადნის შემცველელი მასის გამოსაღებად, რომელიც იმუშავებს წყლის ენერგიაზე;
- ძეგლის მარჯვენა ბაქანზე არსებულ წისქვილს ჩაუტარდება რეაბილიტაცია სადემონსტრაციოდ, რომ წყლის ენერგიის გამოყენება პრიორიტეტულია თანამედროვე პერიოდამდე;
- მარცხენა ბაქანიდან მარჯვენა ბაქანზე გაიკიდება ხიდი, რომელიც ვიზიტორს გაიყვანს წისქვილთან; წისქვილში ვიზიტორი შეიძენს სიმინდს და მეწისქვილესთან ერთად ჩართავს მექანიზმს;
- წისქვილიდან მარჯვენა ბაქანზე, 50 მ. მოეწყობა არსებული წყლის არხის რეაბილიტაცია რიყის ფლეთილი ქვებით, რომელზეც მოეწყობა მოაჯირები; არხი გამოყენებულ იქნება მარჯვენა ბაქანზე წისქვილიდან ძეგლის მთელ პერიმეტრზე ვიზიტორების უსაფრთხო გადაადგილებისთვის;
- ძეგლის მარჯვენა ბაქანზე სამხრეთით არსებული ჭალის ქვების სახელდახელოდ მოწყობილი ყორე განახლდება ფლეთილი ქვების კედლით, რომელიც იქნება ძეგლის დასათვალიერებელი კოშკურა N1;
- კოშკურა ერთიდან გაიკიდება მარცხენა ბაქანზე ხიდი, რომელიც დაუკავშირდება მარცხენა ბაქანზე კოშკურა N1-ის მსგავს კოშკურა N2;
- კოშკურა N1 და კოშკურა N2 შორის გაკიდული ხიდები მოგვცემს საშუალებას ვიზიტორი დააკვირდეს ძეგლის მარცხენა ბაქანზე არსებულ მეგალითურ გობში მოწყობილ საჩვენებელ კონსტრუქციას, სადაც ფუჭი ქანებისაგან მადნის შემცველელი მასის გამოღების პროცესი მოხდება;
- ექსკურსიის მსვლელობის დასრულებისას ვიზიტორი მეწისქვილისგან მიიღებს მჭადის ფქვილს, რომლითაც მარცხენა ბაქანზე არსებულ შეშაზე მომუშავე ღუმელში თავად მოამზადებს ნაცარკვერებს, რომელსაც კოლხური ტიპის ფანჩატურში ადგილობრივი ფერმერების მიერ მოწვეულ ეკოლოგიურ პროდუქტებთან ერთად დააგემოვნებს;
- ვიზიტორებს ძეგლიდან მარცხენა ბაქანზე არსებულ ვიზიტორთა ცენტრში მიეცემათ საშუალება შეიძინონ სუვენირები და მიიღონ ინფორმაცია სოფლის სხვა სიძველეების და საოჯახო ტიპის სასტუმროების შესახებ.
- რთული რელიეფის გამო აუცილებელია საპარკინგე მოედნის მოწყობა მინიმუმ 5 მიკროავტობუსზე და 20 მსუბუქ ავტომობილზე.

3. სოფელი კვირიკე /ბრინჯაოს პერიოდის მეგალითური და მონუმენტური ძეგლი – ადრეული მეტალურგიული საწარმოო კერა - კვირიკეს კანიონი

- 2017 წ. ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციის მასალებზე დაყრდნობით მომზადდება ძეგლის თემატურ-საექსპოზიციო გეგმა;
- ძეგლის მასშტაბურობიდან გამომდინარე, რაც განპირობებულია ერთის მხრივ არსებული გამორჩეული ბუნებრივი კლდოვანი ქანების ნაირფეროვნებითა და რთული რელიეფური მოცემულობით, საექსკურსიო მოგზაურობისათვის მეტი მისტიკურობისა და ექსტრიმის შესაძენად, შესაძლებელია განათებების გამოყენებით ექსკურსიები დაიგეგმოს ღამის საათებში;
- ძეგლის დათვალიერება დაიწყება მდინარე კინკიშას მარცხენა შენაკადის ქვაბრონას მარცხენა ბაქანიდან;
- რკინის მყარ კონსტრუქციაზე მოწყობილი ხიდებით, რომელიც იქნება მავთულის მაღალი ბადით შეფუთული, შესაძლებელი იქნება 50 მ.-ზე დაშვება
- მდ. ქვაბრონას მარცხენა ბაქანზე -20 მ. სიმაღლიდან აღმოსავლეთისკენ 120 მ. მანძილზე მოეწყობა რკინის მყარ კონსტრუქციაზე შექმნილი ხიდი, სადაც, ყოველ 10 მ.-ში შესაძლებელი იქნება სპეციალური აივნებიდან ვიზიტორებმა გადაიღონ სურათები;
- -10 მ სიმაღლეზე მოეწყობა მოედანი კოშკურა N1, საიდანაც გაკიდული ხიდით ვიზიტორები გადავალენ კანიონის მარჯვენა ბაქანზე მოწყობილ კოშკურა N2-ზე;
- მარჯვენა ბაქანზე, კოშკურა N2-დან მოეწყობა 150 მ. მანძილზე, დაშვებული სტანდარტი 0.17 – 0.20 სმ. სიმაღლის საფეხურებით, კიბე, საიდანაც ვიზიტორები დააკვირდებიან კანიონების საფეხურებრივ ზრდას და მის მრავლისმეტყველ სილამაზეს;
- კიბის დასასრულს მოეწყობა კოშკურა N3 საიდანაც გაკიდული ხიდით ვიზიტორები გავლენ კანიონის მარცხენა ბაქანზე, სადაც მოეწყობა კოშკურა N4 საიდანაც ვიზიტორები დააკვირდებიან ძეგლის მარჯვენა ბაქანზე არსებულ მეგალითურ გობში მოწყობილ საჩვენებელ კონსტრუქციას, სადაც ფუჭი ქანებისაგან მადნის შემცველი მასის გამოღების პროცესი მოხდება; ასევე ვიზიტორებს მარცხენა ბაქანზე არსებულ ვიზიტორთა ცენტრში მიეცემათ საშუალება შეიძინონ სუვენირები და მიიღონ ინფორმაცია სოფლის სხვა სიძველეების და საოჯახო ტიპის სასტუმროების შესახებ.
- რთული რელიეფის გამო აუცილებელია საპარკინგე მოედნის მოწყობა მინიმუმ 5 მიკროავტობუსზე და 20 მსუბუქ ავტომობილზე.

4. **სოფელი ქობულეთი /გვიანიმეზოლითი - ადრეული ნეოლითი/ ადრენეოლითური სადგომები - ბაბუას ტბა**
   - 2017 წ. ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციის მასალებზე დაყრდნობით მომზადდება ძეგლის თემატურ-საექსპოზიციო გეგმა;
   - ძეგლის მასშტაბურობიდან გამომდინარე, რაც განპირობებულია ერთის მხრივ არსებულ გამორჩეულ ბუნებრივ კლდოვან ქანებზე მოწყობილ ნასოფლარისა და მეორეს მხრივ თავად ამ ქანებში არსებული გამოქვაბულით შესაძლებელია ძეგლის დათვალიერება მდინარე კინტრიშის მარცხენა ნაპირიდან;
   - სოფ. ქობულეთში მდ. კინტრიშის ერთ-ერთ მორევს ისტორიულად ეწოდება „ბაბუას ტბა“, იგი გასული საუკუნის შუა ხანებიდან იქცა ვიზიტორთა ინტერესის საგნად; მოგვიანებით მარჯვენა სანაპიროზე ადრენეოლითური სადგომების გამოვლენის შემდეგ ლოკაციამ მეტი მისტიკურობა შეიძინა;
   - „ბაბუას ტბის“ მარცხენა სანაპიროზე რიყის ფლეთილი ქვებით მოწყობილი კოშკურა N1 დან გაკიდული ხიდით ვიზიტორები გავლენ კინტრიშის მარცხენა სანაპიროზე კლდოვან ფერდობზე მოწყობილ კოშკურა N2 -ზე, საიდანაც რკინის კონსტრუქციის მყარი კიბით (50 საფეხური) დაბლა დაეშვებიან გამოქვაბულისაკენ;
   - გამოქვაბულში, სინათლის სხვადასხვა ფერების ისნსტალირებით, მოეწყობა სანახაობა; ვიზიტორები აღიჭურვებიან სპეციალური ჩაფხუტებით;
   - გამოქვაბულიდან ვიზიტორები დაბრუნდებიან კოშკურა N2-ზე საიდანაც გზას გააგრძელებენ რკინის მყარი კიბით 30 საფეხურით მაღლა, ისინი მოხვდებიან კოშკურა N3 -ზე, საიდანაც გადაიშლება კინტრიშის ხეობის არნახული პეიზაჟები, აქვე მიეცემა ვიზიტორებს საშუალება რკინისა და მინის გამჭვირვალე მოედანზე გადაიღონ ფოტოები;
   - ფოტოების გადაღების შემდეგ, გაგრძელდება ექსკურსია ადრენეოლითურ სადგომზე, სადაც რკინისა და მინის გამჭვირვალე კონსტრუქციებით მოწყობილ პავილიონში წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა ორმოები, სადაც ადრენეოლითური პერიოდის მცხოვრებლები ეწეოდნენ სხვადსხვა სამეურნეო საქმიანობას: ნადირის ძვლების დამუშავება, მცენარეული საკვების შეგროვება-დამუშავება, ქვის, კაჟისა და ვულკანური მინის მასალებზე იარაღების დამზადება, აქვე ვიზიტორები იხილავენ ამიერკავკასიაში ერთ-ერთ პირველ და უძველეს ინფრასტრუქტურულ ქმნილებას - წყალმომარაგების არხს;
   - პავილიონში იქნება მოწყობილი სუვენირების მაღაზია, კაფე და საგანმანათლებლო კუთხე მოსწავლეებისათვის; ასევე ვიზიტორებს შეეძლებათ მიიღონ ინფორმაცია სოფლის სხვა სიძველეების და საოჯახო ტიპის სასტუმროების შესახებ.
   - რთული რელიეფის გამო აუცილებელია საპარკინგე მოედნის მოწყობა მინიმუმ 5 მიკროავტობუსზე და 20 მსუბუქ ავტომობილზე.

5. **სოფელი ჭახათი/კინტრიშის ხეობა/ ბუნების ძეგლი - არტახი**
   – საქართველოში დადასტურებული ფაქტია თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ბუნების ძეგლებს და იქ მოწყობილ ინფრასტრუქტურას;
   – ჭახათის არტახი ერთ-ერთი გამორჩეული ბუნების ძეგლია, სადაც ერთდროულადაა წარმოდგენილი მრავალფეროვანი კლდოვანი ქანები, ერთ-ერთი სუფთა მდინარე და ენდემური მწვანე ბუნებრივი განაშენიანება;
   – ძეგლისთვის მისტიკურობის შესაძენად აუცილებელია ვიხელმძღვანელოთ სხვადასხვა კომპონენტების გამოყენებით:
     - ✓ რკინის მყარი კონსტრუქციებით მოწყობილი ხიდი-ბილიკები მარჯვენა სანაპიროზე 200 მ. ;
     - ✓ ფლეთილი ქვებით ბაქანი - კოშკურა N1 მოწყობა საიდანაც გავალთ მეორე ნაპირზე;
     - ✓ რკინისა და ხის ელემენტების შერწყმით მიღებული გაკიდული ხიდები მარჯვენა სანაპიროდან მარცხენა სანაპიროზე გასასვლელად - 35 მ. – 40 მ.
     - ✓ გაკიდული ხიდით გავდივართ კოშკურა N 2-ში;
     - ✓ რკინისა და მინის ელემენტების შერწყმით მიღებული მოედანი N1 აღმოსავლეთით და მოედანი N2 დასავლეთით;
     - ✓ აღმოსავლეთ მოედნიდან ჩასასვლელი კიბე მდინარის ნაპირისკენ;
     - ✓ მდინარის კალაპოტში - არტახში - ზაფხულის პერიოდში ნავებით გასეირნების სერვისის მოწყობა;
     - ✓ ნავით გასეირნების შემდეგ კიბით ასვლა დასავლეთით არსებულ მინის N2 მოედანზე;
     - ✓ მარჯვენა ნაპირზე ექსკურსიის დაწყების ლოკაციაზე რკინისა და მინის გამჭვირვალე კონსტრუქციებით მოწყობილ პავილიონში წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა ფარდულები, აგრეთვე, თუ როგორ ეწეოდნენს ხვადსხვა სამეურნეო საქმიანობასადგილობრივი მცხოვრებლები: ხეზე მუშაობა, რთვა და ქსოვა, სამზარეულო კულტურა; პავილიონში იქნება მოწყობილი სუვენირების მაღაზია, კაფე და საგანმანათლებლო კუთხე მოსწავლეებისათვის; ასევე ვიზიტორებს შეეძლებათ მიიღონ ინფორმაცია სოფლის სხვა სიძველეების და საოჯახო ტიპის სასტუმროების შესახებ.
     - ✓ რთული რელიეფის გამო აუცილებელია საპარკინგე მოედნის მოწყობა მინიმუმ 5 მიკროავტობუსზე და 20 მსუბუქ ავტომობილზე.

დანართი N2.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლების რეაბილიტაცია / ახალი ტურისტული კულტურულ–შემეცნებითი და საგანმანათლებლო–სამეცნიერო ობიექტების მოსაწყობად:

1. **სოფელი გვიმბალაური / ორაგვეს ხეობა/ დასახლება ჯუნეწერი /ბუნების ძეგლი**
   - საქართველოში დადასტურებული ფაქტია თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ბუნების ძეგლებს და იქ მოწყობილ ინფრასტრუქტურას;
   - სოფელ გვიმბალაურში, დასახლება ჯუნეწერის მიმართულებით ორაგვეს ხეობა წარმოადგენს იმ უიშვიათეს და ერთ-ერთ გამორჩეულ ბუნების ძეგლს, სადაც ერთდროულად თავმოყრილია მრავალფეროვანი ბუნების ენდემური კოლხური ტყისათვის დამახასიათებელი ფლორა და ფაუნა, ასევე მდიდარი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა;
   - ბუნების ძეგლს მისტიკურობას მატებს გასულ საუკუნეში აღმოჩენილი სავარაუდოდ ადრეული პერიოდის ბუნებრივი კირის მისაღებად გამოსაწვავი ღუმელები და მაღაროები; აუცილებელია ვიხელმძღვანელოთ სხვადასხვა კომპონენტების გამოყენებით:
     - ✓ რკინის მყარი კონსტრუქციებით მოწყობილი ხიდი-ბილიკები მარცხენა სანაპიროზე 200–250 მ. ;
     - ✓ ფლეთილი ქვებით ბაქანი - კოშკურა N1 მოწყობა საიდანაც გაკიდული ხიდით გავდივართ ხეობის შემდგომ სიმაღლეზე მოწყობილ ბაქანზე კოშკურა N2–თან;
     - ✓ რკინისა და ხის ელემენტების შერწყმით მიღებული გაკიდული ხიდები კოშკურების ერთმანეთთან დასაკავშირებლად - 35 მ. – 40 მ.
     - ✓ გაკიდული ხიდთი გავდივართ კოშკურა N 2;
     - ✓ მარცხენა სანაპიროდან ჩასასვლელი ბილიკების მოწყობა მდინარის ტბორებთან;
     - ✓ ტბორებთან ზაფხულის პერიოდში შესაძლებელია მოეწყოს ტრამპლინები სპორტული და სათავგადასავლო ტურიზმის მოყვარულებისათვის;
     - ✓ მარცხენა ნაპირზე ექსკურსიის დაწყების ლოკაციაზე რკინისა და მინის გამჭვირვალე კონსტრუქციებით მოწყობილ პავილიონში წარმოდგენილი

იქნება სხვადასხვა ფარდულები, აგრეთვე, თუ როგორ ეწეოდნენ ხვადსხვა სამეურნეო საქმიანობასა დგილობრივი მცხოვრებლები: ხეზე მუშაობა, რთვა და ქსოვა, სამზარეულო კულტურა; პავილიონში იქნება მოწყობილი სუვენირების მაღაზია, კაფე და საგანმანათლებლო კუთხე მოსწავლეებისათვის; ასევე ვიზიტორებს შეეძლებათ მიიღონ ინფორმაცია სოფლის სხვა სიძველეების და საოჯახო ტიპის სასტუმროების შესახებ.

- ✓ ორაგვეს ხეობისკენ მიმავალ გზაზე თანამედროვე მანიშნებლების მოწყობა; სამტრედია–ლანჩხუთი–ჯუნეწერი და ქობულეთი–ლანჩხუთი–ჯუნეწერი მიმართულებებიდან (დაახლოებით 10 მანიშნებელი);
- ✓ რთული რელიეფის გამო აუცილებელია საპარკინგე მოედნის მოწყობა მინიმუმ 5 მიკროავტობუსზე და 20 მსუბუქ ავტომობილზე.

2. **სოფელი შუხუთი / არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა – ლელობურთი**

- – საქართველოში თამამად შეიძლება განვაცხადოთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი რჩება (ამ დრომდე) ერთ–ერთი უძველესი და ისტორიული სპორტული თამაშობის ლელობურთის აპოლოგეტად (დამცველად).
- – სოფელ შუხუთში სპეციალიზირებული ბაზის მოწყობა (სადაც ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორებისათვის მოეწყობა თეორიული და პრაქტიკული სწავლება ლელობურთში);
- – ლელობურთის ბაზის მიმდებარედ მოეწყობა 250–300 კვ.მ. მოედანი ადგილობრივი სუვენირებისა და ოჯახში დამზადებული ღვინის ფესტივალ–ბაზრობის მოსაწყობად;
- – ლელობურთის ბაზის მიმდებარედ მოეწყობა როგორც ღია, ასევე დახურული ტიპის საექსპოზიციო სივრცე როგორც უშუალოდ სოფელ შუხუთში, ასევე მიმდებარე სოფლებში აღმჩენილი ქვევრებისა თუ სხვა ღვისნის კულტურასთან და უძველეს კოლხურ ყოფასთან დაკავშირებული ჭურჭელის გამოსაფენად;
- – ლელობურთის ბაზის მიმდებარედ მისასვლელ გზაზე და ტერიტორიაზე გარე განათების მოწყობა; უძველესი სპორტული თამაშობის მისტიკურობის წარმოსაჩენად ატრაქციების მოწყობა თანამედროვე ინსტალაციების გამოყენებით;
- – ვიდეო კონტროლის სისტემის მოწყობა;
- – ტერიტორიის რკინის მესერით შემოღობვა; მოცულობა დასაზუსტებელია;
- – ლელობურთის ბაზისკენ მიმავალ გზაზე თანამედროვე მანიშნებლების მოწყობა; სამტრედია– შუხუთი და ლანჩხუთი–შუხუთის მიმართულებებიდან (დაახლოებით 10 მანიშნებელი);

- ✓ თანამედროვე რკინის კონსრუქციებითა და მინით შებურული ერთსართულიანი ნაგებობის აშენება ლელობურთის ბაზის მოსამსახურე

პერსონალისთვის. ამავე პავილიონში იქნება მოწყობილი სუვენირების მაღაზია, კაფე და საგანმანათლებლო კუთხე მოსწავლეებისათვის; ასევე ვიზიტორებს შეეძლებათ მიიღონ ინფორმაცია სოფლის სხვა სიძველეების და საოჯახო ტიპის სასტუმროების შესახებ.

✓ აუცილებელია საპარკინგე მოედნის მოწყობა მინიმუმ 5 მიკროავტობუსზე და 20 მსუბუქ ავტომობილზე.

დანართი N3.

ფოთის მუნიციპალიტეტის არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლების რეაბილიტაცია / ახალი ტურისტული კულტურულ–შემეცნებითი და საგანმანათლებლო–სამეცნიერო ობიექტების მოსაწყობად:

– უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქ ფოთის კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც ძირითადად მოიცავს არქიტექტურულ ძეგლებს არ არის გამოყენებული მწვანე და ისტორიული ტურიზმის სამსახურში; ამ მიმართულებით ერთ–ერთი მასტიმულირებელი პროექტია თევზის მუზეუმ–ბაზრობის მოწყობა, რომელიც ახალ სიცოცხლეს შესძენს არქიტექტურულ ძეგლებს (გაიხსნება ოჯახის ტიპის სასტუმროები თუ საზოგადოებრივი კვების ობიექტები; ქალაქში ასეთი მიმართულების ცალკეული მაგალითები არსებობს და საკმაოდ წარმატებულიც).

1. **თევზის მუზეუმი–ბაზრობა / ქალაქის ერთ–ერთ უბანში (სასურველია შეირჩეს ნაკლებად დატვირთული უბანი)**
   – საქართველოში ქალაქი ფოთი რჩება ერთად–ერთ თევზის რეწვისა და გადამუშავების ცენტრად;
   – ქალაქ ფოთში წლების განმავლობაში (შესაძლებელია ვიგულისხმოთ საუკუნეები) მოსახლეობაში დალექილია, როგორც ისტორიული მეხსიერება, ასევე პრაქტიკული ცოდნა და უნარ-ჩვევები თევზჭერისა და თევზისგან სხვადასხვა სახის პროდუქციის წარმოების შესახებ;
   – დადასტურებული ფაქტია თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ბუნების ძეგლებს, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს და ეკო–პროდუქტებს;
   – შესაბამისი ინფრასტრუქტურა წარმოდგენილი მიმართულებით, რომელსაც მიენიჭებოდა კულტურულ–შემეცნებითი და საგანმანათლებლო–სამეცნიერო მიმართულება, სადაც იქნებოდა ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილის ჩართულობა, ჯერჯერობით არ არის;

- თევზის მუზეუმ–ბაზრობის მიმდებარედ მოეწყობა სპეციალიზირებული ბაზა (სადაც ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორებისათვის მოეწყობა თეორიული და პრაქტიკული სწავლება თევზჭერაში, თევზისგან სხვადასხვა პროდუქტების მომზადებაში);
- თევზის მუზეუმ–ბაზრობის მიმდებარედ მოეწყობა 450–500 კვ.მ. მოედანი – ადგილობრივი სუვენირების, სამეგრელოსა და გურიში ოჯახებში დამზადებული ღვინის ფესტივალ–ბაზრობის მოსაწყობად (სეზონურად შესაძლებელია თევზის კერძების ერთ–ერთი მთავარი ინგრედიენტის ციტრუსის პოპულარიზაცია/ლიმონი/ – სადაც შესაძლებელია ქობულეთისა და ბათუმის მუნიციპალიტეტების ჩართულობაც);
- თევზის მუზეუმ–ბაზრობის მიმდებარედ მოეწყობა როგორც ღია, ასევე დახურული ტიპის საექსპოზიციო სივრცე როგორც უშუალოდ შავი ზღვის, ასევე მსოფლიო ოკეანეებსა და ზღვებში ფიქსირებული თევზების შესახებ; ასევე პოპულარიზაცია გაეწევა თევზჭერასთან დაკავშირებული სამეურნეო იარაღებს და ელემენტების სახეობებს უძველესი დროიდან (ქვის საწაფები და სხვ.) თანამედროვე კომპონენტების ჩათვლით;
- საინტერესო იქნება ფაზისის და უძველესი კოლხური კულტურის ნიმუშების პრეზენტაცია, არგონავტების მითის გაცოცხლება და სხვ.
- თევზის მუზეუმ–ბაზრობის მიმდებარედ მისასვლელ გზაზე და ტერიტორიაზე გარე განათების მოწყობა; უძველესი კულხეთის მითებისა და ლეგენდებისათვის მისტიკურობის შესაძენად სხვადასხვა ატრაქციების მოწყობა თანამედროვე ინსტალაციების გამოყენებით;
- ვიდეო კონტროლის სისტემის მოწყობა;
- ტერიტორიის რკინის მესერით შემოღობვა; მოცულობა დასაზუსტებელია;
- თევზის მუზეუმ–ბაზრობის მიმდებარედ მიმავალ გზაზე თანამედროვე მანიშნებლების მოწყობა; სენაკი–ფოთის, ზუგდიდი–ფოთის, ქობულეთი–ფოთის მიმართულებებიდან (დაახლოებით 15–20 მანიშნებელი);

  - ✓ თანამედროვე რკინის კონსრუქციებითა და მინით შებურული ერთსართულიანი ნაგებობის აშენება თევზის მუზეუმ–ბაზრობის მოსამსახურე პერსონალისთვის. ამავე პავილიონში იქნება მოწყობილი სუვენირების მაღაზია, კაფე და საგანმანათლებლო კუთხე მოსწავლეებისთვის; ასევე ვიზიტორებს შეეძლებათ მიიღონ ინფორმაცია სოფლის სხვა სიძველეების და საოჯახო ტიპის სასტუმროების შესახებ.
  - ✓ აუცილებელია საპარკინგე მოედნის მოწყობა მინიმუმ 5 მიკროავტობუსზე და 20 მსუბუქ ავტომობილზე.

დანართი N4.

ბათუის მუნიციპალიტეტის არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლების რეაბილიტაცია / ახალი ტურისტული კულტურულ–შემეცნებითი და საგანმანათლებლო–სამეცნიერო ობიექტების მოსაწყობად:

1. **ბათუმის მუნიციპალიტეტი: სამრეწველო და ურბანული კულტურა (სასურველია შეირჩეს ნაკლებად დატვირთული უბანი**
   - დასავლეთ საქართველოში ქალაქი ბათუმი ახალ ტურისტულ შესაძლებლობებთან ერთად ინარჩუნებს მსუბუქი და გადამამუშავებელი მრეწველობის ცენტრის სტატუსს;
   - ქალაქ ბათუმში წლების განმავლობაში მოსახლეობაში დალექილია, როგორც ისტორიული მეხსიერება, ასევე პრაქტიკული ცოდნა და უნარ-ჩვევები სხვადასხვა მრეწველობის დარგების შესახებ;
   - აღიარებული ფაქტია, რომ დღეს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბუნების ძეგლებს, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს და ეკო–პროდუქტებს; ყოველივე ამის პარალელურად ვიზიტორებისათვის ინტერესის სფეროში ექცევა უძველესი ტექნოლოგიებისა და დარგების კულტურის გაცნობა;
   - ბათუმი მდიდარია მრავალფეროვანი არქიტექტურული ძეგლებით, რომელიც XIX-XX სს სამრეწველო და ურბანული კულტურის ნაწილს წარმოადგენს; თუ არ ჩავთვლით რამდენიმე მუზეუმს, სადაც წარმოდგენილია კონცეფციის გარკვეული სეგმენტი, შესაბამისი ინფრასტრუქტურა წარმოდგენილი მიმართულებით, რომელსაც მიენიჭებოდა კულტურულ–შემეცნებითი და საგანმანათლებლო–სამეცნიერო მიმართულება, სადაც იქნებოდა ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილის ჩართულობა, ჯერჯერობით არ არის;
   - სამრეწველო და ურბანული კულტურის კერა – სადაც მოეწყობა სპეციალიზირებული ბაზა (სადაც ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორებისათვის მოეწყობა თეორიული და პრაქტიკული ჩვენება, სხვადასხვა მიმართულებით); აღსანიშნავია, რომ აჭარასთან დამეგობრებულ პოლონეთის ერთ–ერთ მხარეში სელეზიაში, რომელიც გასულ საუკუნეში განთქმული იყო ქვანახშირის წარმოებით, სწორი მარკეტინგული პოლიტიკის წყალობით (რომელსაც თავიდან არ ყავდა ბევრი მხარდამჭერი) რეგიონი გარდაიქმნა ტურიზმის მექად; მთავრობამ უარი თქვა ყველა სამრეწველო წარმოებაზე, რომელიც ხელს შეუშლიდა წვანე და ისტორიული ტურიზმის განვითარებას; შედეგმაც არ დააყოვნა, სილეზიას სტუმრობს მილიონობით ვიზიტორი, რომლებიც ქარის წისქვილებიდან დაწყებული ქვანახშირის მოპოვების

ჩათვლით ეცნობიან გემოვნებით მოწყობილ ექსპოზიციებსა და სადემონსტრაციო საამქროებს;

– სამრეწველო და ურბანული კულტურის კერის მიმდებარედ მოეწყობა 1200–1500 კვ.მ. მოედანი – ადგილობრივი სუვენირების, აჭარის რეგიონში დამზადებული და წარმოებული კვების პროდუქტებისა და ოჯახში დამზადებული ღვინის ფესტივალ–ბაზრობის მოსაწყობად (სეზონურად შესაძლებელია თაფლის, ციტრუსის, ჩაის, რძის პროდუქტების გამოფენების ორგანიზება, სადაც შესაძლებელია კვლევაში წარმოდგენილი მუნიციპალიტეტების ქობულეთის, ლანჩხუთისა და ფოთის ჩართულობაც);
– სამრეწველო და ურბანული კულტურის კერის მიმდებარედ მოეწყობა როგორც ღია, ასევე დახურული ტიპის საექსპოზიციო სივრცე უშუალოდ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის, როგორც დიდი აბრეშუმის გზის დამაკავშირებელი მონაკვეთის უძველესი ისტორიის გასაცოცხლებლად თანამედროვე კომპონენტების ჩათვლით;
– სამრეწველო და ურბანული კულტურის კერის მიმდებარედ მისასვლელ გზაზე და ტერიტორიაზე გარე განათების მოწყობა; მათ, შორის სხვადასხვა ატრაქციების მოწყობა თანამედროვე ინსტალაციების გამოყენებით;
– ვიდეო კონტროლის სისტემის მოწყობა;
– ტერიტორიის რკინის მესერით შემოღობვა; მოცულობა დასაზუსტებელია;
– სამრეწველო და ურბანული კულტურის კერის მიმდებარედ მიმავალ გზაზე თანამედროვე მანიშნებლების მოწყობა; სარფი–ბათუმის, ხულო–ბათუმის, ქობულეთი–ბათუმის მიმართულებებიდან (დაახლოებით 15–20 მანიშნებელი);

- ✓ თანამედროვე რკინის კონსრუქციებითა და მინით შებურული ერთსართულიანი ნაგებობის აშენება სამრეწველო და ურბანული კულტურის კერის მოსამსახურე პერსონალისთვის. ამავე პავილიონში იქნება მოწყობილი სუვენირების მაღაზია, კაფე და საგანმანათლებლო კუთხე მოსწავლეებისათვის; ასევე ვიზიტორებს შეეძლებათ მიიღონ ინფორმაცია სოფლის სხვა სიძველეების და საოჯახო ტიპის სასტუმროების შესახებ.
- ✓ აუცილებელია საპარკინგე მოედნის მოწყობა მინიმუმ 5 მიკროავტობუსზე და 20 მსუბუქ ავტომობილ

ავტორი და კვლევის ხელმძღვანელი: რეზო ტაკიძე

კონსულტანტები: ნინო მეფარიშვილი, ნანა ცივაძე

წინამდებარე კვლევა მომზადდა საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის დაკვეთით პროექტის „მწვანეტურიზმი და ისტორიული მემკვიდრეობა – შავი ზღვის აუზის განვითარების საფუძვლები" ფარგლებში

წინამდებარე კვლევა მომზადდა 2014-2020 შავი ზღვის აუზის პროგრამის ფარგლებში, ევროკავშირის ფინანსური დახმარებით. კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია კვლევის ავტორი და ხელმძღვანელი მასში არ არის ასახული ევროკავშირის მოსაზრება